abzu, პირველარსებული, დასაბამიერი მტკნარი წყლების სტიქია ბაბ. კოსმოგონიურ მითოსის მიხედვით. ა. მამრული ბუნებისაა და უპირსპირდება *თიამათს* – მლაშე წყლების განსახიერებას, დედრულ საწყისს. იმთავითვე ა- სა და თიამათის წყლები ერთმანეთში იყო აღრეული და ამ ურთიერთაღრევამ წარმოშვა კოსმოსის საწყისის მატარებელი ღმერთები. ა. აგრესიულად არის განწყობილი ახალი თაობის ღმერთების მიმართ და განიზრახავს მათ განადგურებას. მაგრამ მას ამარცხებს ეა, მესამე თაობის ღმერთი, და ტახტს დაიდგამს მის სამფლობელოში; მისგან იღებს სათავეს დედამიწის ზურგზე არსებული მდინარი წყლები და ის წყალიც, რომელიც წვიმის სახით ჩამოდის. შუამდინარული კოსმოგონიის მიხედვით ა-ს წყალი გარს ეკვრის დედამიწას, როგორც უზარმაზარი მდინარე, მსგავსად ბერძნული მითოლოგიის ოკეანოსისა. სხვა ტრადიციით ა-ს წყლები მიწის ქვეშ არის, საიდანაც ჭებისა და წყაროების სახით ჟონავს იგი. ამ მაცოცხლებელი წყლების გამო ა. წმიდა ადგილად არის შერაცხილი, ამავე დროს მისი წიაღი სიბრძნის წყაროც არის, ამიტომაც *ეა* (ანუ *ენქი*) – სიბრძნის ღმერთი განაგებს მას.

ა-ს თიხიდან არის მოზელილი *შუმერის* პირველი ქალაქის, *ერიდუს* ტაძრის აგურები: „ოდეს ანუმ ცა შექმნა, ნუდიმმუდმა აბზუ თავის სადგომად შექმნა, ეამ აბზუში თიხა მოიღო, მოზილა...“ შდრ. წყევლა: „შენი თიხა აბზუს დაუბრუნდეს, ენქისაგან დაწყევლილ თიხად იქცეს“. ა-დან მოღებული თიხიდანვე არის შექმნილი ადამიანი ბაბ. ანთროპოგონიური მითოსის მიხედვით.

ა. ზოგჯერ შეიძლება „ქვესკნელის“ სინონიმი იყოს, მაგ., შემდეგ გამონათქვამში: „აბზუ არის ზღვა, ზღვა კი არის *ერეშქიგალი*“. მაგრამ უფრო გავრცელებული წარმოდგენის თანახმად ა. ქვესკნელზე ქვემოთ მდებარეობს, რაკი გარს უვლის მთელ დედამიწას (უფრო სწორად, დედამიწა თავისი ქვესკნელითურთ ა-ზე დევს).

ზოგიერთ გამოთქმაში ა-ს მდებარეობა ცის ანტიპოდურად არის დასახული. მაგ., მაღალ მთაზე ნათქვამში: „წვერი მისი ზეცას სწვდება, ხოლო ფესვი მისი აბზუშია გადგმული“ (ასეთია კოსმოსური მთა იმხურსანგი).

abubu (შუმ. „მოგუგუნე წყალი“, აქად. „წარღვნა“), 1) წარღვნის ქარიშხალი, რ-ც წარმოდგენილია გველეშაპის სახით; 2) ღმერთების იარაღი, რ-ითაც ისინი ანადგურებენ მტრულ ძალებს (მაგ., *მარდუქის* ხელში *თიამათის* წინააღმდეგ). ა. განპიროვნებულია და, როგორც გონიერი არსება, რჩევას აძლევს თავის მფლობელ ღმერთს. ხშირად რომელიმე ღმერთი იწოდება მასზე მაღლა მდგომი ღმერთის ა-დ, ე. ი. მის იარაღად (მაგ., *ნინურთა* არის *ენლილის*ა., როგორც მისი ნების აღმსრულებელი).

adadi (ზოგჯერ ადდუ), ტაროსისა და ჭექა ქუხილის ღმერთი. მისი სახელის უძველესი პიქტოგრამა გამოხატავს მოფრიალე აფრას, რისი მოქმედებითაც საცნაური ხდება ბუნების ძალთა განმასახიერებელი ღვთაების, სტიქია. ა. ითვლება *ანუს* ძედ და მისივე ვეზირად; სხვა ტრადიციით, *ენლილის* ძედ; *ენქის* ტყუბისცალად. იგი განეკუთვნება შუამდინარული პანთეონის ღმერთების მეორე ტრიადას (*სინ-შამაშ*-ადად); მისი ღვთაებრივი დედრული ცალია შალა, უცხოური წარმოშობის ღვთაება, ხოლო მათი ნაშიერი *გირრუ* – ცეცხლის ღმერთი (იგულისხმება, რომ ადადი-ელვა ბადებს ცეცხლს).

ა. ვითარცა ამინდის ღვთაება, ორმაგი ბუნებისაა; იგი ნაყოფიერების მომტანიც არის და ნაყოფიერების (ათავთავებული ყანების) გამანადგურებელიც. მისი პირველი ასპექტი ვლინდება ზეციდან ჩამოდენილი, ცხოველმყოფელი წვიმის სახით ან ქვესკნელიდან ამომჩქეფარი, გამანაყოფიერებელი ნაკადულების, წყაროების სახით; ამიტომაც ა. ითვლება მიწისქვეშა წყლებისა და წვიმების

მეუფედ ერთდროულად. ამგვარი ა-ს ეპითეტებია – „სიუხვის მეფე“, „ყანების მომრწყველი“, „სიუხვის წვიმის მაწვიმებელი“, „ქვეყნისათვის სიცოცხლის მომნიჭებელი“; მასზეა დამოკიდებული მოსავლის ბედი და ამიტომაც იწოდება იგი „ყანების უფლად“, „ბეღლის უფლად“ და სხვ.

მაგრამ ზედმეტად უხვი წვიმა შეიძლება გადაიქცეს მიწის პირის წამლეკავ ნიაღვრად, წარღვნად და სწორედ ამ დროს ცხადდება მისი ასპექტი ვითარცა წარღვნის მომტანი ღვთაებისა: „წარღვნის უფალი“, „ქარიშხლის უფალი“; ა-ის ეს ორი ასპექტი შევადაროთ ლაზარობის ხალხურ რიტუალს, რომლის დროსაც ლაზარეს, ამინდის ძალას, შესთხოვენ როგორც წვიმას ხანგრძლივი გვალვისას, ისე მზის თვალს განუწყვეტელი წვიმებისას).

ა-ს გარეგანი გამოვლინებაა ელვა, იგი არის „ელვის უფალი“, „ელვის მაელვებელი“; რაკი ელვა ღრუბლებში ელავს, ა. ღრუბელთა წარმომქმნელად ითვლება. ა-ს მტრული მოქმედება გამოხატულია წყევლის ფორმულაში: „ადადმა, ჩემმა ბატონმა, ბოროტების ელვა დაატეხოს თავზე მის ქვეყანას! შიმშილი ჩააგდოს მის ქვეყანაში!“ როგორც ელვისმტეხელ ღმერთის, ომის ფუნქციაც აკისრია, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა აშურის იმპერიის აღზევების ხანაში. ა. სხვა ღმერთებთან ერთად წინ უძღვის აშურის მეფის ლაშქარს; იგი არის „ომის ღმერთი“, „მტრებზე მეხისმტეხელი“, „ქვეყანათა მრქენელი“ და სხვ.

ა. *შამაშთან* ერთად ითვლება ორაკულებისა და მისნობის ღმერთად, რაკი ელვა, ჭექა-ქუხილი, ღრუბელთა განსაკუთრებული კონფიგურაციები – ეს ყველაფერი იყო ნიშნები, რ-თა წყალობითაც ხერხდებოდა მომავლის ამოკითხვა. *შამაშის* გვერდითვე იგი იხსენიება (ალბათ ქვესკნელის) „დიდ მსაჯულად“.

გამოსახულება: ა-ს ხელთ უპყრია დაკავკავული იარაღი – ელვა, ამხედრებულია ხარზე (ან ურჩხულზე, რაც განასახიერებს წარღვნას ან წარღვნის ქარიშხალს). მისი საკრალური რიცხვია 6, სრული რიცხვის (60) მეათედი, ამის გამო თვის მ-6 დღე ითვლება ა-ს დღედ. მისი მთავარი საკულტო ადგილია *ბაბილონში* და *ბორსიფაში.*

adapa მითოსური პერსონაჟი, რ-ც დაკავშირებულია შუმერის ერთ-ერთ უძველეს ქალაქთან, *ერიდუსთან* და მის მთავარ ღმერთთან – *ენქისთან.* როგორც ბაბილონურ ენაზე შემონახული ტექსტი გვამცნობს, *ეამ* მას სიბრძნე და ქვეყნის ბედიერწერის ცოდნა მიჰმადლა, მაგრამ სიცოცხლე (ე. ი. უკვდავება) არ მოუნიჭებია. მისი მთავარი საქმიანობა ერიდუში იყო ამ ქალაქისათვის საკვების მომარაგება და საღვთო ტაბლის გაშლა, რასაც იგი ყოველდღე ასრულებს „განწმენდილი ხელებით“. რაკი ერიდუს ტაძრის მთავარი შესაწირავი თევზი იყო, იგი ყოველდღე გადიოდა ზღვაში სათევზაოდ. ერთ დღეს დაუბერა ქარმა და „სარკესავით გაკრიალებული“ ზღვის ზედაპირი ააღელვა, ა-ს ნავი ჩაიძირა. საპასუხოდ, განრისხებულმა ა-მ სამხრეთის ქარს ფრთები დაუმტვრია, რის გამოც ერთი კვირის მანძილზე არ ქროდა სამხრეთის ქარი. ამ საქციელზე პასუხის საგებლად *ანუმ* ა. ცაში გამოიძახა. წასვლამდე *ეამ,* მისმა მფარველმა ღმერთმა, დაარიგა იგი, ხელი არ ეხლო შემოთავაზებული სასმელ-საჭმელისთვის, – იმ მიზეზით, თითქოს ეს საჭმელ-სასმელი მომაკვდინებული იქნებოდა. ა-ც ასე მოიქცა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, პირუკუ რომ მოქცეულიყო, იგი უკვდავებას ეზიარებოდა, რადგან ანუმ, წინააღმდეგ ეას ვარაუდისა, სიცოცხლის (ანუ უკვდავების) საზრდო შესთავაზე. ასე დაკარგა ა-მ უკვდავების მოპოვების შესაძლებლობა. სამაგიეროდ ანუსგან ა-მ სამეფო ნიშნები – სამოსელი და საცხებელი ზეთი მიიღო.

შუმერულ-აქადურ ტექსტებში ა. ნახსენებია იმ შვიდ *აფქალს* შორის, რომელთაც მიეწერებათ ცივილიზაციის დაფუძნება *შუმერში.*

azag-i (შუმ.), ერთ-ერთი დემონი, ავი სული, მომაკვდინებელი სენის პერსონიფიკაცია. ა. იჭრება ადამიანის სხეულში, იბუდებს და კლავს ადამიანს.
aTraxasis-i, (აქად. „ფართეყურიანი“, ვრცელაზროვანი), ბრძენ პერსონაჟთა საერთო ეპითეტი აქადურ ლიტერატურაში. 1) ა-დ იწოდება არწივის მართვე *ეტანას* მითოსში. იგი გონივრულ რჩევას აძლევს თავის მამას, აფრთხილებს მოსალოდნელი ხიფათისაგან; ა-დ წოდებული მართვე არწივის მეგობარ გველის მიერ არის გამოზრდილი და, შესაძლებელია, ამის გამო არის იგი „ვრცელაზროვანი“.

2) ა-დ იწოდება ერიდუს ტაძრის ქურუმი *ადაპა*.

3) ა-ის სახელს ატარებს წარღვნის გმირი (შუმ. *ზიუსუდრასა* და აქად. *უთანაფიშთის* ორეული) ერთ აქადურ ეპოსში. ამ შემთხვევაში ეს ეპითეტი (თუ სახელი) დაკავშირებულია *ენქისთან*, რ-ც ანიჭებს თავის რჩეულ მოკვდავთ ვრცელ გონებასა და სიბრძნეს.

4) ა. როგორც ეპითეტი მიეწერება ენქის გარდა სხვა ღმერთებსაც – *ნერგალს, გირრუს* და სხვ.
aia, შამაშის ღვთაებრივი დედრული ცალი; ტექსტებში იხსენიება მის საცოლედ ან ცოლად. თუმცა არსად იხსენიება მათი ნაშიერი. შამაშისადმი მახვეწარი ჩვეულებრივ არც ამ ქალღმერთს ივიწყებს და მასთან ერთად ევედრება: „ყოველ წელიწადს, გმირო მეომარო შამაშ და აია, ჩემს კეთილ საქმეთ სიხარულით მოჰხედავდეთ“. გილგამეშის ეპოსში ა. გმირის მეოხეა შამაშის წინაშე; *ნინსუნას* ვედრებაში შამაშის მიმართ ნათქვამია: „საცოლე აიამ უშიშრად მოგაგონოს, ანდო გილგამეში ღამის მხმილავებს“. ქალღმერთი არ ახლავს თავის მამრს მის ღამეულ მგზავრობაში; როდესაც შამაში ოკეანის გავლით დედის წიაღში ბრუნდება დასასვენებლად, ა. ცაზე ანათებს, ვითარცა „დედოფალი წითლად მბრწყინავი ვარსკვლავისა“; ღამით „ცის აია“ ცვლის „ცის შამაშს“, ხოლო დილით ამომავალ მზესთან შეხვედრისას ესალმება და გუნებას უკეთებს: „აია, საყვარელი მეუღლე შენი მოგესალმოს“.

ა. შემკულია იშთარის ეპითეტებით, როგორც მისი ერთ-ერთი გამოვლინება: „სიამეთა და შვებათა ქალბატონი“, „სიყვარულის დედოფალი“, რაც მას აკავშირებს ნაყოფიერების კულტთან და ამ ბუნების ღვთაებათა წრეში შეჰყავს. ამასვე მოწმობს მისი გაიგივება „დედა ცხვართან“; ხამურაბის კანონების პროლოგში მოხსენიებულია ა-ს *კულტი სიფარში*: „ყურისმგდებელი ძლიერი შამაშისა, სიპარ-ქალაქის განმამტკიცებელი, მწვანით შემმოსველი აიას საქორწინო სახლისა...“
alala, შრომის, კერძოდ, ყანაში სამღერი, მკის სიმღერა; ასურულ ტექსტებში ამგვარად არის აღწერილი გაპარტახებული და გაუკაცრიელებული ქვეყნის სურათი: ქვეყნიდან „წაღებულია ალალა“; ალალა შემწყდარია ყველგან, სადაც შიმშილობაა“, „ჩემს ყანებში მოსპეს ალალა“. მიწისმუშაკობის აღდგენას მოსდევს ალალას ახმიანება: „მის (ურურტუს მეფის) მიტოვებულ ყანებში... მის ხალხს ვამღერებინე ტკბილხმიანი ალალა“. ზოგიერთი ტექსტის მიხედვით ალალას მღერის თავად მიწათმოქმედების მფარველი ღმერთი, რ-ც შეიძლება იყოს *ნინგირსუ*, რაკი იგი ერთგან იხსენიება როგორც „ალალას ბატონი“, რაც ალბათ გილისხმობს „ალალას სიმღერის შთამაგონებელს“.

უმეტეს შემთხვევაში ა. იწერება ღვთაების დეტერმინატივით, რაც მოწმობს ამ სიმღერის ღვთიურ წარმოშობას. ერთი ტექსტის მიხედვით ა-ს მღერის აგრეთვე *სუმუკანი*, გარეული ჯიგების პატრონი (ამ შემთხვევაში ა. შეიძლება გააზრებული იყოს, როგორც მწყემსური სიმღერა).

არსებობს აზრი, რომ ა. თავდაპირველად ნიშნავდა მუსიკალურ ინსტრუმენტს და შემდეგ მიიღო ამ საკრავზე დამღერებული ჰანგის მნიშვნელობა.

anzud-i (ძველი წაკითხვით იმდუგუდ), მითოსურ ფრთოსანი, ლომსახიანი არწივი, რ-ც თავისი გარეგნული სახით და ფუნქციით ქართული ზღაპრების ფასკუნჯს მოგვაგონებს. ა. პერსონაჟია შუმერული და აქადური მითოლოგიური თქმულებებისა.

შუმერულ მითოლოგიაში ა. კეთილ არსებად არის წარმოდგენილი, მთავარი გმირის დამხმარე პერსონაჟია; ადამიანსა და მას შორის კეთილი ურთიერთობა მყარდება: „ლუგალბანდას ეპოსში“ გზადაკარგული *ლუგალბანდა* ა-ის გულის მოსაგებად თავის მართვეებს, რ-ც მარტო არიან დარჩენილნი, გვირგვინებით შეამკობს, ხოლო მადლიერი ა. შინ მობრუნებისას ქება-დიდებას ეტყვის, დალოცავს ლუგალბანდას და უსიერ ტევრიდან გასასვლელ გზას ასწავლის. ამ ეპოსის მიხედვით მისი ადგილსამყოფელია „გაფოფრილი ხე ენქისეული-არწივისა“ (შესაძლოა, „ენქის არწივი“ ა-ს გულისხმობდეს), რ-ც შეიძლება კოსმიურ ხის ერთ-ერთი გამოვლენა იყოს. ა. ისევე როგორც ჩვენი ზღაპრების ფასკუნჯი, „მთის ხარით“ იკვებება და მითვე ზრდის თავის ბარტყებს. შუმერული ა. გრძნეული არსებაა, რ-საც კაცთათვის ბედის დასაზღვრის უნარი აქვს. ნიშანდობლივია მისი დახასიათება: „ცა მის ხელზე დევს, მიწა კი მის ფეხზე დევს, ფრთები ბადესავით აქვს გადაშლილი“, რაც მის კოსმიურ ბუნებაზე და განზომილებაზე მიგვითითებს. აღსანიშნავია, რომ *ნინგირსუს* საომარ ბადეს ტარად აქვს ა-ს გამოსახულება.

აქადური მითოსის მიხედვით, რომლის შუმერული ვერსია ჩვენამდე შემონახული არ არის (თუკი საერთოდ არსებობდა), ა. ბოროტ, კოსმოსისა და ღმერთების მოწინააღმდეგე არსებად არის წარმოდგენილი. იგი მოსტაცებს ბედისწერის დაფებს *ენლილს* და სადღაც შორს, მთიანეთში წაიღებს, რის შედეგადაც ქვეყნად დუმილი და წყვდიადი (ქაოსის ნიშნები) დაისადგურებს. ბედისწერის დაფების გარეშე დარჩენილი და ქაოსში მიბრუნებულ სამყაროს იხსნის *ნინურთა* (ან *ნინგირსუ*), რ-ც ამარცხებს ა-ს და უკან აბრუნებს დაფებს.

ერთი ყრუ ცნობის მიხედვით ა-ს წინააღმდეგ შამაშიც იბრძვის; სახელდობრ, ეტანას მითოსში ნათქვამია: „შამაშის ბადეს თავს ვინ დააღწევს? თვით ავი ანზუ მას ვერ გაექცა!“.

anu (შუმ, ან „ცა“), შუმ. ენაში ეს სიტყვა აღნიშნავს როგორც საკუთრივ „ცას“ („ზე ასახედველს“, საბა), ისე ცის უზენაეს ღმერთს. ა. არის შუამდინარული პანთეონის ტრიადის პირველი წევრი (ანუ – *ენლილი* – *ეა*). იგი არის სამყაროსა და ღმერთების მამა; ხშირად ამ ტიტულს და ძალაუფლებას იზიარებს ენლილთან ერთად, რ-ც ზოგჯერ მის ძედ იწოდება. ა. ახორციელებს უზენაეს ხელისუფლებას, განაგებს ღმერთებისა და ადამიანის ბედს, მაგრამ იგი იმდენად შორს არის ქვეყნისაგან, რომ მისი სახე მკრთალდება და კარგავს კონკრეტულობას. ფაქტიურად სამყაროს მართავენ მეორე რანგის ღმერთები, რ-ბიც ა-ს გეგმის მიხედვით წარმართავენ ქვეყნიურ და ციურ საქმეებს. მითოსში ნაკლებად გვხვდება პერსონაჟად; გილგამეშის ეპოსში იგი თავისი ასულის, ქალღმერთ *იშთარის*, თხოვნით ქმნის „ზეციურ ხარს“ და აგზავნის ურუქში *გილგამეშისა* და *ენქიდუს* დასასჯელად.

როგორც პანთეონის მეთაურს, ა-ს მინიჭებული აქვს უზენაესი მეუფება, რაც გამოიხატება მისივე სახელიდან ნაწარმოები ტერმინით *ანუთუ* („ანუობა“). მისგან იღებს დასაბამს ამქვეყნიური მეფობა, რ-იც მითოსის თანახმად „ციდან ჩამოვიდა“. ა. ანიჭებს ამქვეყნიურ მეფეს სამეფო ინსინიებს – კვერთხს, ტახტს, გვირგვინს და კომბალს ხალხის დასამწყემსავად.

ა. წარმოდგენილი იყო „დიდი ხარის“ სახით, რ-ც ჰიეროგამიულ კავშირშია „ფურის“ სახით წარმოდგენილ დედამიწასთან. მათი კავშირის შედეგად მიწის პირი ნაყოფიერდება, მწვანით იმოსება. სხვა ტრადიციით, მისი დედრული ცალის სახელია ანთუ (ნაწარმოებია ან-ზე დედრ. სქ. სუფიქსის დართვით), რ-საც მხოლოდ და მხოლოდ ნომინალური არსებობა აქვს.

ა-ს ჰყავს შვიდი მაცნე, შვიდი მავნე დემონი, ორი მრჩეველი, სამი სამართლის გამრიგე. მისი მთავარი ტაძარია *ურუქში* – ეანნა „ცის სახლი“ (ან „ანის სახლი“), სადაც მისი კულტი ცის დედოფალთან *ინანა-იშთართან* არის შეთავსებული.

იმპერიების (ბაბილონისა და აშურის) ხანაში ა-ს ადგილს, როგორც უზენაესი ღმერთისა, იჭერენ „ერობნული“, უფრო სწორად, იმპერიული ღვთაებები – ბაბილონში *მარდუქი* და აშურში *აშური.* მხოლოდ ჩამოთვლაში იხსენიება პირველ ადგილას; მისი როლი იმდენად დამცრობილია, რომ „აშურის ნაშიერადაც“ კი არის მოხსენებული ტექსტებში. ერთგან მის დედად მთვარის ქალღმერთი *ნინგალი* არის გამოყვანილი.

მაგრამ, საზოგადოდ, ა. ინარჩუნებს უზენაესობას და მისი სახელი განდიდების მიზნით, როგორც ზოგადი სახელწოდება, მიეწერება სხვადასხვა ღმერთებს – *ენლილს, მარდუქს, სინს, თამუზს...*

ა-ს საკრალური რიცხვია 60, სრული რიცხვი.

anunaqebi, კრებითი დაბალი რანგის ღვთაებებისა, რ-ბიც შუმერულ რელიგიასა და მითოლოგიაში დაკავშირებულნი არიან ხთონურ სამყაროსთან. მათი სამყოფელია ქვესკნელი, სადაც ისინი (ალბათ *ერეშქიგალის* განგებით) მკვდართა სამართალს არჩევენ.

ბაბილონური კოსმოგონიის მიხედვით *მარდუქმა* სამასი ანუნაქი ქვესკნელში გაამწესა, ხოლო სამასი – ცაში. მაგრამ ჩვეულებრივ ა-ები „ქვენა ღმერთები“ არიან *იგიგების* საპირისპიროდ. ერთ მითოლოგიურ ფრაგმენტში, რ-ც შუმერულ ენაზეა შემონახული, ა-ბი შედარებულნი არიან პირველყოფილ, ველურ ადამიანებს: „მსგავსად ადამიანებისა, პირველად რომ გაჩნდნენ, ანუნაქებმა არ იცოდნენ სამოსელით შემოსვა; ცხვრებივით პირით ძოვდნენ ბალახს, არხებიდან სვამდნენ წყალს“.

ზოგჯერ ა-ბი „დიდ ღმერთებად“ არიან მოხსენიებულნი, ამ შემთხვევაში ანუნაქი „ღმერთის“ ზოგადი სახელი უნდა იყოს.

გილგამეშის ეპოსში ა-ები შემდეგ კონტექსტში არიან ნახსენები: „ანუნაქები, დიდი ღმერთები იკრიბებიან; მამეთუ – ბედისწერის შემქმნელი, მათთან ერთად ბედისწერას გადაწყვეტს; დაადგენენ სიკვდილ-სიცოცხლეს, სიკვდილის დღეს არ გააცხადებენ“.

როგორც ქვესკნელის მსაჯულნი, ა-ები, ხნ შვიდნი არიან, ხან ცხრანი.

რაკი ა-ბი მიწასთან არიან დაკავშირებულნი, დედამიწა (უფრო ყანა) „ანუნაქთა ველად“ იწოდება.

anSar da qiSar, მამრი და დედრი ღვთაება ბაბილონური კოსმოგონიურ მითოსში:"ანშარი და ქიშარი იშვნენ, მათზე (ე. ი. წინა თაობის წყვილზე) უპირატესი შეიქნენ." ა. და ქ. განასახიერებენ თავდაპირველ, "ჩანასახობრივ", დანაწილებას სამყაროსას, ჯერ კიდევ ქაოსის მდგომარეობაში წინასწარ მოასწავებენ მის ბინარულ სტრუქტურას – შუმერული წარმოშობის სახელწოდებები ნიშნავს: ან–შარ – "ზემო ყოვლაობას" (მამრული საწყისი) ქი–შარ "ქვემო ყოვლადობას" (დედრული საწყისი). მათი ერთიანობა შეადგენს კოსმოსს.

ბუნებრივია, რომ ა. და ქ. უპირისპირდებიან ქაოსის განმასახიერებელ თიამათს, რადგან მათშია მოცემული პირველი ნაკვთი კოსმოსისა. ქ–გან არის წარმოშობილი ცის ღმერთი ა ნ უ, ცის ღმერთი.

araTa, ლეგენდარული ქვეყანა შუმერულ მითოსსა და ეპოსში. მისი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. ფიქრობენ, თითქოს იგი მდებარეობდა აწ. ურმიის ტბასა და კასპიის ზღვას შორის; ან სამხრეთ-დასავლეთ ირანში (შესაძლოა ლარისტანის ოლქში). ა. მოხსენებულია *ენმერქარისა* და *ლუგალბანდას* ეპიურ ტექსტებში, როგორც ურუქის მეტოქე ქალაქი. ტექსტების მიხედვით ა. მდიდარი ყოფილა საშენი მასალით, ძვირფასი ქვებითა და ლითონით, აგრეთვე ოსტატებით. ა-ზე თვალი ეჭირათ ურუქის მბრძანებლებს, მაგრამ მისკენ ლაშქრობა გზისკენ სიშორის გამო („შვიდი მთის იქით“) ძნელდებოდა. ა. დახასიატებულია როგორც „მთა წმინდა მადლთა“. ა-ს მფარველობს *ინანა*, მაგრამ იგი უპირატესობას მაინც ურუქს ანიჭებს, რადგან იქ დგას მისი მთავარი ტაძარი. ენმერქარის ეპოსის მიხდვით ა-ს და ურუქს შორის მიმოდის მაცნე რ-საც, აგზავნის იქ ურუქის ქურუმი, ენმერქარი, და მიაქვს ბატონის დანაბარები; მასვე უკან მოაქვს ა-ს ბატონის პასუხი. სიტყვიერ პაექრობაში საბოლოოდ იმარჯვებს ურუქი და ა-ც ვალდებული ხდება გაუგზავნოს ურუქს საშენი მასალა და ოსტატები ტაძრის ასაგებად.

სიტყვამ „არათთა“ აქად. ენაში მიიღო საუკეთესოს, საუცხოოს მნიშვნელობა.

arali, ქვესკნელის ერთ-ერთი გავრცელებული სახელწოდება, რომლის ეტიმოლოგია უცნობია. აქადურ ტექსტში დადასტურებულია ა-ს მთა, სადაც თითქოს ოქროს საბადოებია („წითელი ოქრო, არალის მთის ნაშობი“), რაც ეთანხმება მითოსურ შეხედულებას, რ-ის თანახმად ოქრო და ძვირფასი ლითონები ხთონური წარმოშობისაა. შუამდ. მითოლოგიაში არ არსებულა ერთიანი წარმოდგენა ქვესკნელზე ანუ მკვდართა სამეფოზე. მითოლოგიური ფრაგმენტის მიხედვით, რ-იც გამოყენებულია გილგამეშის ეპოსში ენქიდუს სიზმრის შინაარსად, ა. არის „წყვდიადის სახლი“ და „მტვერის სახლი“, სადაც სასმელ-საჭმელად თიხა და მიწის მტვერია. ქვესკნელი არის სამზეოს ანტიპოდური ადგილი, სრული ბნელეთი (შდრ. ქართ, „შავეთი“), თუმცა ერთ შუმერულ ელეგიაში თითქოს გამოთქმულია იმედი, რომ მზე - უ თ უ, ერთხელაც იქნება და „ბნელ ადგილებს ნათელ ადგილებად გადააქცევს“. ა-ს, „დიდ მიწას“, რ-ც დახასიათებულია როგორც „უკანმოუქცეველი ქვეყანა“, გარს არტყია შვიდი გალავანი შვიდი კარიბჭით, რ-ბიც უნდა გაიაროს ქვესკნელში ჩამავალმა და თითოეულ კარიბჭესთან, როგორც ვკითხულობთ *ინანას* მითოსში, თითო სამოსელი და სამკაული უნდა დატოვოს, ისე რომ სრულიად შიშველი უნდა წარდგეს *ერეშქიგალის* წინაშე. სხვა მითოლოგიური გადმოცემით, ა-ში ჩამავალმა მკვდრის სულმა უნდა გადალახოს მდინარე ხუბური. ა-ის განმგებელია დედრი ქალღმერთი, ერეშქიგალი, რომელსაც ჰყავს დამხმარენი – „მემატიანე“ *ბელითცერი* და *ანუნაქები*, მკვდართა მსაჯულნი. ქვესკნელში ვხედავთ შამაშსაც, რ-იც აქ, როგორც ჩანს, *ნერგალის* სახელწოდებით ჩამოდის (გავიხსენოთ მისი ეპითეტი „ზემოურთა და ქვემოურთა მსაჯული“. როგორც ზოგიერთი ტექსტიდან ჩანს, შესაძლებლად იყო მიჩნეული დროებით ჩასვლა ქვესკნელში რაიმე დავალების შესასრულებლად (შდრ. ჰერაკლეს ერთ-ერთი გმირობა). ქვესკნელში ცოცხლივ ჩამავალმა უნდა დაიცვას მთელი წყება აკრძალვებისა (უნდა მოიქცეს იმის საწინააღმდეგოდ, როგორც სამზეოში იქცევა), თორემ „ქვესკნელი დააკავებს მას“ და თავის მკვიდრთა შორის შერაცხავს. ა-თან კავშირი, როგორც ერთი შუმერული ტექსტიდან ჩანს, ხორციელდება ხვრელის საშუალებით, საიდანაც ღმერთების ნებართვით ნიავივით ამოდის მკვდრის სული

და ურთიერთობას ამყარებს ცოცხლებთან. აქად. მითოლოგიური წარმოდგენით, ქვესკნელში ჩამავალი კარიბჭე ქ. ქუთაში, სიკვდილის ღმერთის, *ნერგალის*, მთავარ საკულტო ქალაქში იყო, ამიტომაც ეს ქალაქი ჩათვლილი იყო მკვდართა სამეფოს ამქვეყნიურ შესატყვისად. გარდა მის განმგებელთა და სამზეოდან ჩამოსული სულებისა, ა., როგორც ერთი ასურული თხზულება მოგვითხრობს, დასახლებულია უამრავი სახის ჯოჯო-არსებებით: იქ არიან არსებანი, რ-ნიც სხვადასხვა ცხოველების, *ანზუდის* და ადამიანის ნაჯვარს წარმოადგენენ. იქ არის განპიროვნებული სიკვდილი. რ-საც რომელიღაც ურჩხულის თავი აბია, ხელები ადამიანისა აქვს, ხოლო ქვედა კიდურებად – გველები. *ენქიდუს* სიზმრის მიხედვით (იხ. გილგამეშის ეპოსი) მიცვალებული ქვესკნელში ანზუდის სახიან ფრთოსანს მიჰყავს.

ქვესკნელი მრავალი სახელწოდებით იხსენიება შუამდ. ტექსტებში, მათი უმრავლესობა ეპითეტებია, რ-ბიც სხვადასხვა კუთხით ახასიათებს მას: „დიდი ქალაქი“, „დიდი მიწა“ (შდრ. ქართ. „გრძელი ქვეყანა“), „უკანმოუქცეველი ქვეყანა“ (შდრ. ქართ. „არდაბრუნდის ქვეყანა“), „შორეული ქვეყანა“, ამიტომაც მკვდარი „შორი გზით მავალად იწოდება“, „მარადიული ქალაქი“ (შდრ. დანტეს ჯოჯოხეთის სახელწოდება cittá eterna) „ველი“, „უდაბნო“, „მზის დასავლის კარიბჭე“, „უკაცრიელი ადგილი“ და სხვ.

ჩვეულებრივ ა. ანუ ქვესკნელი უქვემოეს ადგილად არის მიჩნეული სამყაროს სამ სკნელს შორის: ზემო მიწა – ცოცხალთა სამყოფელი, სადგომი; შუა მიწა – *ენქის* სამფლობელო; ქვემო მიწა – მკვდართა სამყოფელი.

aruru (შუმ. „თესლისმიმნიჭებელი“), ქალღმერთი, ღმერთი, რ-იც აქადურენოვანი მითოლოგიური ფრაგმენტის მიხედვით ადამიანის შექმნაში იღებს მონაწილეობას. ერთ ტექსტში ცოცხალი არსებები ამგვარად არიან დახასიათებულნი: „არსნი, რომელიც არურუმ მოზილა“... ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ა. არა მხოლოდ ადამიანის, არამედ საერთოდ, ყოველი სულდგმულის შემქმნელად ითვლება; უფრო ზუსტად, ა-ს მიერ არის მოზელილი მათი „მასალა“ და გაფორმებული მათი ფიზიკური სხეული. ერთი ბაბილონური მითოსის მიხედვით ა. *მარდუქთან* ერთად ქმნის კაცთა მოდგმას; იგი იწოდება აგრეთვე „ღმერთების დედად“ (ან ღვთაებრივ დედად“). მისი შექმნილია პირველი კაცი და შემდგომშიც ხელს უწყობს კაცთა მოდგმის გამრავლებას.

გილგამეშის ეპოსში იგი იმავე ხერხით ქმნის ენქიდუს, როგორც შექმნა პირველი კაცი: „არურუმ ხელნი განიბანა, თიხა მოზილა, ველზე დააგდო, ველზე იშვა გმირი ენქიდუ“. ა. *ანუს* მიერ წინასწარ შთაგონებული ხატის მიხედვით („მოდელზე“) ძერწავს პირველ ადამიანს. მისი საქმიანობის ხასიათი გამოხატულია ეპითეტში „მეთუნეობის დედოფალი“. საფიქრებელია, რომ იგი ითვლებოდა ამ ხელობის მფარველ ღვთაებადაც.

afqal-i (შუმ. აბ-გალ „დიდი მამა?“ იდეოგრამულად ნუნმე-თაგ „დიდებული მადლით შემკული“), მითოსურ არსებათა ერთი დასის სახელი, რ-ბიც მოღვაწეობდნენ წარღვნამდელ ეპოქაში და განასწავლიდნენ კაცთა მოდგმას. შუმ.-აქად. ტექსტების მიხედვით, ა-ები დაკავშირებულნი ყოფილან სამხრეთ შუამდინარეთის უძველეს ქალაქებთან, სადაც მათ დაუფუძნებიათ კაცობრიული კულტურა. („შვიდნი აფქალნი ერიდუსანი“ ...წარღვნამდელნი ძველნი აფქალნი, რომელნიც შუქუფაქში იყვნენ“). მითოლოგიური ტრადიცია მათ საცხოვრებელს მტკნარი წყლების სიღრმეებთან აკავშირებს, სახელდობრ, *აბზუსთან*: „სად არიან აბზუს შვიდნი აფქალნი, წმინდა თევზნი, რომელნიც მსგავსად მათი უფლისა, ეასი, გონებასრულნი არიან?“ სხვა ტრადიციის მიხედვით ისინი მდინარეში იშვნენ

(მდინარეც ხომ აბზუს წყლებიდან იღებს დასაბამს): „შვიდი აფქალი, მდინარეში რომ იშვნენ, ცისა და მიწის განგებათა სწორად წარმმართველნი“.

ა-ები „შვიდი ბრძენის“ სახელწოდებით თითქოს ნაგულისხმევი უნდა იყვნენ გილგამეშის ეპოსის პროლოგში, სადაც პოეტი ქება-დიდებას ასხამს ურუქის გალავანს: „განა შვიდმა ბრძენმა არ ჩაუყარა მას საფუძველი?“.

აქად. ენაში ა. „ბრძენის“, „მოძღვრის“ განზოგადებულ სახელწოდებად იქცა.

aSnan-i, მარცვლეულის დედრული ღვთაება; მისი მნიშვნელობა ასახულია მისსავე იდეოგრამაში, რ-შიც შედის "მარცვლის", "თავთავის" ნიშანი. შუმერული ტექსტების მიხედვით ა. შეიქმნა ცაში *ანუნაქების* გამოსაკვებად, მაგრამ რაკი მათ ვერ შეძლეს მისი გამოყენება ადამიანის ხელშეწყობის გარეშე, *ენქის* მოთხოვნითა და *ენლილის* ბრძანებით იგი მიწაზე დაეშვა. ა. ნედლი, მოუწეველი პურეულის განსახიერებაა, რაზეც უნდა მიუთითებდეს მისი ეპითეტი "ქალწული". ერთ ტექსტში ნათქვამია: "სათესლე ხნულში მდგარი აშნანი ქალწულია, სიუხვით დატვირთული".

ამავე დროს ა. განსახიერებაა პურისა: "კეთილი (ტკბილი) პური, საქვეყნო პური".

aSur-i, სემიტური ღვთაება, რ-ის სახელსაც ატარებს ჩრდ. მესოპოტამიის ქალაქი, დედაქალაქი ასურეთის იმპერიისა. რ-ის აღზევებასთან ერთად ძლიერდება მისი მფარველი ღმ. *აშურიც* და, ბოლოს, იჭერს სამყაროს დემიურგის ადგილს ბაბილონელთა *მარდუქის* პარალელურად. შუმ. კოსმოგონიური მითოსის ასურულ ტექსტში მისი სახელი მარდუქის სახელს არის ჩანაცვლებული. მისი კულტის გაძლიერების დასტურია ისიც, რომ იგი იწოდება "აშურელ ენლილად": ტექსტებში შევხვდებით მის ეპითეტად "დიდ მთას", რაც, როგორც ცნობილია, *ენლილის* ძირითადი ეპითეტია.

ასურეთის მეფის, სინახერიების, წარწერაში ვკითხულობთ: "ჩემი საკუთარი ხელოვნებით შევქმენი გამოსახულება აშურისა, რომელმაც თიამათის წიაღში ბრძოლა გამართა, როგორ აღმართა მშვილდი წარღვნის მომტან ეტლზე ამხედრებულმა " სხვაგან: "გამოსახულია ის წამი, როცა აშურს ჯერ კიდევ არ დაუმარცხებია (არ შებორკავს) თიამათი და შეჰყურებს მის მხეცებს, რომელთაც თიამათი ატარებს "

რაკი აშური *თიამათის* წინააღმდეგ მებრძოლად არის გამოყვანილი, ამიტომ იგი კოსმოსის შემქმნელია და იმავე როლს ასრულებს კოსმოგიონიაში, რასაც მარდუქი.

აშური უპირატესად ომის ღმერთია, ვითარცა მეომარი, მილიტარული სახელმწიფოს პატრონი ღვთაება. ნიშანდობლივია, რომ მარდუქისაგან განსხვავებით, იგი არასოდეს იწოდება კაცთა მოდგმის ან, საერთოდ სიცოცხლის, შემქმნელად, აშური ისევე ებრძვის ასურეთის სახელმწიფოს მტრებს, როგორც თიამათს, – კოსმოგონიური ბრძოლა გრძელდება ისტორიაში.

აშურის სიმბოლოა ანთროპომორფული ფრთიანი მირგვალა.

babilon-i (აქად. ბაბ-ილი "კარი ღმერთებისა"), ბაბილონეთის დედაქალაქი, რ-იც აღზევდა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში. როგორც მისი სახელი მიუთითებს, ბ. წარმოდგენილი იყო წმინდა ქალაქად, რადგან მის წიაღში დავანებული არიან ღმერთები. ბაბ. კოსმოგონიის თანახმად *ანუნაქებმა* ააგეს ზეციური ბ. ღმერთების განსასვენებელ ადგილად, ხოლო მის ყაიდაზე აგებულ იქნა ამქვეყნიური ბ. ბ-ის მთავარი ღვთაება იყო *მარდუქი*, რომელიც შემდგომ, ბ-ის აღზევების ხანაში, სამყაროს შემოქმედ ღმერთად იქცა. ბ-ის მთავარი სიწმინდეა მარდუქის ტაძარი

ესანგილა ("თავაპყრობილი სახლი") რ-საც აგრეთვე ცაში აქვს თავისი ორანი. აქ იკრიბებიან ღმერთები, მართავენ ლხინს და დასაზღვრავენ ქვეყნის ბედს.
bad-Tibira "წარღვნამდელი" შუმერის ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი, რიგით მეორე ქალაქი, სადაც მეფობამ *ერიდუდან* გადაინცვლა. ბ. მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი მიჩნეულია დუმუზის სამშობლო ქალაქად. შუმ. "მეფეთა სიის" მითოლოგიური ნაწილის თანახმად, დუმუზიმ ბ-ში 39000 წელი იმეფა. ბ-დამ შუმერის მეფობა სხვა ქალაქში, ლარაქში გადავიდა.

gaTumdug-i, შუმ. ქალაქის, ლაგაშის უძველესი ქალღმერთი, რ-იც განასახიერებს მის ერთიანობას, რამდენადაც ქალაქის მკვიდრნი მის შვილებად ითვლებიან; ამ ასპექტში მისი ეპითეტია "დედა მრავალთა შვილთა". გ-ს ვითარცა ლაგაშის "მშობელს", ქალაქის მთავარი თავის დედად (და მამადაც კი) თვლის: "დედა არა მყავს, მამა ხარ ჩემი! ჩემი ჩანასახი მუცლად მიგიღია, წმინდა ბაგინში გიშობივარ". ამავე დროს ლაგაშის მთავარი თავის თავს გ-ის მოყმედ თვლის (არრად-გათუმდუგ). ლაგასის ქალღმერთი თავისი ქალაქის დამფუძნელბლად იხსენიება ("დედოფალო, დედავ, ლაგაშის ფუძევ!")
ბელ-I (აქად. "ბატონი", "უფალი"), აქად. პანთეონის ღმერთების, კერძოდ, ე ნ ლ ი ლ ი ს ა და მ ა რ დ უ ქ ი ს სახელწოდება. გვიანბაბილონურ ხანაში ბ. იქცა მარდუქის ძირითად სახელად. ამიტომაც ელინისტურ ხანაში ბ. იქცა მარდუქის ძირითად სახელად. ამიტომაც ელინისტური ხანის ბერძნულ ტექსტებში ზევსთან გაიგივებული მარდუქი იხსენიება სახელით "ბელოს" (ფინიკიურ და უგარიტულ მითოლოგიასა და რელიგიაში ბაალი მთავარი ღმერთის სახელია).
beliT-ceri (აქად. "უდაბნოს ქალბატონი"), ქვესკნელის ღვთაება, ბედის მწერალი, რომელსაც ხელთ უპყრია "ბედისწერის დაფები" და კითხულობს მკვდართა სამეფოს დედოფლის, ე რ ე შ ქ ი გ ა ლ ი ს, წინაშე.
borsifa ბაბილონეთის ერთადერთი ქალაქი, ნ ა ბ უ ს – დამწერლობისა და ხელოვნებათა ღმერთის მთავარი საკულტო ადგილი. როგორც ყოველი ქალაქი, ბ-ც გაიგივებულია თავის ტაძართან, რომელიც ატარებს "ეზიდას" სახელწოდებას, რაც ნიშნავს "ჭეშმარიტ სახლს". ბ. ერთ ჰიმნში მითოსურ ასპექტშია წარმოდგენილი: იგი კოსმიური თაძრის (ეშარას) ორანია, რომლის თხემი ცას სწვდება, ხოლო საფუძველი ქვესკნელამდე აღწევს.
geSTinana (შუმ. "ციური ვაზი"), დაბალი რანგის ქალღვთაება, დაკავშირებული *ინანა-დუმუზის* მითოსურ ციკლთან: დუმუზის და, ერთადერთი არსება, რომელიც ბოლომდე ერთგულობს მას, განუმარტავს ავისმომასწავებლ სიზმრებს და ამაოდ ცდილობს მის გადარჩენას ავი დემონებისაგან, რ-ბიც დასაღუპად ედევნებიან დუმუზის. გ. არის ქალური ინტუიციის, დაძმური სიყვარულისა და თავდადების განსახიერება შუმ. მითოსში. იგი სამჯერ გამოჩნდება დუმუზის ბიოგრაფიაში (თუ გავითვალისწინებთ დღემდე შემორჩენილ ტექსტებს): ერთხელ თავისი ძმის მწყემსურ გარემოში, იდილიურ ყოფაში; მეორეჯერ, მისი ტრაგიკული აღსასრულისას; მესამეჯერ, როცა ინანასთან ერთად დასტირის დაღუპულ მწყემსს.
გიბილ-I (შუმ. "ცეცხლი", "განახლება"), ცეცხლის ღმერთის შუმერული სახელი, იხ. გ ი რ უ.
gilgameS-i, შუმერული პოეტური ქმნილებებისა და აქადური ეპოსის გმირი. *ურუქის* ლეგენდარული მეფე, რ-ის სახელი ნახსენებია შუმერის მეფეთა სიაში. შუმ. სიმღერებში გამოყვანილია როგორც ენერგიული და გამბედავი ჭაბუკი მეფე, რ-საც სახიფათო თავგადასავლებისაკენ მიუწევს გული. ერთგან მისი მიზანია *უთუს*

სახელის დამკვიდრებაა იქ, სადაც მისი სახელი არ დამკვიდრებულა, ხოლო იქ, სადაც უთუს სახელი მკვიდრობს, თავისი საკუთარი სახელის დამკვიდრება. ამავე სიმღერის მიხედვით გ. შეძრულია ადამიანის გარდუვალი მოკვდავობის ფაქტით და სწორედ ამ პერსპექტივის დაძლევის მიზნით გაემართება სალაშქროდ კედარის ტყეისაკენ, რ-საც ტექსტში "ცოცხალი კაცის ქვეყანა" ეწოდება. ეს მოტივი აქად. ეპოსში გარდაქმნილია სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს ძიების მოტივად.

ერთი ბუნდოვანი შუმ. ტექსტი მოგვითხობს გ-ის კონფლიქტზე *ინანასთან* (ეს ეპიზოდი გადამუშავებული სახით არის შესული აქად. ეპოსში), ხოლო ნახევრად ისტორიულ, თითქოს "დოკუმენტურ" თქმულებაში მოთხრობილია *ურუქის* მოწინააღმდეგე ქალაქის – ქიშის ბელადზე მისი გამარჯვების ამბავი. როგორც აქ, ისე კედარის ტყის ეპიზოდში, მისი განუყრელი თანამგზავრია ენქიდუ, რ-იც შუმ. ტექსტებში მის ყმად იწოდება.

სხვა წრის ტექსტებში გ. გვევლინება ინანას ძმად და მის მფარველად, მისი სურვილების აღმსრულებლად: იგი განდევნის ინანას მიერ დარგული ხიდან *ანზუდს* და მოკლავს ხის ძირში მოკალათებულ "მომნუსხველ გველს". ამ ხის ფესვებიდან იგი გაიკეთებს მუსიკალურ საკრავებს, რ-ბიც შემდგომ ქვესკნელში ჩაუცვივდება. ამასთან არის დაკავშირებული ერთი სიმღერა, რ-იც მოგვითხრობს ენწიდუს ჩასვლას ქვესკნელში ამ საკრავების ამოსატანად. ენქიდუ ვეღარ ამოდის უკან და გილგამეში მხოლოდ მის სულთან ამყარებს კონტაქტს.

გ-ის პიროვნება არსებითად განსხვავებულია აქად. ეპოსში, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ აქ ენქიდუ მის მეგობრად არის გამოყვანილი. ამავე დროს მისი ბუნება არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული, იგი გარდაქმნებს განიცდის ეპოსის მდინარებაში: სხვაა გილგამეში ენქიდუსთან დამეგობრებამდე და სხვაა ენქიდუსთან დამეგობრების შემდეგ. ენქიდუ თავისი გამოჩენით აღვიძებს მასში ზნეობრივ, ხოლო თავისი სიკვდილით – მოაზროვნე პიროვნებას. სწორედ მეგობრის სიკვდილის შემდეგ დაფიქრდება გილგამეში სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ საიდუმლოზე და არ შეუშინდება შორეულ გზას *უთანაფიშთისკენ.*

გ-ის თავგადასავლის მთავარი ეპიზოდებია: ბრძოლა *ხუმბაბასთან* და კედარის ტყის დაპყრობა, *იშთარის* სასიყვარულო წინადადების უარყოფა და მის დასასჯელად გამოგზავნილი ცეცხლისმფრქვეველი ხარის განადგურება (ენქიდუსთან ერთად), სიკვდილის წყლების გადალახვა უთანაფიშთისკენ მიმავალ გზაზე, „განჭაბუკების ბალახის" ამოტანა ოკეანის სიღრმიდან და მისი დაკარგვა და რაც მთავარია, „წარღვნამდელი ამბის" მოტანა ურუქში (მან თავად უთანაფიშთისაგან, წარღვნის გმირისაგან და თვითმხილველისაგან მოისმინა წარღვნის ამბავი და შემოუნახა თანამემამულეებს). ეპოსის პროლოგში ნათქვამია, რომ მან თვითონ ამოკვეთა ქვაზე მთელი თავისი თავგადასავალი და ამასთან ერთად, უნდა ვიგულისხმოთ, წარღვნის მითოსიც.

gipar-i შუმ. სახლი, სადაც სრულდებოდა საკულტო ქორწინების რიტუალი (ჰიეროგამია) ქალაქის თუ ქალაქ-სახელმწიფოს ღვთაებასა და ქურუმს შორის.

giru, ცეცხლის ღმერთი ასურულ-ბაბილონურ პანთეონში. გ. ერთის მხრივ მიჩნეულია *ანუს* პირმშოდ, რითაც მინიშნებულია ცეცხლის ციური წარმოშობა; მეორე მხრივ, იგი არის *აპზუს* ძე ანუ წყლის სტიქიონისა, რითაც გადმოცემულია თითქოს ის ფაქტი, რომ წყლით სავსე ღრუბელში იბადება ცეცხლი ელვის სახით. იმ მნიშვნელობის გამო, რ-იც ცეცხლსა აქვს ყოველდღიურ ყოფაში, გ. გამოცხადებულია ქალაქთა დამფუძნებლად (მხედველობაშია აგურების გამომწვავი ცეცხლი) და ტაძართა განმაახლებლად (საგულისხმოა, რომ შუმ. სიტყვა ცეცხლისთვის „გიბილ" ნიშნავს აგრეთვე „ახალს", ხოლო ზმნური მნიშვნელობით

„განახლებას“, შდრ. ქართ. „სატფურება“ – „განახალება“). ცეცხლი აუცილებელია მსხვერპლშეწირვისათვის, ამიტომაც გ. არის შუამავალი შემწირველსა და ღმერთებს შორის. გ. როგორც განმწმენდელი, მონაწილეა მჭედლობის საქმისა, როცა იგი ადნობს და წმენდს ლითონებს (ოქრო-ვერცხლს და ბრინჯაოს), და ადამიანის რიტუალური განწმენდისა, როცა იგი წარხოცავს მისი სხეულიდან ყოველგვარ წვირს („განასპეტაკე ასონი კაცისა, ცასავით განაბრწყინე, მიწასავით განწმინდა...“)

ნათქვამია, რომ აბის თვეში (ივლის-აგვისტო) „გირუ ჩამოდის ციდან და შამაშს ეტოქება“.

guTium-i შუამდინარეთის ჩრდილო-აღმ. მთიანეთის ტომი, რ-მაც დაიპყრო და გაანადგურა *სარგონის* მიერ შექმნილი იმპერია და ასი წლის მანძილზე ბატონობდა ქვეყანაში. შუმ. ტექსტებში გ., რ-იც შემდგომ მტრის ზოგად სახელად იქცა, წარმოდგენილია „მთის გველეშაპად“, რ-მაც „შუმერის მეფობა მთაში გაიტაცა, შუმერი მტრობით აავსო, ცოლიანს ცოლი მოსტაცა. შვილიანს შვილი მოსტაცა, მტრობა და შუღლი ქვეყნად დაამკვიდრა...“ ერთ შუმ. ტექსტში გ. გამოყვანილია შუმერელთა (ანუ ცივილიზებული ხალხის, ნამდვილი კაცობრიობის) ანტიპოდად, როგორც „ხალხის არამგვანი, ხალხად არშესარიცხი, რომელმაც ადამიანური წესები არ უწყის, სახე კაცისა აქვს, ენა კი ძაღლური...“

gula, ფიზიკური სიმრთელისა და მკურნალობის ქალღვთაება, *ნინურთას* ღვთაებრივი მეუღლე. გ. უნდა იყოს ნინურთას, ვითარცა ომის ღმერთის, მსხვერპლთა მკურნალი და მათი ჭრილობების დამაამებელი. როგორც ღვთაება და მკვდართა განმაცოცხლებელი, გ. ქვესკნელთან არის დაკავშირებული, რადგან ქვესკნელში იპოვება „სიცოცხლის წყალი“, თუმცა მისდამი მიმართულ ჰიმნებში იგი „მაღალი ცის ბინადრად“ არის მიჩნეული.

ბარელიეფებზე გ. გამოსახულია ტახტზე მჯდომარედ თავის საკრალურ ცხოველთან, ძაღლთან ერთად.

dilmun-i, მითოსური კუნძული, რ-იც შუმ. ტრადიციით ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს („დ-ის მხარე, სადაც მზე ამოდის“). ერთ ასურულ ტექსტში ნათქვამია, რომ დ-ის მეფე „ცხოვრობს თევზივით ოცდაათი ბერუს მიღმა, აღმოსავლეთის ზღვის შუაგულში“. შუმ. ტექსტებში დ. მოიხსენიება საუკეთესო ფინიკის სამშობლოდ. დ. არის „წმიდა“ და „უბიწო“ ადგილი, სადაც თავდაპირველად მკვიდრობდნენ მტკნარი წყლების ბატონი ე ნ ქ ი და მისი ღვთაებრივი ცალი *ნინხურსანგა*. დ-ის ყოფით აღბეჭდილია ამქვეყნიური სამოთხის ნიშნებით: „დ-ში ყორანი არ ყრანტალებდა, დ-ში ყვავი არ ჩხაოდა, ლომი არავის მოაკვდინებდა, მგელი ბატკანს არ იტაცებდა, ძაღლი, თიკნის გამგლეჯი, არ უწყოდნენ, ტახი, ხორბლის მჭამელი, არ უწყოდნენ, დ-ში ქვრივ-ობოლი არ იპოებოდა...“

dumuzi (შუმ. „ძე ჭეშმარიტი“), *ენქისა* და სირთურის ძე, მოკვდავი მწყემსი, რ-იც შეიყვარა *ინანამ* და ღვთაების რანგში აღაზევა. შუმ. „მეფეთა სიაში“ დ. ნახსენებია წარღვნამდელი ქალაქის *ბად-თიბირას* მეფედ. შუმ. ენაზე შემონახულია მრავალრიცხოვანი ტექსტები, სადაც მოთხრობილია დ-ის სატრფიალო ურთიერთობა ქალღმერთთან, აღწერილია საღვთო ქორწინება (ჰიეროგამია) მათ შორის. დ-ს საძოვრებიდან თავისი სასძლოსთვის მოაქვს ძღვენი, ინანა ეგებება მას ურუქის ბეღელთან, სადაც იმართება ქორწილი და იშლება საქორწილო სარეცელი. მიუხედავად იმისა, რომ დ. ქალღმერთის რჩეულია, იგი ტრაგიკული ფიგურაა შუმ.-აქად. მითოლოგიასა და მწერლობაში, იგი განასახიერებს უმიზეზოდ დატანჯული

ადამიანის ბედს. დ. მსხვერპლი ხდება ავი დემონებისა, რ-ბიც ამოჰყვებიან ქვესკნელიდან გათავისუფლებულ ინანას, გააპარტახებენ მის ფარეხ-სადგომს, წაუსხამენ ცხვარს (ან დაუხოცავენ), დაუღვრიან რძეს, ცეცხლს წაუკიდებენ მის ბინას და თავადაც ქვესკნელში წაიყვანენ ინანას სანაცვლოდ (ზოგი ვარიანტით: ინანა უმტრობს მას და ჩაუგდებს მის თავს ქვესკნელის დემონებს). თუმცა მწყემსი დ. ინანას მიზეზით იღუპება, ეს არ აბრკოლებს ქალღმერთს ცხარედ დაიტიროს იგი. დატირების ტექსტებში დ. მოხსენიებულია მის არა მხოლოდ სატრფოდ, უდროოდ დაღუპულ ქმრად, არამედ ძმადაც და შვილადაც კი უკიდურესი სიყვარულის ნიშნად). ინანასთან ერთად დ-ის დასტირის მთელი შუმერის ქვეყანა. როგორც ჩანს, ტირილის მიზანი ისიც იყო, რომ ქვესკნელიდან ამოეყვანათ იგი (მართლაც, ზოგ ტექსტში ლაპარაკია მკვდრეთით აღმდგარ დ-ზე). ინანასადმი მიმართულ ჰიმნებში დ. მისი ძლევამოსილი მეუღლეა, მისთვის მებრძოლი („ბრძოლაში მტრებს დამხვავებელი, შენთვის იბრძვის ვითარცა გმირი“), და სრულიად მიჩქმალულია მისი ასპექტი, ვითარცა ვნებული ღვთაებისა.
duranqi (შუმ. „ჭიპლარი ცისა და მიწისა“), მნიშვნელოვანი მითოლოგემა, რ-იც გამოხატავს *შუმერის* რელიგიური შუაგულის, ქ. *ნიფურის* და მისი ტაძრის (ექურის) მითოსურ-რელიგიურ არსს. დ-ით დახასიათებულია ის ადგილი, სადაც „მისტიურად“ იხილვება თუ განიცდება ცისა და მიწის კავშირი, რ-იც წარმოდგენილია ცისა და მიწის დამაკავშირებელი ჭიპლარის სახით. შუმერელა რწმენით, დ. არის ის ადგილი, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ცისა და მიწის (ერთ დროს განუცალკევებელის) დაშორიშორება ანუ სივრცის წარმოქმნა, რასაც შუმ. მითოსი *ენლილს* მიაწერს. დ. ენლილის შექმნილია და მასშია დაუნჯებული მთელი მისი საკრალური ძალა რ-იც კონცენტრიულ წრეებად ვრცელდება შუმერში და მთელს ქვეყნიერებაზე. დ-ში, ამ კოსმიურ შუაგულში, გადის სამყაროს „დიდი ღერძი“ (შუმ. დიმ-გალ).

ea, იხ. ენქი.
eana (შუმ. „სახლი ანისა“ ან „სახლი ციური“), *ინანა-იშთარის* ტაძარი *ურუქში.* ხშირად იხსენიება შუამდინარულ (შუმ.-აქად.) ეპიურ თქმულებებში და მითოსში. გილგამეშის ეპოსში შექებულია, როგორც „ბრწყინვალებეღლებიანი“; ერთ შუმ. ტექსტში ე. ამგვარად არის დახასიათებული: „ეანა, ტაძარი, ციდან ჩამოშვებული, რომლის ნაწილები ღმერთებმა შექმნეს; დიდი კედელი, ღრუბლებს მიბჯენილი მაღალი სადგომი, ანის დაფუძნებული“.
ebabara (შუმ. "თეთრი სახლი"), მზის ღმერთის, უ თ უ ს ტაძარი ქ. ლარსაში (შუმ. ქალაქი ევფრატის სამხრეტ დინებაზე).
egalgina (შუმ. "მტკიცე სახლი"),ქვესკნელის სასახლე, დედოფალ ე რ ე შ ქ ი გ ა ლ ი ს რეზიდენცია.
eengura (შუმ."ენგურის სახლი" ანუ "მტკნარი წყლის ოკეანის სახლი"), ე ნ ქ ი ს ტაძარი ქ. ე რ ი დ უ შ ი.
eTemenanqi (შუმ. "სახლი-ლიბო ცისა და მიწისა"), ქ. ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ს ზიქურათის (საფეხუროვანი კოშკის) სახელწოდება.
emeslam-i (შუმ. "მესლამის სახლი"), ნერგალის ტაძარი ქ. ქუთაში ("მესლამ" ნერგალის ერთ-ერთი სახელია).

emeS da enTen, შუმ. მითოლოგიის ორი ძმური ღვთაება, რომლებიც *ენლილმა* გააჩინა ცაში და დედამიწაზე ჩამოუშვა მცენარეული და ცხოველური

ნაყოფიერების ხელშესაწყობად. თითოეულს განსაკუთრებული მოვალეობა დაეკისრა. როგორც ტექსტიდან ჩანს, ენთენს უპირატესად შინაური ცხოველები ჰყავდა ჩაბარებული („ენთენმა ცხვარს ბატკანი აშობია, თხას თიკანი აშობია; ფური და ხბო ამრავლა, რძე და ერბო გამოაღებინა...“), ხოლო ემეშს თითქოს მცენარეულ სამყაროზე ზრუნვა ჰქონდა დავალებული („ემეშმა გააჩინა ხეები და მწვანე ველები, გააფართოვა ბოსელ-ფარეხები, კარმიდამოებში მოსავალი გაამრავლა... ბეღლები ხვავით აავსო“). მაგრამ მალე ძმებს შორის დავა ატყდა პირველობაზე; დავის გადასაწყვეტად ენლილთან მივიდნენ და მათმა გამჩენმა ენთენს მიანიჭა უპირატესობა: „ქვეყანათა სიცოცხლის წყლების მცოდნეა ენთენი... ემეშ, შვილო, შენ როგორ შეედრები მას? საბოლოოდ, „ემეშმა ქედი მოიხარა ენთენის წინაშე; ემეშმა ოქრო-ვერცხლი მიართვა, ღვინო და ლუდი დაუმზადა, ძმობა და მეგობრობა აღუთქვა...“ ტექსტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნდოვანია და ხარვეზიანი, ამგვარად გვაუწყებს ენთენის გამარჯვების ამბავს: „გაიმარჯვა ენთენმა, ღმერთების ჭეშმარიტმა (ან ერთგულმა) მეურნემ“. ეს თხზულება ეკუთვნის შუმ. ლიტერატურაში გავრცელებულ „გაბაასების ჟანრს“ და აგებულია ძმათა ურთიერთობის იმ ქარგაზე, რომელიც აბელ-კაენის ბიბლიურ სიუჟეტში ტრაგიკულ დასასრულს იღებს; შუმ. ამბავში კი დავა მშვიდობიანად მთავრდება (შდრ. *დუმუზისა* და *ენქიმდუს* რაყიფობის დასასრული).

enlili (შუმ. „უფალი-ჰაერის სივრცე“), (შუმ. „უფალი-ჰაერის სივრცე“), უზენაესი ტრიადის მეორე წევრი შუამდ. პანთეონში (ანუ *ენლილი-ენქი*). ე-ის კულტი დაკავშირებული იყო ქალაქ *ნიფურთან*, სადაც იდგა მისი მთავარი ტაძარი ექური („სახლი-მთა“). შუმ. კოსმოგონიური ნაწყვეტის თანახმად ე-მა გააშორიშორა ერთიმეორისაგან ცა და მიწა და თავისი „ოქროს ცულით“ გადაკვეთა მათი შემაკავშირებელი „ჭიპლარი“ და თავად ჩადგა რა მათ შორის. ვითარცა *დურანქი* („ჭიპლარი ცისა და მიწისა“). აქედან მოდის ნიპურის ტაძრის ეპითეტი დურანქი და თავად ე-ის გავრცელებული ზედწოდება „დიდი მთა“ (ქურ-გალ), რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მთ სავით არის აღმართული ცასა და მიწას, ასახიერებს რა სამყაროს „დიდ
სვეტს“ (დიმ-გალ). იგი ავსებს მათ შორის სივრცეს და ამიტომაც ეწოდება მას „ქვეყნის გამვრცობი უფალი“, რაც სრულ შესატყვისშია მისი სახელის შინაარსთან („უფალი-სივრცე“).

რაკი ე-ს შუასკნელი ანუ ადამიანთა საცხოვრებელი სივრცე უჭირავს, იგი ითვლება კაცობრიობის ღმერთად, თუმცა ადამიანებისათვის უფრო მეტი უბედურება მოაქვს, ვიდრე სიკეთე. მისი იდეა იყო კაცთა მოდგმის სრული მოსპობა წარღვნის საშუალებით, მაგრამ როდესაც ერთადერთი გადარჩენილი ადამიანი (ზიუსუდრა) იხილა, იძულებული შეიქმნა გაეუკვდავებინა იგი.

ე. ითვლებოდა შუმერელი ხალხის ეროვნული ერთიანობის ღმერთად, რ-იც არიგებდა ერთმანეთში შუმერის დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოთა მფარველ ღვთაებებს. ე-ს ყოველ მნიშვნელოვან ქალაქში ჰყავდა თავისი ნაცვალი, რ-საც ეპყრა ქალაქის „ენლილობა“ და იწოდებოდა მის „ენლილად“.

ე-ს დედრული ცალია ნინლილი, რ-ის სახელი როგორაც ჩანს, ხელოვნურად არის შექმნილი მისი ანალოგიით. ე-ის შვილებია *დადი, ნერგალი, ნუსქუ, სინი, შამაში* და სხვ. მისი პირმშო კი არის *ნინგირსუ* (ან *ნინურთა*).

enmerqar-i, შუმ. ეპიური თქმულებების გმირი, ნახსენებია მეფეთა სიაში: „ენმერქარ მეშქიაგაშერის ძე, ურუქის მეფე, რომელმაც ურუქი ააშენა, იმეფა 420 წელს“. მამამისი მეშქიაგაშერი, ამავე სიის თანახმად *უთუს*, მზის ღმერთის ძე არის და, როგორც ჩანს, რომელიღაც დაკარგული მითოსის პერსონაჟი იყო; მასზე ნათქვამია:

„ზღვაში შევიდა და მთიდან გამოვიდა“, რაც შეიძლება ასახავდეს მზის ღმერთის დღეღამურ გზას.

ე. ეპოსშიც უთუს ძედ არის შერაცხილი; იგი არის ინანას ნანდაური, გახაზულია მისი არაჩვეულებრივი წარმოშობა: იგი „ყვითელი ფურის მიერ არის გამოკვებილი მთებში“. ამავე ეპოსში, რ-იც ცნობილია სახელწოდებით „ენმერქარი და არათთას ბატონი“, ე-ს მიეწერება ლურსმული დამწერლობის გამოგონება.

ეპოსი მოგვითხრობს *ურუქისა* და *არათთას* ურთიერთობის ამბავს. ე. ცდოლობს ურუქს დაუმორჩილოს ეს მდიდარი ქვეყანა. გაიმართება სიტყვიერი პაექრობა, სიტყვიერი ბრძოლა, ამოცანების გაგზავნა ერთმანეთთან, რაც ურუქის მაცნის საშუალებით ხორციელდება და მრავალი წლის მანძილზე გრძელდება. როგორც ჩანს, ე-ის სიბრძნე იმარჯვებს და არათთა ემორჩილება ურუქს. ამ ბრძოლაში ე-ს ზურგს უმაგრებს ქალღმერთი ინანა, რ-იც წინდაწინვე აღუთქვამს თავის ნანდაურს არათთაზე გამარჯვებას.

enuma eliS (აქად. "ოდეს ზევით"), დასაწყისი სტრიქონები აქადური (ასურულ-ბაბილონური) კოსმოგონიის ეპოსისა (ჩაწერილია მე-18 ს-ში ძვ. წ.), რომელიც შედგება შვიდი კარისაგან, სადაც აღწერილია ღმერთების თაობათა დაბადება მარადარსებული ერთმანეთში აღრეული მტკნარი და მლაშე წყლებიდან, დემიურგის (მ ა რ დ უ ქ ი ს) დაბადება და მის მიერ სამყაროს შექმნა, ადამიანის გაჩენა "დასჯილი ღმერთის" სისხლისგან და ზეციური ბაბილონის ("ღვთის კარის") ხატად მიწიერი ბაბილონის დაფუძნება. ეპოსის ბოლო, მე-7 კარი წარმოადგენს მარდუქისადმი მიმართულ ჰიმნს, სადაც იგი შექებულია როგორც ორმოცდაათი სახელის მატარებელი ღმერთი.

ე.ე.-ს კითხულობდნენ რეჩიტატივით (ან მღეროდნენ) და განასახიერრებდნენ როგორც მისტერიას ახალი წლის დღესასწაულის დღეებში. ამ დროს მარდუქი, რომლის როლსაც მეფე ასრულებდა, კვლავ იმეორებდა თავის დემიურგულ ღვაწლს - ამარცხებდა ქაოსის ძალებს და კვლავ ქმნიდა კოსმოსს.

enqi (შუმ. „ბატონი-მიწა“), შუმერული წარმოშობის ღმერთი, რ-მაც ბაბ. პანთეონის ტრიადაში მესამე ადგილი დაიჭირა ეას სახელით (ანუ *ენლილ-ეა*). შუმერული მითოსის მიხედვით ე. დაკავშირებულია დილმუნის ქვეყანასთან, რ-ის პირველ მცხოვრებლადაც არის იგი გამოყვანილი *ნინხურსანგასთან* ერთად.

სხვა, უფრო გავრცელებული ტრადიციის თანახმად, ე-ს სამყოფელი მტკნარი წყლების ოკეანეა, საიდანაც მისი ძალით ჩქეფს ყოველი წყარო და მოედინება ყოველი მდინარე დედამიწის ზურგზე. როგორც წყლის მომნიჭებელი, ე. წარმოდგენილია ხარად, რ-იც თავისი უხვი „თესლით“ ავსებს მდინარეთა კალაპოტებს. „რა მიეახლა მამა ენქი ბურანუნას (ევფრატს), მორქინალი ფურივით ამაყად მიეგება ბურანუნა; ღვარი დატვირთა ენქიმ ბურანუნა, მარადმედინი წყლით აავსო. ახლა იდიგინა (ტიგროსი) დაუდგა გვერდით მორქინალი ფურივით. ღვარით დატვირთა ენქიმ იდიგინა, საქორწინო ძღვენი მიართვა. გაიხარა იდიგინამ მორქინალი ფურივით. წყალი რომ მიართვეს, მარადმედინი წყალი იყო...“ ამგვარად არის გადმოცემული ერთ შუმერულ ტექსტში ევფრატისა და ტიგროსის წყლების წარმოშობა. ამავე ტექსტში, ე- ფიგურირებს, როგორც კულტურული გმირი-ღვთაება, რ-იც ზრუნავს სამყაროს (იგივე შუმერის) მოწყობაზე, აკურთხებს ყოველგვარ მოღვაწეობას და შრომის დარგს: გამუსაზღვრავს მოვალეობასა და ფუნქციას სამიწათმოქმედო იარაღებს (გუთანს, უღელს...) და თოხს, რ-თაც მოითხრება ქალაქთა ამშენებელი აგურის ალიზი, რასაც მიანდობს აგურის ღვთაებას – ქაბთას. ე. ქმნის მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა ფორმებს და მათ ზედამხედველად

ნიშნავს „მთათა ბატონს“ – *სუმუკანს*; ე. აშენებს ბოსლებს და ფარეხებს, რძით ავსებს ჭურჭლებს და ყოველივე ამის პატრონად დანიშნავს *დუმუზის*; მისი დასაზღვრულია საფეიქრო საქმე, ყანებზე და არხებზე მზრუნველობას *ენქიმდუს* ჩააბარებს.

ე. სიბრძნისა და ხელოვნებათა ღმერთია, აგრეთვე მაგიისა, რადგან ყოველივე ეს შუამდინარული წარმოდგენით დასაბამს წყლის სიღრმეებიდან იღებს. მის ნაშიერებად ითვლებიან *აფქალები*, რ-ბიც ისტორიამდელ ხანაში მოევლინენ შუმერის ქალაქებს და ცივილიზაციის საწყისები შემოიტანეს. მისი კულტი დაკავშირებულია შუმერის უძველეს ქალაქთან – *ერიდუსთან*, სადაც ინახებოდა კულტურული ფასეულობანი (ე. წ. „მე“-ები), რ-ბიც ერთი შუამდინერული მითოსის მიხედვით ქალღმერთმა ინანამ გამოსტყუა მას და ურუქში წაიღო (მითოსი კულტურული ცენტრის გადანაცვლებისა *ერიდუდან ურუქში*).

შემთხვევითი არ არის, რომ ბაბილონური თეოგონიის თანახმად ე-ს პირმშოა *მარდუქი*, რ-იც *აბზუში*, მის სამფლობელოში იბადება. ამავე ეპოსში მოთხრობილია, როგორ დაამარცხა და შებორკა ე-მ ქაოტური საწყისი აბზუ და როგორ აქცია იგი თავის სამფლობელოდ.

ე. მონაწილეობს პირველკაცის გაჩენაში და ამიტომაც შუამდ. მითოლოგიაში იგი ითვლება კაცობრიობის პირველ მფარველ ღვთაებად. მისი წყალობით გადაურჩა წარღვნას ერთადერთი ადამიანი – *ზიუსუდრა*, იგივე *უთანაფიშთი*, რ-საც უნდა აღედგინა წარღვნის შედეგად დაღუპული ცივილიზაცია.

enqidu, შუმ. ეპიური სიმღერებისა და აქადური ეპოსის გმირი. შუმ. ტექსტებში იგი არის გილგამეშის ყმა (არად), რ-იც თან ახლავს თავის ბატონს ყოველ ლაშქრობაში, როგორც ერთგული თანამგზავრი და მრჩეველი. ბატონისადმი ერთგულებას ე. ქვესკნელშიც კი ჩაჰყავს, საიდანაც მუსიკალური საკრავები უნდა ამოუტანოს. შუმ. ლეგენდებში არაფერია ნათქვამი მის წარმოშობაზე.

უფრო რელიეფურად და სრულყოფილად ე-ს სახე გამოკვეთილია აქადურ „გილგამეშიანში“, სადაც მკითხველის თვალწინ ჩაივლის მთელი მისი ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე. ღმერთების გადაწყვეტილებით იგი გააჩინა ქალღმერთმა არურუმ პირველგაჩენილი კაცის ყაიდაზე თიხისგან და ველური ჯოგების მწყემსად დაინიშნა. ეპოსში საგანგებოდ არის გახაზული მისი კავშირი გარეულ ცხოველებთან – იგი არ გამოირჩევა მათგან არც გარეგნობით (იგიც მათსავით ფაჩვნიერია) და არც ცხოვრების წესით (მათ მსგავსად ეწაფება წყალს, არ იცის ლაპარაკი და სხვ.). იგი გააჩინეს ურუქელთა თხოვნით გილგამეშის ენერგიის დასაოკებლად.

ე-ს ისტორია არის კაცობრიობის განვითარების ისტორია: ენქიდუ გაივლის კაცობრიობის ევოლუციის ეტაპებს, რაშიც ეხმარება მას ქალი, შამხათი, რ-იც გამოიტყუებს ველურად შობილ, ადამიანის მსგავს არსებას კაცთა საცხოვრისკენ, – ჯერ მწყემსებთან ამყოფებს, ბოლოს კი ცივილიზებულ ურუქში შეიყვანს გილგამეშთან, სადაც იგი ეზიდება ქალაქური ცხოვრების ავ-კარგს.

ე. გადამწყვეტ როლს ასრულებს გილგამეშის პიროვნების ჩამოყალიბებაში, აკეთილშობილებს მის ბუნებას, უღვიძებს მას კეთილ საწყისებს, წარმართავს მის ენერგიას კეთილი საქმეებისაკენ (ისინი ერთად მიდიან ბოროტი *ხუმბაბას* დასამხობად და კედარის ტყის დასაპყრობად), ხოლო სიკვდილის შემდეგ დააფიქრებს ობლად დარჩენილ მეგობარს სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებაზე, გააღვიძებს მასში მოაზროვნე პიროვნებას.

ეპოსისაგან დამოუკიდებლივ ე-ს ისტორიაში შეიძლება დავინახოთ ეტიოლოგიური მითოსი გარეული ჯოგების მოშინაურებისა. ე-ს უპირისპირდება უსახელო, მონადირე, რომლის დაგებულ მახეებსაც იგი არღვევს და ხელს უშლის

ნადირობაში. მონადირის მიზანია ე-ს, ვითარცა ჯოგის ბელადს, გამოტყუება და მოთვინიერება, რის შემდეგაც ადვილი გახდება ნადირობა და ველური ცხოველების ხელში ჩაგდება.

ე., როგორც ნახევარ-კაცი, არ ჩანს შუმერულენოვან ტექსტებში, მაგრამ არქაული ხანის გლიპტიკაში ასახული ჩლიქებიანი და რქებდასხმული არსება თითქოს ეს სავარაუდებელი პროტოტიპი უნდა იყოს.

enqimdu, ერთი შუმ. თხზულების პერსონაჟი, *ინანას* გულით არჩეული სატრფო და *დუმუზის* რაყიფი. მისი ეპითეტები „არხებისა და სარწყავი რუების ბატონი“ და სხვ. მის მიერ ინანასთვის შეთავაზებული პროდუქტი – „თეთრი ხორბალი“, „ლუდი“, „ხილი“ – გვაუწყებს, რომ ე. მიწათმოქმედია და უპირისპირდება დუმუზის, მწყემსს. ე-სა და დუმუზის შორის წინააღმდეგობა (რაც მიწათმოქმედებისა და მწყემსობის წინააღმდეგობის გამომხატველია) მოგვაგონებს აბელ-კაენის ამბავს, ოღონდ მათ დაპირისპირებას მშვიდობიანი დასასრული აქვს. დუმუზი იმარჯვებს ე-ზე პაექრობაში და ისაკუთრებს ინანას, რის შემდეგაც ამ ორი საქმიანობის წარმომადგენელნი მაინც განაგრძობენ მშვიდობიან თანაარსებობას *ურუქის* მიწაზე.

ე-ს სახელი მიწისმუშაკის ზოგად სახელად იქცა შუმ. ენაში. იგი შედის ურის III დინასტიის მეფეთა ტიტულატურაში. მეფე შულგი ამბობს: „ხალხს საუკეთესო საკვებით ვკვებავ, მათი ენქიმდუ ვარ მე“.

ერა, შავი ჭირისა და ეპიდემიურ სნეულებათა გამომწვევი ღვთაება, *ნერგალის*, ვითარცა სიკვდილის ღმერთის, ერთ-ერთი ასპექტის პერსონიფიკაცია. ერთ აქადურ ტექსტში („ერას ეპოსი“) ე. წარმოადგენილია საყოველთაო ომებისა და ხალხთა შორის შუღლის აღმძვრელ დემონად, რ-ის გამძვინვარების შედეგად ინგრევა და უკაცრიელდება ბაბილონეთის ქალაქები (თავად *ბაბილონი, ურუქი, სიფარი* და სხვ.) და მათი ტაძრები. ეს ყველაფერი ე-მ ჩაიდინა მარდუქის ნების გარეშე („გმირო ერა, მარდუქის სიტყვას არ ეკრძალე: ღმერთების სამეფო ქალაქი, ქვეყანათა კავშირი, დაანგრიე...“) და შვიდი ავსულის (*სიბითი*) წაქეზებით. საბოლოოდ, თავისი ერთგული ვაზირის რჩევით ე. მოინანიებს დანაშაულს და იზრუნებს ბაბილონეთის გაფანტული ხალხების შემოსაკრებად, ქვეყნად მშვიდობის დასასადგურებლად და ნაყოფიერების აღსადგენად.

era, შავი ჭირისა და ეპიდემიურ სნეულებათა გამომწვევი ღვთაება, ხ ე რ გ ა ლ ი ს, ვითარცა სიკვდილის ღმერთის, ერთერთი ასპექტის პერსონიფიკაცია. ერთ აქადურ ტექსტში ("ერას ეპოსი") ე. წარმოდგენილია საყოველთაო ომებისა და ხალხთა შორის შუღლის აღმძვრელ დემონად, რ-ის გამძვინვარების შედეგად ინგრევა და უკაცრიელდება ბაბილონეთის ქალაქები (თავად ბ ა ბ ი ლ ო ნ ი, უ რ უ ქ ი, ს ი ფ ა რ ი და სხვ.) და მათი ტაძრები. ეს ყველაფერი ე-მ ჩაიდინა მ ა რ დ უ ქ ი ს ნების გარეშე ("გმირო ერა, მარდუქის სიტყვას არ ეკრძალე: ღმერთების სამეფო ქალაქი, ქვეყანათა კავშირი, დაანგრიე...") და შვიდი ავსულის (ს ი ბ ი თ ი) წაქეზებით. საბოლოოდ, თავისი ერთგული ვაზირის რჩევით ე. მოინანიებს დანაშაულს და იზრუნებს ბაბილონეთის გაფანტული ხალხის შემოსაკრებად, ქვეყნად მშვიდობის დასასადგურებლად და ნაყოფიერების აღსადგენად.

eridu, სამხრეთ შუამდინარეთის უძველესი ქალაქი, რ-იც იხსენება წარღვნამდელი ეპოქის ხუთ ქალაქს შორის. მისი სახელწოდება (ერიდუგ) ეტიმოლოგიზებულია როგორც „კარგი ქალაქი“, თუმცა, როგორც ფიქრობენ, ეს ტოპონიმი არ უნდა იყოს შუმ. წარმოშობისა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ქალაქი შუმერის ძველი ცივილიზაციის ცენტრია. ქალაქი მდებარეობდა ბაჰრეინის ლაგუნასთან, სადაც ევფრატი უერთდებოდა ყურეს. აქ უპირატესობდა *ენქის* კულტი და იდგა მისი მთავარი ტაძარი, ე. ფიგურირებს *ადაპას* მითოსში; ერთი შუმერული მითოლოგიური

ტექსტის მიხედვით ქალღმერთმა ინანამ კულტურული ფასეულობანი ურუქში ე-დან წაიღო.

esangila (შუმ. "თავაღმართული სახლი"), მ ა რ დ უ ქ ი ს ტაძარი ქ. ბ ა ბ ი ლ ო ნ შ ი.

ereSqigal-i (შუმ. „დიდი მიწის ქლბატონი“), ქვესკნელის ანუ მკვდართა სამეფოს ქალბატონი, რომელიც ნერგალთან ერთად განაგებს მთელ ქვეყნიერთა ბედს სიკვდილის შემდეგ. ე-ს ჰყავს ვაზირი, ანუ მაცნე *ნამთარი*, რ-ის საშუალებითაც უკავშირდება ზესკნელს. თუმცა ე. ბნელეთის (შავეთის) მკვიდრია, ვითარცა მისი დედოფალი, იგი დახასიათებულია ეპითეტებით „ბრწყინვალე“, „წმინდა“, ზის ლაჟვარდის ქვის სასახლეში და შვიდი *ანუნაქის* თანდასწრებით სჯის მკვდართა სამართალს. სამზეოდან ჩამოსულს ე. „თვალს ჰკიდებს, თვალს სიკვდილისას, სიტყვას ეტყვის, სიტყვას რისხვისას...“ შუმ. ტექსტების მიხედვით ე. *ინანას* უფროსი და არის, რომლის მიმართ იგი მტრულადაა განწყობილი, იხსენიება მისი შვილი ნინაზუ („მკურნალობის უფალი“).

etana, აქადური ლეგენდის გმირი. უშვილო ე. ევედრება შამაშს, რომ მან მიანიჭოს მემკვიდრე. შამაში ე-ს აგზავნის ორმოში ჩავარდნილ არწივებთან, რ-საც უნდა მოუაროს, განკურნოს, ფრთები გაუმრთელოს, რის შემდეგაც მადლიერი არწივი წაიყვანს მას *ანუს* ცაში „შობის ბალახის“ მოსაპოვებლად. ტექსტიდან არ ჩანს, მოიპოვა თუ არა ე-მ ჯადოსნური ბალახი. აღწერილია მხოლოდ მისი ცად ასვლა არწივის ფრთებზე და ძირს დაშვება. ადამიანისა და არწივის ურთიერთობა, ურთიერთშემწეობა გავრელებული მოტივია მრავალი ქვეყნის ხალხურ ზღაპრებში. ამ თხზულებაში ე. იხსენიება როგორც „მეფე“ და „მწყემსი ცხოვართა“.

ე. ნახსენებია შუმერულ მეფეთა სიაში: „ეტანა, მწყემსი, რომელიც ცად ავიდა და ქვეყნები შემოიარა“, თუმცა შუმერულ ენაზე ე-ს ამბავი შემორჩენილი არ არის. ექურ-I (შუმ. "სახლი-მთა", ენლილის ტაძარი ქ. ნიფურში).

zakiku, აქად. „ნიავქარი“, სიზმრის ღვთაება, რ-ის საშუალებითაც ღმერთები მიუვლენენ ადამიანს სიზმარეულ ხატებს. ზ. ნიავივით (აქედან მისი სახელწოდება) აღწევს მძინარის საძინებელში და მის ცნობიერებაში გამოდის მაცნედ ღვთაებრივი სამყაროსა და ადამიანს შორის. ამავე დროს მისი სახელი თითქოს გამოხატავს სიზმრის ფენომენის არამატერიალურ და ეფემერულ ხასიათს (საგულისხმოა, რომ მიცვალებულის სულიც ამ ტერმინით არის გამოხატული). სიზმრის შინაარსი უპირატესად მითოლოგიური სიუჟეტი ან მითოლოგემაა. ამიტომაც სიზმარში მომხდარი ამბები სიმბოლური სახეებით არის გადმოცემული (მაგ., *დუმუზის* საკუთარი თავი ესიზმრება აღმოფხვრილი ლერწმის სახით, რაც მის გარდაუვალ დაღუპვას მოასწავებს). სიზმრის საშუალებით ღვთაება აცხადებს თავის ნებას, ავალებს სიზმრის სუბიექტს რაიმე საქმის აღსრულებას (შეტევაზე გადასვლა, ტაძრის აშენება, ეპიური ტექსტის კარნახი და სხვ.). ღმერთების სიაში ზ-ის გარდა დადასტურებულია სიზმრის ღმერთი სხვა სახელწოდებით: მამუ(დ), შუმ. „სიზმარი“ (პერსონიფიკაცია) *უთუს* ასული, ზ-ს ძმა.

ზიუსუდრა (შუმ. „მარადიული სიცოცხლისაკენ მავალი“), წარღვნის შუმ. მითოსის გმირი, რომელიც, როგორც „შემნახველი სულდგმულთა და კაცთა თესლისა“, ღმერთებმა გააუკვდავეს („მარადიული ღვთიური სუნთქვა შთაბერეს“) და *დილმუნში* დაასახლეს. უცნობია ზ-ს წარღვნამდელი ყოფა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი, ისევე როგორც აქად. ეპოსის *უთანაფიშთი*, ქალაქ *შურუფაქის* მკვიდრი იყო. შუმ. „მეფეთა სიაში“ რატომღაც უკანასკნელ წარღვნამდელ მეფედ მოხსენიებულია არა ზ., არამედ მისი მამა უბარა-თუთუ.

ზ-ს სახელს ატარებს შუმ. დიდაქტიკური თხზულების ადრესატი, რ-ის მამად იწოდება „შურუფაქ უბარათუს ძე“. რა კავშირი აქვს, ამ ზ-ს წარღვნის გმირთან, გაურკვეველია.

ზღვა, ბაბილონურ მითოლოგიაში თამთუმ, თიამთუმ, მლაშე წყლის სტიქია სამყაროს დედრულ საწყისად არის წარმოდგენილი. ზ-ს სახელწოდება ემთხვევა ზღვაური ურჩხულის, გველეშაპის სახელს (თ ი ა მ ა თ), რომლის საშოდან წარმოიშვნენ ღმერთების თაობანი. ბებიაქალის ერთ შელოცვაში, რომელსაც ის წარმოთქვამს მშობიარის სარეცელთან, ნათქვამია: "ჩასახების წყლებში შეიქმნა ძვალი... ზღვის ბობოქარ და საშიშ წყლებში, თიამათის შორეულ წყლებში, სადაც ჩვილს შეკრული აქვს მკლავები, რომელთა სიღრმეს ვერ ანათებს შამაშის [მზის] თვალი..."

ერთ კოსმოგონიურ ტექსტში ქვეყნიერების პირვანდელი სახე, როცა ჯერ არ არსებობდა ადამიანი, რაიმე სულდგმული, მცენარეულობა, ქალაქები და ტაძრები, ამგვარად არის გამოხატული: "მთელი ქვეყანა ზღვა იყო ოდენ" თუმცა "ე ნ უ მ ა ე ლ ი შ ი ს" კოსმოგონიაში სამყაროს თავდაპირველი მდგომარეობა ერთმანეთში არეული მლაშე და მტკნარი წყლების სახით არის წარმოდგენილი.

ძველი შუამდინარელები იცნობდნენ ორ ზ-ს – "მზის აღმოსავლეთის ზღვას" ანუ "ქვემო ზღვას" და "მზის დასავლეთის ზღვას" ანუ "ზემო ზღვას". ესენია სპარსეთის ყურე და ხმელთაშუა ზღვა. ამ ზ-ს შორის იყო მოქცეული მათი გეოგრაფიული თვალსაწიერი, ეს ზ-ები იყო საზღვრები ქვეყნიერებისა, რომელთა მიღმა შუამდინარედ მბრძანებელია ბატონობა არ ვრცელდებოდა. სარგონზე (იხ.) ნათქვამია, რომ "იშთარმა მას მეუფება მისცა ქვემო ზღვიდან ზემო ზღვამდე".

უ მითოლოგიაში ზღვის სახელწოდება იამთ (იხ. იამ) საკუთარი სახელი გველეშაპისა, რომელიც უპირისპირდება ხმელეთს და ადამიანთა

Tamuz-i (აქად. თამმუზ, შუმ. *დუმუზი*), შუმ. წარმოშობის ნახევარღვთაებაა, ტრაგიკული ფიგურა შუამდინარულ პანთეონში. მიუხედავად დიდი პოპულარობისა სახალხო კულტში, თ., როგორც პერსონაჟი, მხოლოდ ერთაერთ ტექსტში გვევლინება. ეს არის მითოსი „იშთარის ჩასვლა ქვესკნელად“, სადაც ქვესკნელში დატყვევებული თ. ქალღმერთის მეოხებით ამოდის სამზეოზე. გილგამეშის ეპოსში თ. ნახსენებია *იშთარის* მიერ დაღუპულ საყვარლებს შორის. კერძოდ, ნათქვამია *გილგამეშის* პირით, რომ იშთარმა თ-ს „წლიდან წლამდე გლოვა გადუწყვიტა“; აქ იგულისხმება ყოველწლიური გლოვა თ-ზე – გაზაფხულის მცენარეულობის სულზე, რ-იც გაქრა მიწის პირიდან და ჩავიდა ქვესკნელში, რათა მომავალ გაზაფხულზე კვლავ ამოვიდეს. რა ძალით? იმ გოდების, საყოველთაო გლოვის ძალით, რ-საც იშთარი გამოაცხადებს მთელს ქვეყანაში. ინტენსიური გოდება აღადგენს თ-ს ქვესკნელიდან, გამოიხმობს მკვდართა სამეფოდან. იშთარი გლოვობს, აგლოვებს ქვეყანას და მერე თავად ჩადის თავისი დის, ერეშქიგალის სამეფოში ყმაწვილქალობის დროინდელი ქმრის გამოსახსნელად.

ცად ასულ *ადაფას ანუს* კარზე დახვდება ქვეყნიდან გაუჩინარებული (დაკარგული) თ-ი, რაც (მისი ცაში ყოფნა) სრულიად უნიკალურია მითოსური თვალსაზრისით. სამწუხაროდ, აქად. ენაზე არ არის შემონახული ტექსტი, სადაც გადმოცემული იქნებოდა მისი დაღუპვის ვითარება. თ-ის შუმ. პროტოტიპის შესახებ იხ. *დუმუზი.*

TiamaT-i (აქად. „ზღვა“), დედრული საწყისი ბაბილონურ კოსმოგონიაში, მლაშე წყლების პერსონიფიკაცია, წარმოდგენილი ზღვაური ურჩხულის სახით, საიდანაც

იშვნენ ღმერთების თაობები. მისი ღვთაებრივი მამრული ცალის – *აბზუს* დამარცხების შემდეგ, თ. ბრძოლას უცხადებს ახალი აობის ღმერთებს, რ-ბიც კოსმოსის საწყისს განასახიერებენ. გადამწყვეტ შეტაკებაში ყველაზე ახალგაზრდა ღმერთი *მარდუქი* ძლევს თ-ს, შიგნიდან (რადგან ჯერ შთაინთქმება მისგან, შდრ. ამირანისა და გველეშაპის ეპიზოდი) გაჰკვეთს მის სხეულს ორ ნაწილად, რ-თაგან ცას და მიწას შექმნის. ამრიგად, თ-ის განწვალებული სხეული სამყაროს მატერიად არის დადებული. თ-ის განწვალება მარუქის მიერ რიტუალში წარმოდგენილია სამსხვერპლო ფრინველის, კერძოდ, მტრედის, გახლეჩით („მტრედი, რომელსაც დაანარცხებენ, თიამათია! დაანარცხებენ და გახლეჩენ შუაზე“).

igigeb-i, დაბალი რანგის ღვთაებები, დემონები შუმ. რელიგიასა და მითოლოგიაში. ზოგიერთი ტრადიციის მიხედვით ი. უპირისპირდებიან ქვესკნელის *ანუნაქებს* და წარმოადგენენ ციურ არსებებს („ზენა ღმერთები“).

ერთი ბაბ. ეპოსის თანახმად, ი. ის არსებანი იყვნენ, რ-ბიც ადამიანის გაჩენამდე ემსახურებოდნენ დიდ ღმერთებს იმავე მიწაზე, სადაც შემდეგ კაცთა მოდგმა დაამკვიდრეს ღმერთებმა. ი. შეაჭირვა ღმერთების სამსახურის მძიმე ტვირთმა, ისინი ადრტვინდნენ, მაგრამ საქმე აჯანყებამდე არ მისულა, რადგან *ენქის* რჩევით ღმერთების კრებულმა ი-ს სამსახურის ტვირთი მოხსნა და ახლად გაჩენილ არსებას, ადამიანს, დააკისრა. ნიშანდობლივია, რომ ღმერთებმა კაცი შექმნეს, როგორც ეპოსიდან შეიძლება დავინახოთ, ი-ს წინამძღოლის სისხლხორცისაგან.

ი. რიცხვით ექვსასნი არიან ტრადიციულად და მათი კრებითი სახელის იდეოგრამაც ზოგჯერ ასე იწერება – 600 (ღვთაების დეტერმინატივით).

inana, განთქმული შუმერული ქალღმერთი, რ-იც მონაწილეობს მრავალ მითოლოგიურ ტექსტში. ტექსტების ერთ წყებაში იგი გამოყვანილია როგორც გულუბრყვილო შეყვარებული გოგონა, რ-იც უზრუნველად ატარებს მთვარიან ღამეებს თავის სატრფოსთან, *დუმუზისთან* და არ იცის რა უთხრას თავის დედას, *ნინგალს*, როცა სახლში გვიან ღამით ბრუნდება. მისი მამა არის სინი – მთვარის ღმერთი, დედა – *ნინგალი*, ძმა – *უთუ*, მზის ღმერთი, რომელიც მას საქმროდ *დუმუზის* ურჩევს, მაგრამ ი-ს მწყემსი დუმუზის გაგონებაც კი არ სურს, რადგან მისმა გულმა მიწათმოქმედი *ენქიმდუ* ამოირჩია. საბოლოოდ გასჭრის უთუს რჩევა და დუმუზიც დაამარცხებს პაექრობაში თავის რაყიფს, და მოიპოვებს ქალწულის ხელს.

ცნობილია შუმერულენოვანი ტექსტები, სადაც აღწერილია ი-სა და დუმუზის სასიყვარულო შეხვედრები, მათი ალერსი, ქორწილი. თუმცა მათი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგება, რადგან დუმუზის იტაცებენ ქვესკნელის დემონები („მავნენი“), და ინანაც გლოვობს თავის უდროოდ დაღუპულ ქმარს. ერთი საკმაოდ გავრცელებული ვარიანტის თანახმად ი. თავად არის თავისი სატრფოს დამღუპველი: იგი თავის სანაცვლოდ აგზავნის ქვესკნელში დუმუზის, მერე კი მოთქვამს მასზე და შუმერის ხალხსაც კი ატირებს. სხვა ტრადიციით იგი ქვესკნელში ჩადის დუმუზის გამოსახსნელად (ეს მოტივი დაკანონდა აქად. ლიტერატურაში).

ინანას მუდმივი ეპითეტია „ქალწული“ (დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს შუმ. ქი-სიქილ „წმინდა ადგილი“), თუმცა ერთ შუმერულ მითოსში იგი მსხვერპლია მებაღე *შუქალეთუდას* ძალადობისა. ინანა მონაწილეობს *გილგამეშის* ციკლის ეპიურ სიმღერებში, როგორც ურუქელი ძლევამოსილი გმირის უმწეო და;

გილგამეში გაათავისუფლებს მის ბაღში დარგულ და რუდუნებით გაზრდილ *ხალუბის* ხეს *ანზუდისაგან* და „მოუნუსხველი გველისაგან“; ამ ხისაგან ი. თავისთვის სარეცელს და ტახტს აკეთებინებს.

სხვა სიმღერაში, რომელიც გამოყენებულია გილგამეშის აქად. ეპოსის და VI დაფად, ი. გილგამეშს სიყვარულს შესთავაზებს და უარის მიღების შემთხვევაში ცდილობს მის დასჯას. როგორც ჩანს, გილგამეშისა და ი-ს შორის ამგვარი ურთიერთობის მოტივი გავრცელებული იყო ზეპირსიტყვიერებაში, რაც მაინც და მაინც არ ასახულა მწერლობაში (შდრ. *იშულანუს* ეპიზოდი).

გამოირჩევა ი-ს ორი ასპექტი – სიყვარულისა და ბრძოლისა. ი-ს ვითარცა სიყვარულის ქალღმერთის, ასტრალური გამოხატულებაა მწუხრის ვარსკვლავი, ხოლო ბრძოლის ი-ს ცისკრის ვარსკვლავი გამოხატავს. ეს იმის გამო უნდა იყოს, რომ ბრძოლა დილით იწყება, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლისას (შდრ. ქართული ხალხური სიმღერა „ომი შეიქმნა ქალაქის თავსა გამთენისასა, გათენებასა, მზის ამოსვლასა“) და გასტანს საღამომდე, როცა სიბნელე გაყრის მოწინააღმდეგეებს. ამ დროს შემოდის სიყვარულის ი. რ-ის ასპარეზი ღამეა.

ტექსტებში ი., ვითარცა სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, შემკულია შესაფერისი ატრიბუტებით: იგი არის „ვნებით დატვირთული“; „მწიფე ყანა“ მისი სიმწიფის გამოხატულებაა. ი. აღვიძებს სქესს ქალში და, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მოწიფული, საცოლე ქალწული არის ი. იმ აზრით, რომ ქალღმერთი ბუდობს მასში. ი. იღვიძებს თავისი ვნებით ქალის სხეულში და უხმობს თავისკენ ვაჟს, რ-იც ამ დროს დუმუზის, ი-ს მითოსურ სატრფოს განასახიერებს.

ი-ს ეპითეტებია: „ბრწყინვალე“ (ქუნგ), „უძვირფასესი დედოფალი“ (ნინ-ქალ-ქალ), „ერთადერთი ვარსკვლავი“ (მულ-დილი) და „ქალწული“ (ქი-სიქილ).

მისი მთავარი საკულტო ცენტრი იყო ქალაქი *ურუქი*, სადაც *ეანას* სახელწოდებით ცნობილ ტაძარში მას ემსახურებოდნენ საღვთო როსკიპნი. აქ სრულდებოდა საკულტო ქორწინების (ანუ ჰიეროგამიის) წესი ურუქის ქურუმსა და საღვთო როსკიპს შორის, რ-ბიც განასახიერებდნენ მითოსურ წყვილს – დუმუზის და ი-ს.

irqala, ქვესკნელის პატრონის ერთ-ერთი სახელი. მკვდართა სამეფო, შავეთი, აქად. ტექსტებში მოხსენიებულია, როგორც "I-ს ბინა". ეს სახელი, როგორც ვარაუდობენ, უნდა იყოს დიალექტური (ხალხური) ფორმა ან ე რ ე შ ქ ი გ ა ლ ი ს ა ან ერაგალისა – "დიდი ერასი, იხ. ე რ ა.

iSTar-i, სემიტური წარმოშობის ნაყოფიერებისა და ხორციელი სიყვარულის ქალღმერთი. ზოგიერთ მითოლოგიურ გადმოცემაში ი. *ანის*, ცის ღმერთის ცოლია, თუმცა ზოგან მის ასულადაც იწოდება. ი-ის ორი ასპექტი (შუმერული ინანას ანალოგიურად) გადმოცემულია ჰიმნში შემდეგნაირად:

იშთარი, ქალღმერთი მწუხრისა, ეს მე ვარ!
იშთარი, ქალღმერთი დღისსა, ეს მე ვარ!

დილის ი. მეომარია, რ-საც ვხედავთ ბარელიეფზე გამოსახულს მისი რჩეულის გამმარჯვებელის როლში. მწუხრის ი. სიყვარულის ქალღმერთია და ამ ასპექტითაც არის თაყვანისცემული *ურუქში*, სადაც მისი კულტი შეერწყა ინანას კულტს, ისე რომ მითოლოგიურ ტექსტებში მათ ერთი და იგივე თავგადასავალი მიეწერება (მაგ., ქვესკნელში ჩასვლა). იშთარის ეს ორბუნებოვნება სხვაგვარადაც არის გამოხატული: დილის ანუ მეომარი ი. წვეროსანია ანუ მამრი (შდრ. თეოფორული სახელი: იშთარ-მუთი „იშთარი ჩემი ქმარი“), ხოლო მწუხრის ი. დედრიაა. საღამოს ვარსკვლავის სახით წარმოდგენილი ი. სიყვარულის დედრი ღვთაება, ურუქის ი-ია,

იმ ქალაქისა, სადაც დგას მისი მთავარი ტაძარი და რ-ის გარშემოც შემოკრებილნი არიან მისი კულტის მსახური საღვთო როსკიპები (ერთ-ერთი მათგანი სახელად *შამხათი* აზიარებს ველურ *ენქიდუს* „დიაცურ ხელოვნებას“). ეს ი., ვითარცა ომის ქალღმერთი, ქალაქ აქადთან არის დაკავშირებული: ერთი აქად. ლეგენდის თანახმად აქადის დინასტიის დამაარსებელი *სარგონი* მისი აღზევებულია სრულიად შუამდინარეთის სამეფო ტახტზე. „ოდეს მებაღე ვიყავ, იშთარმა შემიყვარა. ორმოცდათხუთმეტი წელი მეფობას ვიქმოდი“ – ამბობს სარგონი ლეგენდაში.

ი-ის მითოსური სატრფო, სიყვარულის ქმარი, *თამუზია*, თუმცა აქადურ ენაზე არ არის შემონახული მათი სასიყვარულო ამბის შემცველი სიუჟეტები. ი. თამუზის ამოსაყვანად ჩადის ქვესკნელში და ვიდრე ნაყოფიერების ქალღმერთი სამზეოზე არ იმყოფება, „ხარ-ფურნი აღარ ხურაობენ, ქალწულს ყრმაწული აღარ ეუღლება. სძინავს ყრმაწულს თვისად საწოლში, სძინავს ქალწულს თვისად საქალებოში“. განსხვავებით ინანასაგან, ი. თითქოს არ ღუპავს თავის სატრფოს, თამუზს, მაგრამ გილგამეშის ეპოსში, როგორც ჩანს, ფოლკლორული ტრადიციით, ი-ს ბრალი ედება თამუზის უდროოდ დაღუპვაში (იხ. ეპოსის VI დაფა, სადაც გილგამეში ჩამოუთვლის იშთარს მის მიერ დაღუპულ საყვარლებს).

ი-ს წმინდა ცხოველებია: ფური, ძუ ლომი, მტრედი; საკრალური რიცხვი 12.

iSulanu, გილგამეშის ეპოსის ეპიზოდური პერსონაჟი, რ-იც სხვაგან არსად იხსენიება. ეპოსში მისი სახელი ნახსენებია *იშთარის* მიერ დაღუპულ საყვარლებს შორის. ი. იშთარის მამა, *ანუს* მებაღეა, რ-იც „მარადღე უზიდავდა ფინიკს, მარადღე სუფრას უმკობდა“. მაგრამ ავხორცი ამას არ სჯერდება და სიყვარულს მოსთხოვს. ი. უარყოფს ამ წინადადებას („რა გსურს ჩემგან? რაც დედაჩემს გამოუცხვია, ვერ შევჭამ! როგორც შევჭამო მყრალი და წყეული პური?“), რის გამოც იშთარმა იგი ობობად აქცია და წისქვილის ბორბალში დაასახლა.

iSum-i (აქად. "ცეცხლი"), ცეცხლის ღმერთის ერთ-ერტი სახელი (იხ. გ ი რ უ). ი. პერსონაჟია "ერას ეპოსში", ე რ ა ს მრჩეველი, რ-იც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ჭირისა და სიკვდილის ღმერთზე, დააცხრობს რა მის რისხვას.

iSxara, *იშთარის* ერთ-ერთი გამოვლინება, ვითარცა ხორციელი სიყვარულის ქალღმერთისა. ი. დაკავშირებულია ნეფე-დედოფლის საქორწინო ღამესთან და, საერთოდ, სასიყვარულო სარეცელთან: „როცა გაიშლება სარეცელი და დაწვებიან ცოლ-ქმარნი, უნდა ადიდონ იშთარი, იხარონ ცხრა დღე-ღამე. ამ დროს იშთარი ი-ად უნდა იწოდებოდეს“. ი-ს წმინდა ცხოველია ღრიანკალი, იგი გამოსახულია ჰიეროგამიული რიტუალის გამომხატველ სცენებში (მაგ., სარეცლის ქვეშ, რ-ზეც შიშველი ქალ-ვაჟი წევს).

kverTxi, სამეფო ნიშანი, რომელსაც ღმერთები აძლევენ მიწიერ მბრძანებელს ხელმწიფების ნიშნად სხვა სამეფო ნიშნებთან (მაგ. გვირგვინი) ერთად. "უზენაესი კვერთხი" ღმერთებმა ჩააბარეს მარდუქს, როდესაც იგი თ ი ა მ ა თ ი ს წინააღმდეგ მოლაშქრე ძალების წინამძღოლად აირჩიეს. ა. მოიხსენება იმ ღვთიურ მადლთა შორის (იხ. მე), რომლებიც კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძემდებლურ ელემენტებს წარმოადგენენ. კ. მითოსურ ასპექტში სამყაროს შუაგულის ერთ-ერთი განსახებაა: "კვერთხი – ცის ღერძი, კვერთხი – ღერძი ციური სახლისა. ფესვი მისი – შავეთი, წვერო მისი – ციური ტაბლა".

lamar-i (შუმ.), ადამიანის თანამდევი, მფარველი ანგელოზი.

lugalbanda (შუმ. „მეფე-ყრმა“?), *ურუქის* ლეგენდარული მეფე, რ-იც გვხვდება პერსონაჟად რამდენიმე შუმერულ ეპოსში. მეფეთა სიის მიხედვით იგი ურუქის I

დინასტიის მესამე მეფეა, მოსდევს *ენმერქარს*. აქ იგი წოდებულია „მწყემსად“ (სიპა): „ლუგალბანდა, მწყემსი, იმეფა 1200 წელს“. აღსანიშნავია, რომ მის სახელს წინ უძღვის ტახტზე (*დუმუზის* და *გილგამეშს*), რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ლ. ღვთაებად ან ნახევარღვთაებად იყო შერაცხილი. ზოგიერთ თქმულებაში (მაგ., „გილგამეში და ხუვავა“) მის გვერდით იხსენიება ქალღმერთი *ნინსუნა*, როგორც მისი ღვთაებრივი ცალი. ასევე აქად. ეპოსში („გილგამეშიანში“) ლ. გილგამეშის მამაც არის და მისი პირადი ღვთაებაც, რ-იც მფარველობს მას.

შუმ. ეპოსში ლ. შემკულია ეპითეტებით „წმინდა“, „ბრწყინვალე“ (ქუნგ) „ბრძენად“, „დიდთა საქმეთა ხელმყოფელად“.

შუმ. ეპიური თქმულების მიხედვით ლ. არის ჭაბუკი, ენერგიული მეფე ურუქისა, რომელიც არ უშინდება სახიფათო მგზავრობებსა და ლაშქრობებს. იგი მოხვდება უდაბურ მთაში, საბუს მხარეში, „სადაც მარტო არავინ დადის“ და „საიდანაც ხალხთან არავინ ბრუნდება“ (შდრ. ზღაპრული მოტივი გზაჯვარედინზე წარწერისა: „აქეთ წამსვლელი უკან ვერ დაბრუნდება“). აქ შეხვდება იგი ფრთოსან *ანზუდს*, რ-იც ასწავლის მას უკანმოსაბრუნებელ გზას (შდრ. ზღაპრული მოტივი ფრთოსანისა და გმირის მეგობრობისა, სადაც ფრთოსანი დამხმარე პერსონაჟად გვევლინება).

მეორე ეპიური თქმულება *არათასთან* არის დაკავშირებული. აქ ლ. მოქმედებს შვიდ მოყმესთან ერთად, რ-ბიც ქალღმერთ ურაშის მიერ შობილად არიან მოხსენებულნი. არათასკენ მიმავალ ლ-ს შუაზაზე, ხურუმის მთაში, უცხო რამ სენი შეეყრება, თანამგზავრები მკვიდრად ჩათვლიან მას, ტოვებენ მთაში და თავად არათასკენ განაგრძობენ გზას, გადაწყვეტენ დაბრუნებისას წაასვენონ ურუქში მისი ცხედარი. მარტოდ დარჩენილი ლ. ევედრება ჯერ ამომავალ მზეს, მერე *ინანას, სინს*, რ-ბიც მოუტანენ მას „სიცოცხლის სუნთქვას“ და განკურნავენ. მათი წყალობით იგემებს იგი „სიცოცხლის ჭამადს“ და „სიცოცხლის სასმელს“. გამოჯანსაღებულს სიზმრად ეცხადება სიცოცხლის სახსარი.

ურის III დინასტიის მეფეები ლ-ს თავიანთ მამად, წინაპრად თვლიდნენ, რაკი ურუქიდან გამოჰყავდათ თავიანთი მოდგმა.

lulu (შუმ.), პირველგაჩენილი, ჟერ კიდევ ველური კაცი ბაბილონურ კოსმოგონიაში. ლ.-ს ქმნის ენქი დემიურგ მ ა რ დ უ ქ ი ს შთაგონებით დასჯილი ღმერთის, ქ ი ნ გ უ ს სისხლისაგან. ლ. ეწოდება ე ნ ქ ი დ უ ს, ვიდრე იგი ურუქის ცივილიზაციას ეზიარებოდეს (ლულუ-ამელუ "ლულუ-კაცი").

magur-i (შუმ. "ხომალდი"), მთვარის ღმერთის ს ი ნ ი ს ტრანსპორტი, რ-ითაც იგი მოგზაურობს ცის კაბადონზე.

marduqi (შუმ. ამარ-უთუ „მზის ხბო“), ბაბილონის იმპერიის მთავარი ღმერთი, თავდაპირველად ქ. *ბაბილონის* მფარველი ღვთაება. ამ ქალაქის აღზევების კვალზე აღზევდება მ-იც და ბოლოს იქცევა საიმპერიო ღვთაებად და კოსმეტორად შესაქმის მითოსში, სადაც იგი, როგორც ჩანს, *ენლილის* ადგილს იჭერს.

ბაბ. კოსმოგონიის მიხედვით, მ. იბადება აბზუს წიაღში ეას მიერ. იგი შობითგანვე ატარებს კოსმოსის ნიშნებს – მისი ოთხი თვალი და ოთხი ყური წინასწარ მიგვანიშნებს მის მიერ შექმნილი სამყაროს ოთხ მხარეზე. იგი იბადება როგორც მზე. მის შობას ღმერთები ეგებებიან ჰიმნით: „ძეო მზისავ, მზეო ცისავ!“ იგი შემოსილია *მელამით* და ათი ღმერთის ძლიერებით. წინა თაობის ღმერთებმა თეოგონის უკანასკნელ ნაშიერს მისცეს ბელადობა, აკურთხეს მეფედ

და მიანიჭეს სიტყვის მაგიური ძალა, როგორც *თიამათის* ერთაერთ დამამარცხებელს და მამების მხსნელს ზღვის ურჩხულის მუქარისაგან.

მ. არის სამყაროს შემქმნელი, დემიურგი, ერთ-ერთი უპირველესი გველეშაპთან მებრძოლ გმირთა და ღვთაებათა შორის. ამ ორთაბრძოლაში გამოკვეთილია კოსმოგონიური მომენტი. მ. ამარცხებს თიამათს – როგორც ურჩხულს და ამ დამარცხებით ქმნის კოსმოსს, ათავისუფლებს რა კოსმიური ტენდენციის ძალებს.

მ-ის როგორც ღმერთების მეფისა და სამყაროს ბატონის ატრიბუტებია კვერთხი, ტახტი და სამეფო ნიშანი – ფალა. მ. ის ღმერთია, რ-იც ბაბილონის მეფეებს აძლევს კვერთხსა და ტახტს. იგია ომში გამმარჯვებელი. იგი ამავე დროს არის მწყალობელი ღმერთი, „საფლავად შთასულთა“ ამომყვანი, „მკვდართა განმაცოცხლებელი“, რადგან თავად იყო ვნებული, ქვესკნელს ჩასული (თიამათის წიაღში) და იქიდან ამოსული.

ერთ ბაბ. ეპოსში სამყაროს თუ ქვეყნის სიმშვიდე მაშინ არის შენარჩუნებული, როცა თავის ტახტზე მშვიდად და პატივით მჯდარ მ-ს „ცისა და მიწის სადავეები“ უპყრია ხელთ. როგორც კი მ. წამოდგება ტახტიდან, მოვა წარღვნა, გაწყდება ცისა და მიწის კავშირი, *დურანქი* და სამყარო ქაოტურ მდგომარეობას დაუბრუნდება.

მ-ის ორმოცდაათი განმადიდებელი სახელი, რ-იც გაბნეულია საკრალურ ლიტერატურაში, თავს იყრის ჰიმნში, რ-თაც თავდება კოსმოგონიური ეპოსი. ახალ ბაბ. ხანაში პანთეონის ღმერთები მ-ის სხვადასხვა ასპექტებად არიან დასახულნი:

ნერგალი არის ომის მარდუქი,
ენლილი არის უზენაესობისა და გადაწყვეტილებათა მარდუქი,
ნაბუ არის ბედისწერის მარდუქი,
სინი არის ღამის განმანათებელი მარდუქი,
შამაში არის სამართლის მარდუქი,
ადადი არის მაწვიმებელი მარდუქი და სხვ.

მ-ის ახალბაბილონურ კულტში ჩანს მონოთეისტური მიდრეკილებები.

მ-ის ღვთაებრივი ცალია ქალღმერთი ცარფანითუ („ვერცხლოვანი“).

marTu, დასავლეთ სემიტური ტომის (ამორეველთა) პატრონი ღვთაება, ანუ მისი ღვთაებრივი ეპონიმი; მონაწილეობს ერთ შუმ. მითოსში, სადაც იგი შუმ. ქალაქის, ქაზალუს, პატრონ ღვთაებას სთხოვს ქალიშვილის ხელს. ნუმუშდა თანახმაა გააყოლოს მ-ს თავისი ქალიშვილი, ოღონდ მ-მ მას რაღაც დავალება უნდა შეუსრულოს (შდრ. ძნელი დავალების მოტივი ზღაპრებში). ამ ამბავში ჩაერევიან ქალიშვილის მეგობარი ქალები და ცდილობენ ამ ქორწინების ჩაშლას იმ საბაბით, რომ მართუ ველური და გაუთლელი კაცია. აი, როგორ ახასიათებენ ქალიშვილები მართუს: "კარვებში ცხოვრობს, რომლებსაც ეხლება ქარი და წვიმა, ჭამს უმ ხორცს, საცხოვრებელი სახლი არა აქვს, არ მარხავს მკვდრებს..." მიუხედავად ამისა, როგორც ქალის მამა, ისე ასული თანახმა ხდებიან დაუნათესავდნენ მართუს და მიიღონ ველური კაცი თავიანთ წრეში, რათა აზიარონ კულტურას და კაცობრიულ ცხოვრებას (*ენქიდუს* თავგადასავლის ვარიანტი).

არსებობს შუმერული ანდაზა, რ-იც ამგვარად ახასიათებს მართუს: "თაფლივით ტკბილია ეს ხორბლის კერძი, მაგრამ მართუმ არ იცის, რას ჭამს". სხვა ტექსტში ნათქვამია: "მართუმ არ იცის, რა არის ხორბალი".

maSu (აქად. "მარჩბივი"), მითოსური წყვილი მთა, რ-ბიც დგანან ერთმანეთის პირისპირ. მათ შორის გაივლის მზის ღმერთი ამოსვლისას და ჩასვლისას. მ-ს მთებს დარაჯობენ მორიელ-ადამიანები, დედრი და მამრი, რ-თა საშინელი

ელვარება ზარსა სცემს არემარეს. ისინი აღებენ და კეტავენ მ-ს მთებს შუა გასასვლელ ჭიშკარს. ხორციელი თვალს ვერ უსწორებს მათ ბრწყინვალებას. მხოლოდ ერთადერთმა *გილგამეშმა* შეძლო მათთან ახლოს მისულიყო და *შამაშის* კვალს გაჰყოლოდა დასავლეთისკენ.

melam-o, შემზარავი და მომაკვდინებელი შუქი (ნათება), რ-თაც შემოსილი არიან ღმერთები, ღვთაებრივი საგნები და მოვლენები, ღმერთებთან წილნაყარი ადამიანები (კერძოდ, გაღმერთებული მეფეები). მ. თავის გარშემო ქმნის გადაულახავ ზღვარს ღვთიურ და ადამიანურ სფეროებს შორის, რ-ის დაძლევა ადამიანებს მხოლოდ ღმერთების დახმარებით ძალუძთ. მ-ის გამოხატულება უნდა იყოს რქიანი ტიარა, რ-საც ატარებენ შუამდინარულ ბარელიეფებზე გამოსახული ღმერთები (ეს არის ე. წ. "მეუფების მ."); მასშია დაუნჯებული მთელი მათი ძალა; მ-ის წართმევით ღვთაება კარგავს ღვთიურობას, რადგან მ-ია ის ძალა, რაც ღმერთს ღმერთად აქცევს (მაგ., *აბზუს* დამარცხების შემდეგ *ენქიმ* მას "გვირგვინი მოჰხადა, წაართვა მ. და თავად დაიხურა..."). მ. გაუქრობელია; შუამდინარული რელიგიური თვალსაზრისით, ყველა და ყველაფერი გაქრობადია, ღვთაებაც შეიძლება მოკვდეს, მაგრამ არ ისპობა მისი მ. იგი გადაეცემა სხვა არსებას ან ბუნების მოვლენაში დაიბუდებს (მაგ., *ხუმბაბას* შვიდი მ. მისი სიკვდილის შემდეგ შვიდ არსებას გაუნაწილდა).

mes-ი, კოსმიური ხის ერთ-ერთი განსახება, რ-იც ნაყოფად ქარვას ისხამს და დახასიათებულია როგორც "ღმერთების ხორცი, ქვეყნიერების მეფის სამკაული, წმინდა ხე, დიდებული საწმისი, საუფლოდ განწესებული, რომლის ფესვები ფართო ზღვაში ასი ბერუს მანძილზეა გადგმული, ქვესკნელის სიღრმეებს სწვდება; რომლის წვეროკინი ანუს ცას ებჯინება". მ-ის, როგორც სამყაროს ხის, ამოძირკვა ან გადანაცვლება მსოფლიო კატასტროფას იწვევს ან მისი სიმპტომია. ქალაქის (კერძოდ, *ნიფურის*) განადგურება ერთ შუმერულ ტექსტში ("აქადის წყევლა") მეტაფორულად მ-ის ამოძირკვით არის გამოხატული. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ერთი ასურული ეპოსის მიხედვით წარღვნის დროს მ-ის ხეც წაულეკავს ნიაღვარს (*მარდუქი* ამბობს: "ქარვის ხეს, მესს, ადგილი შევუცვალე, რომ ვერავის ეპოვნა").

მეფე, მეფობა (შუმ. "დიდი კაცი"), შუამდინარული მითორელიგიური წარმოდგენით, მეფობა ზეციური წარმომავლობისაა. მეფობა ორგზის ჩამოვიდა ზეციდან: პირველად სამყაროსა და ადამიანის შექმნის "მეორე დღეს", მეორეგზის წარღვნის შემდეგ კაცობრიული ცივი ლიზაციის განსაახლებლად. ამრიგად, ხორციელ, მოვდავ ადამიანში მეფობის სახით არსებობს უკვდავი წილი, რომლითაც მ. ზიარებულია ღვთიურ სამყაროს. ამ კონცეფციამ სრული გამოხატულება ჰპოვა მეფის ღვთაებრიობის იდეაში. ირველი მ. წერილობით ნახსენები, რომელსაც "ღმერთობა" მიეწერება, არის აქადის მეფე ნარამსინი – "ღმერთი აქადისა", რაც იმას ნიშნავს, რომ მ-ს იგივე ადგილი უშირავს ქვეყანაში, რაც ღმერთს სამყაროში, სხვანაირად: ქვეყნის მ. ამ ქვეყნის პირადი ღმერთია. ერთი ტექსტის მიხედვით, "თავდაპირველად მეფობა ქვეყნად არ იყო, ხელმწიფება ღმერთებს ეჭირათ". აქადური მითოსი მოგვითხრობს, თუ როგორ დამყარდა მეფობა ქვეყანაზე. ღმერთების საკრებულომ, სადაც შედიოდნენ ანუ, ენლილი, ეა, შამაში და ღმერთების "დიდი დედა", გადაწყვიტა კაცთა მოდგმისთვის დაეწესებინათ მფობა ხალხის საწინამძღოლოდ და მათ შესაკრებელად საცხოვრებელ ადგილებში. უშუალო ხელმძღვანელობა ზეციური სფეროებიდან შეიცვალა გაშუალებული მართვით – ამიერიდან ღმერთის თუ ღმერთების ადგილს ადამიანი იჭერს, რომლის ტიტულია ლუ-გალ "კაცი დიდი". მეფის ფუნქცია

გამოხატულია მითოსური მეტაფორით: "მეფე - ღმერთების ხორცი, მზე (შამაში) თავისი ხალხისა."

მ-ეს შუაგულური ადგილი უჭირავს როგორც ჰორიზონტალურ სივრცეში, რისი გამოხატულებაცაა ტიტული "მეფე სამყაროს ოთხივ კუთხისა" ან "ვინც ოთხ მხარეში ხალხი დაამკვიდრა", ასევე ვერტიკალზე: "მზესავით მოარული", "ცას მიმწვდომი კედელი", "სამეფო ნერგი", "რჩეული კედარი, მშვენება ექურის ეზოსი", და სხვ.

მ-ზე, ადამიანზე, როგორც მეფობის (ნამ-ლუგულ), ღვთაებრივი პრინციპის მატარებელზე, მთელი პანთეონი ზრუნავს, ყოველი ღმერთი თავის იშანდობლივ მადლს ანიჭებს მას. მაგ., ამგვარად არის გადმოცემული ლაგაშის განმგებლის გუდეას მეფური გონებრივ-ზნეობრივი ინსინიები; "გუდეანმ, მწყემსმა, ნინგირსუს მიერ გულით მოხმობილმა, ნანშეს მიერ წრფელი თვალით მოხედულმა, ნანდარას მიერ ძალმონიჭებულმა, ბაბას მიერ სიტყვადამშვენებულმა, გათუმდუგის მიერ შობილმა შვილმა, გალადიმის მიერ ზეპურობითა და უზენაესი კვერთხით მომადლებულმა, შულშაგას მიერ სიცოცხლის სუნთქვით უხვად აღვსილმა, თავისი (პირადი) ღმერთის, ნინგიშზიდას მიერ ხალხის კრებულში პირველკაცად გამობრწყინებულმა..." ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს ისიც, რომ მ-ე ქალღმერთი ნინხურსნგა აწოვებს თავის "მადლიან" (თუ "ჭეშმარიტ", შუმ. ზი) რძეს, ხოლო სიბრძნის ღმერთი ენქი ჭკუა-გონებას უფართოებს... როგორც ვხედავთ, მოკვდავი კაცი, თავისი ხალხის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ღმერთების საერთო ძალისხმევით არის შექმნილი მ-დ.

მ-ს გავრცელებული ტიტულია მ წ ყ ე მ ს ი, რომელიც მიუძღვის და საუკეთესო ადგილზე ამკვიდრებს "ცხვარივით უთვალავ შავთავიანებს", ან თავს უყრის გაფანტულ ფარას (=ხალხს) და სალტესავით უჭირავს ქვეყნის საზღვრები. მისი კვერთხი – მეფობის უპირველესი ნიშანი, თავისი წარმოშობით ხომ მწყემსური კომბალია. მ-ის მეორე ტიტული – "მიწათმოქმედი" (შუმ. ენგარ) გამოხატავს მის, როგორც ხალხის გამომკვებავის, ფუნქციას: მე ვარ ენგარი, რომელიც საუკეთესო საჭმელ-სასმლით ასაზრდოებს ხალხს". აღსანიშნავია, რომ მეფობის წარმოშობის შუმერულ მითოსში მ. პირველმებაღის არქეტიპულ როლს ასრულებს: მეფედ გახდომის შემდეგ მისი პირველი საქმე ხის დარგვაა; მ. რგავს პალმას და თამარისკს, რომლის ჩრდილში იგი ლხინს (ცხადია, რიტუალურს) მართავს. ამიტომაც არის, რომ აქადის დინასტიის დამაარსებლის ს ა რ გ ო ნ ი ს მითოსურ ბიოგრაფიაში აუცილებელი საფეხურია მებაღეობა. იშთარმა, რომელმაც "შეიყვარა იგი", სწორედ მებაღეობიდან აიყვანა მ-დ. თავად მ-ც გაიგივებულია დიდებულ სატაძრო ხესთან, კედართან, რომლის ჩრდილი მთელს შუმერს ეფინება და იფარავს.

მთა, შუმერული კოსმოგონიიის თანახმად, პირველი, რაც შეიქმნა ქაოსის წიაღში, იყო მ. – ხურსანგ. ის ამოიზარდა პირველყოფილი ზღვიდან და მოიცავდა ანუ ატარებდა შემდგომ შექმნილი ცისა და მიწის ხატს. ამიტომაც ამ მ-ს ეწოდება "მთა ცისა და მიწისა" (ხურსან-ან-ქი-ბი). იგია პირველი მონახაზი ორპოლუსიანი სამყაროსი, გეგმა თუ საფუძველი კოსმოსისა. (ანალოგიურად ამოიზარდა წარღვნის წყლების უკუქცევისას მთა ნ ი ც ი რ ი როგორც ახლადშექმნილი სამყაროს ხატი).

როგორც ბევრ სხვა მითოლოგიაში მ. არის ცისა და მიწის კავშირის (დურანქი) სიმბოლური გამოხატულება, იგია "დიდი სვეტი" (დიმ-გალ). რომელიც აღმართულია ქვეყნიერების შუაგულში და ერთმანეთთან აკავშირებს ორ სკნელს. მისი ეს არსი ამ სახის მითოლოგიურ ფორმულაშია მოქცეული, რომელიც

მცირეოდენი ვარიანტული სხვაობით გადადის ტექსტიდან ტექსტში: "ზემოთ მისი მწვერვალი ცას სწვდება, ხოლო ქვემოთ საფუძველიქვესკნელის წიაღამდე აღწევს."

მ. კოსმიური ხელთუქმნელი ტაძარია (შდრ. ნიფურის მთავარი ტაძრის სახელწოდება ე–ქურ "სახლი-მთა"), ამიტომ ადამიანის ხელით აგებული თაძრის მითოლოგემაც იგივეა: "მაღალი თხემი მისი ცათამდე ავამაღლე, ხოლო ქვემოთ ქვესკნელში დავამყარე მისი საფუძველი" (ასეთია ტაძრის აგების არსობრივი სქემა).

მ. არის ენლილის, როგორც შუმერის შუაგულური ღმერთის, ძირითადი ეპითეტი – "დიდი მთა" (შუმ. ქურ-გალ), და თავად ეს ღმერთი წარმოდგენილია მ-დ, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან ცასა და ქვეშეთს. "დიდო მთავ, ენლილ, იმხურასნგ, რომლის თხემი ცას სწვდება, რომლის საძირკველი წმინდა აბზუშია დადგმიული".

მწყემსი (შუმ. სიპა), კაცთა მოდგმის წინამძღოლთა, მეფეთა უპირველესი ტიტული, რომელიც დასაბამს იღებს დუმუზისგან, "მართალი (ჭეშმარიტი) მწყემსისგა" (სიპა-ზი), ინანას რჩეულისგან, რომელსაც ჩააბარა მან მწყემსობის ინსიგნია - სამწყემსო კომბალი. მწყემსობის ტიტულს ატარებს შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოთა ყველა მთავარი თუ იმპერიათა მეფე. მათ დიდმა ღმერთებმა "მარადიული მწყემსობა შავთავიანთა" ჩააბარეს; ბაბილონის მეფე აცხადებს, რომ ის არის დიდი ღმერთებისგან (ენლილისგან და მარდუქისგან დადგენილი მწყემსი ხალხისა, "მწყემსი მშვიდობისმყოფელი, რომლის კვერთხი (კომბალი) სამართლიანია".

მწყემსობა მეფობის, წინამძღვრობის მშვიდობიანი ასპექტის გამომხატველია. იგი გულისხმობს იმ მხარეს, რომელიც დაქსაქსული ხალხის, "ცხვრებივით ურიცხვ შავთავიანთა" ერთად შეკრებაში და ერთ საუკეთესო ადგილზე დამკვიდრებაში მდგომარეობს. მეფე-მწყემსი თავის ხალხს, როგორც ცხვრის ფარას, წინ მიუძღვის ყოველის მხრიდან დაცული, უსაფრთხო და ნოყიერი "საძოვრისკენ", რომელიც არის ხატი ადამიანთა იდეალური სამკვიდრებელისა. "დაე, ხალხი საძოვარზე იწვეს, მათი მწყემსი იყოს იგი", ნათქვამია მეფისადმი მიმართულ ერთ ჰიმნში. ხამურაბი კი სიამაყით ამბობს: "დაბათა მკვიდრნი მწვანილოვან ველზე დავაბინავე". მწყემსობისა და მეფობის პარალელიზმი გამოთქმულია ერთ ლექსში:

რა არის ხალხი თვინიერ მეფისა?

ოდენ ცხვრის ფარა, უმწყემსოდ შთენილი.

მწყემსობა (შუმ. ნამ-სიპა რომ კაცობრიული კულტურის ერთი აუცილებელი ელემენტია შუამდინარული მითოსური წარმოდგენით, იქიდანაც ჩანს, რომ მას ვხვდებით იმ "საგანთა" შორის, რომლებიც ქალღმერთმა ინანამ სიბრძნისა და "კულტურის" ღმერთის ე ნ ქ ი ს საბრძანებლიდან თავის საპატრონებელ ქალაქ უ რ უ ქ შ ი წაიღო (იხ. მ ე).

შუამდინარული მითოსის თანახმად, მწყემსი განწირულია დასაღუპად, მას გარკვეულ ხანს ქვესკნელში ვხედავთ, საიდანაც ის დააღწევს თავს და სამზეოზე ამოდის, რათა "გულისუწადინოდ" კვლავ ქვესკნელში ჩავიდეს. მისი დროებითი კვდომა გამოხატულია პირუტყვის შობადობის შეწყვეტით ან რძის გაშრობით, რაკი მწყემსშია მისი ჯოგის ნაყოფიერების პოტენცია და "რძის ცხოველმყოფელი ძალა". ქვესკნელის ბინადართა შორის ვხედავთ ს უ მ უ კ ა ნ ს, გარეული ჯოგების მეუფეს, გარდა დ უ მ უ ზ ი ს ა, შინაური პირუტყვის პატრონისა, რომელიც დაღუპული და მკვდრეთით აღმდგარი მწყემსის კლასიკური მაგალითია.

nabu (აქად. "გამოცხადება", "ხმობა"), ბაბ. პანთეონის ღვთაება, *მარდუქის* ძე და მრჩეველი, ქ. *ბორსიფას* პატრონი. ნ. ითვლება სიბრძნის და, განსაკუთრებით

მწერლობია და დამწერლობის შთამაგონებელ და მფარველ ღვთაებად. მას მიეწერება დამწერლობის შექმნა, რაც ჩანს მის ეპითეტებში – "შემქმნელი დამწერლობის ნიშნებისა", "დაფის ლერწმის (ე. ი. საწერი ლერწმის) უფალი". ამის გამო მის განკარგულებაშია "ბედისწერათა დაფები".

როდესაც აშურბანიფალმა თავისი განთქმული "დაფათსაცავი" შექმნა, პირველ რიგში ნ-ს მიმართა, რათა მას წრფელი თვალით მოეხედნა დაფათსაცავისთვის და მისი შემქმნელისთვის. "ნაბუ, მეუფეო ცათა და ხმელისა დაფათსაცავს ამას წრფლად მოხედე! აშურბანიფალს, შენი ღვთიურობის მოშიშს, დღენიადაგ წყალობდე".

ნ. ძირითადად ძე-ღმერთი იყო, მაგრამ ისევე, როგორც მარდუქმა (აგრეთვე ძემ) დაჩრდილა თავის მშობელი ე ა და რეალურ კულტში უპირატესობა მოიპოვა მასზე, ასევე ახალბაბილონურ ხანაში ნ. იჭერს მარდუქის ადგილს. ხშირდება თეოფორული სახელები ნაბიუმ-აფლა-უცურ, ნაბიუმ-ქუდურრი-უცურ (ნაბუქოდონოსორი) ნაბიუმ-ნაიდ და სხვ.

ნ-ს ტაყვანისცემა არ შემწყდარა ბაბილონის სამეფოს დაცემის შემდეგაც, იგი გრძელდება სპარსელთა ბატონობის დროს და მის მერეც – ელინისტურ ხანაში. შემორჩენილია ანტიოქოს I სოტერის ლოცვა ნ-ს მიმართ აქადურ ენაზე. ასე რომ, მან ყველაზე დიდხანს გაძლო ბაბ. პანთეონის ღვთაებათა შორის.

ნ., როგორც დამწერლობის შთამაგონებელი და პატრონი, ენათესავება ეგვიპტელთა თოთს და ბერძენთა ჰერმესს. მისი ნიშანი არის თიხის დაფაზე საწერი ლერწმის ღერი ("დაფის ლერწამი"). საგულისხმოა აშურბანიფალის, მწერლობის მეცენატი მეფის, ურთიერთობა ნაბუსთან. შემორჩენილია ტექსტი, სადაც ეს ღმერთი ამგვარად მიმართავს მეფეს: "ნუ გეშინია, აშურბანიფალ, მე გაძლევ შენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, შთაგბერავ კეთილ სუნთქვას... შენ პატარა ხარ, აშურბანიფალ, ზიხარ ნანევიის დედოფლის, ქალღმერთის, მუხლებზე; მისი ოთხი ძუძუ გიდევს პირში, შენ სწოვ ორს, ხოლო ორით სახეს იფარავ... შენ ფეხზე დადგები, აშურბანიფალ, დიდი ღმერთების წინაშე, შენ განადიდებ ნაბუს".

namTar-ი (შუმ. "ბედისწერა"), სიკვდილისა და უბედურების დემონი. იგი არის ქვესკნელის დედოფლის, *ერეშქიგალის,* ვაზირი და მაცნე, რ-საც თავის ქალბატონი (რაკი თავად ქვესკნელის დატოვება არ შეუძლია), აგზავნის ხოლმე ზედა სამყაროს ღმერთებთან ამბის მისატანად. ზოგან ნ. "ერეშქიგალის ნაშიერად" იწოდება, ზოგან "*ენლილის* საყვარელ ძედ". ნ-ის, როგორც სიკვდილის დემონის, ხასიათი კარგად ჩანს ერთ ასურულ ტექსტში, სადაც აღწერილნი არიან მკვდართა სამეფოს ბინადარნი: "ნამთარი, ქვესკნელის ვაზირი, განაჩენთა აღმსრულებელი ვიხილე. ერთი კაცი იდგა მის წინაშე, ნამთარს მარცხენა ხელით მისი თმა ეჭირა, მარჯვენაში მახვილი ეპყრა..." შუმ. ანდაზებში ნ. ამგვარად არის დახასიათებული: "ნ. ძაღლია, რომელიც იკბინება", "ნ. ძაღლია, რომელიც უკან ედევნება კაცს", "ნ. მძვინვარე ქარიშხალია, რომელიც დაქრის შუმერის ქვეყნად".

namu, პირველარსებული წყლის სტიქიონის პერსონიფიკაცია შუმ. კოსმოგონიურ მითოსში; ზღვაური ქალღმერთი, "უსძლო" და უქორწინებელი, რ-ის საშოში მოქცეული იყო ჯერ კიდევ განუწვალებელი ცა და მიწა, ანუ მთელი სამყარო ქაოტურ მდგომარეობაში. აქედან მისი ეპითეტი – "მშობელი დედა ცისა და მიწისა". მეორე ეპითეტი – "წინაპარი დედა, მშობელი ურიცხვი ღმერთისა" ნ-ს თეოგონიურ ასპექტს წაროგვიდგენს. შუმ. ტექსტებში არ არის შემონახული ნ-ს კოსმოგონიური ღვაწლის ამსახველი სიუჟეტი.

nanar-ი, მთვარის ღმერთის, *სინის* სხვა სახელი.

naramsin-ი (აქად. "სინის ნებიერი"), აქადის დინასტიის პირველი გაღმერთებული მეფე, რომლის სახელი მუდამ ღვთაების მანიშნებელი დეტერმინატივის თანხლებით იწერება ტექსტებში. ნ. იყო სარგონ აქადელის შვილიშვილი, რ-მაც დაასრულა თავისი პაპის საქმე – გააერთიანა შუამდინარეთი და განავრცო იმპერიის საზღვრები ოთხივე კუთხის მიმართულებით, რაც აისახა კიდეც მის ტიტულატურაში ("მეფე ოთხივე კუთხისა").

ნ-ის საქმენი მოთხრობილია რამდენიმე ეპიურ თხზულებაში, სადაც იგი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, როგორც ძლევამოსილი გმირი, მეორე მხრივ, მკრეხელი, *შუმერის* ძველი ტაძრების გამანადგურებელი და წამბილწველი. მოგვიანო ეპოქაში შექმნილი შუმერული ტექსტი ნ-ს წარმოგვიდგენს დინასტიის უკანასკნელ მეფედ, რ-საც უწია შუმერის ღმერთების შურისგებაში *შუმერის* ტაძართა ხელყოფისათვის.

ყველაზე მკაფიოდ მისი პიროვნება წარმოგვიდგება ცნობილ სტელაზე, სადაც იგი გამოსახულია ღვთაებრივი ნიშნით – რქიანი მუზარადით, მთიანეთის უმაღლესი მწვერვალის პირისპირ მდგარი, მტერთა ფეხით მთრგუნავი; მას თავზე დაჰნათის სამი ვარსკვლავი იმის ნიშნად, რომ ნ. გასცდა ადამიანობის ზღვარს და ღმერთებთან არის წილნაყარი.

nedu (შუმ. "გამღებელი"), ქვესკნელის ანუ მკვდართა სამეფოს (*არალუს*) მეკარე, რომელსაც აბარია მისი შვიდივე კარიბჭე. ნ. უღებს კარს ქვესკნელად ჩამავალ *ინანას* და თან ყოველი კარიბჭის წინ ატოვებინებს თითო შესამოსელს და სამკაულს. ნ. უშუალოდ ემორჩილება *ერეშქიგალს*, რ-საც მოახსენებს ხოლმე კარსუკან მდგარი ახალმოსულის ვინაობას. ნ-ს თავი ლომისა აქვს, ხელები – ადამიანისა, ქვემო კიდურები – ფრინველისა.

nergal-ი, შუმ. წარმოშობის ღვთაებაა, ქვესკნელის მეუფე, რომლის მთავარი საკულტო ქალაქი იყო ქუთა. ნ. *ენლილის* ძედ ითვლება. რაკი ნ. ქვესკნელის ბატონია, მის სახელს ამგვარად შიფრავენ: "უფალი დიდი ქალაქისა", ე. ი. ქვესკნელისა.

ზოგიერთი ტექსტის მიხედვით ნ. მზის ღმერთის ერთ-ერთი გამოვლენაა, კერძოდ, მისი გამანადგურებელი, ყოვლის გადამწველი ბუნებისა. ნ-ში შეიძლება დავინახოთ შუადღის ან ზაფხულის მწველი მზე. ამ ასპექტით იგი ომის და ჭირის ღმერთია. ერთი ტექსტის თანახმად "ნერგალი და შამაში ერთია" (შდრ. ჰერაკლიტეს გამონათქვამი "დიონისე და ჰადესი ერთია").

ნ-ს გახხომა ქვესკნელის მეუფედ მოთხრობილია აქად. ენაზე შემონახულ მითოლოგიურ ტექსტში: *ერეშქიგალი*, ქვესკნელის ქალბატონი, იბარებს ნერგალს ქვესკნელში თავის შეურაცხყოფისთვის პასუხის საგებლად. მაგრამ ნერგალი ძლევს ერეშქიგალს, რ-იც თავის დახსნის მიზნით ცოლობას შესთავაზებს: "შენ ქმარი, მე ცოლი". ამის შემდეგ ნერგალი ჯდება ქვესკნელის სამეფო ტახტზე ერეშქიგალ დედოფლის გვერდით. მაგრამ იგი წელიწადის ნახევარს ზესკნელში ატარებს. თუმცა ნ. ენლილის ძედ ითვლება, ზოგიერთი ტრადიცია მის სასწაულებრივ წარმოშობას ადასტურებს, მასზე ნათქვამია: "ის, ვინც დედაკაცის (ე. ი. ქალღმერთის) საშოდან არ გამოსულა".

თუმცა ნ. სიკვდილის ღმერთია, იგი "სიცოცხლის მომნიჭებელიც" არის და "სიცოცხლის მხსნელიც", რაკი ქვესკნელში მოედინება უკვდავების წყალი და იქიდან მოდის სიცოცხლის განახლება.

ninazu (შუმ. "კურნების უფალი") ქვესკნელის ერთ-ერთი ღვთაება.

ningal-ი (შუმ. "დიდი ქალბატონი"), შუმ. ქალღვთაება, *სინის* დედრული ცალი. შუმ. მწერლობაში უპირატესად წარმოდგენილია როგორც ქალწულ *ინანას* დედა, რ-

ითაც ამაყობს იგი: "დედაჩემი რომ არა, – აყვედრის იგი დ უ მ უ ზ ი ს, – უდაბურ გზებზე იწანწალებდი. დედაჩემი ნინგალი რომ არა, უდაბურ გზებზე იწანწალებდი..." დედისადმი პატივისცემა ჩანს *ინანას* სიტყვებში დუმუზისადმი, რ-იც სახლში არ უშვებს სატრფოს: "რა ვუთხრა დედაჩემს, როგორ ვეცრუო? რა ვუთხრა დედაჩემს ნინგალს, როგორ ვეცრუო?" ნინგალის გარეშე ინანა ნაბიჯს არ დგამს, მასთან მიჰყავს თავისი სატრფო დუმუზი, რომელმაც მისგან უნდა ითხოვის ინანას ხელი. "მე ნინგალის კარიბჭისკენ მივდივარ, მხიარულად მივემართები. დედაჩემს დუმუზი სიტყვას ეტყვის..." და უკვე გათხოვილი, იგი კვლავ ნინგალს, როცა დუმუზის ფარეხ-სადგომებისკენ გადაწყვეტს წასვლას: "დედაჩემო, ფარეხში გამიშვი! დედაჩემო ნინგალ, ფარეხში გამიშვი!.." ჩანს აგრეთვე დუმუზის მოწიწება თავისი სიდედრისადმი: იგი ამბობს: "ეს მე ვარ, ვისაც ნინგალის სახლში რძე მიმაქვს..." თუმცა ეს პატივი ალბათ რიტუალურია (პატივი სიძისაგან ცოლეურის სახლის, განსაკუთრებით, სიდედრის მიმართ).

მზის მითოლოგემაში ნინგალი, ვითარცა უთუს დედა, მიჩნეულია დღის მნათობის ღამეულ განსასვენებელ ადგილად: "უთუ დედამისის, ნინგალის, უბისკენ თავაღმართული მიდის".

ningirsu (შუმ. "გირსუს ბატონი"), შუმ. ქალაქ ლაგაშის, ადგილობრივი ღვთაება, მისი მფარველი. ნინ-გირსუ ამ ღმერთის ზედწოდებაა და არა საკუთარი სახელი, რაც მოწმობს იმას, რომ თავდაპირველად იგი ლაგაშის ერთ-ერთი კვარტალის – გირსუს მთავარი ღვთაება უნდა ყოფილიყო და შემდეგ აღზევდა მთელი ლაგაშის ქალაქ-სახელმწიფოს მფარველ ღმერთად.

ნ. ითვლება ენლილის ძედ, მის გმირად (ურ-სანგ) ანუ მისი ნების აღმსრულებლად. ლაგაშში, რ-იც მთელი შუმერის ხატია, იგი ცვლის ენლილს, სრულიად შუმერის ერთიანობის ღმერთს. ნ. ლაგაშის ენლილია, და ალბათ ამიტომაც ეწოდება მის მთავარ ტაძარს "სახლი ორმოცდაათისა" (რიცხვი 50 ენლილის რიცხვია). ლაგაშისათვის ე. ასრულებს მზის ღმერთის ფუნქციასაც: "სიუხვით დატვირთულ ბრწყინვალე ფორანში მისი მეუფე ნინგირსუ მზის ღმერთივით დადგა"; "მეფე გამოდის თავისი სახლიდან, ლაგაშისთვის ამომავალი მზეა".

ნ. ახორციელებს ომის ღმერთის ფუნქციებს ლაგაშისთვის: "ჩემს გაშლილ მკლავს კაცი ვერ გაექცევა", "ჩემს მძვინვარე თვალს ქვეყანა (იგულისხმება უცხო ქვეყანა) ვერ უძლებს", "გმირი, ტორებზე აღმართული ლომი, რომელსაც მეტოქე არა ჰყავს"; იგი არის "ომის მცოდნე", "მეფე, ენლილის ნიაღვარი, წინაღუმდგომელი".

ნ., როგორც ლაგაშის მთავარი მამრი ღვთაება, მონაწილეობას იღებს საკულტო ქორწინებაში: იგი ეუღლება ნაყოფიერების ქალღმერთს, რ-იც ცნობილია ბაბას სახელწოდებით. მათ ქორწინებაზეა დამოკიდებული ქალაქის კეთილდღეობა და ბარაქა.

ნ. მეფობის მიმნიჭებელია ლაგაშში, რაც ასახულია მეფის არჩევის ტრაფარეტულ ფორმულაში: "ოდეს ნინგირსუმ, ენლილის გმირმა, ურუქაგინას ლაგაშის მეფობა მიანიჭა, 36000 კაცში ხელი დაადო (ან: თავისი ხელით გამოარჩია)" ან: "გუდეა ბატონმა ნინგირსუმ მის ტახტზე დასვა". ლაგაშის მთავრების ტიტულატურის თანახმად, იგი იძლევა ძალას: "ნინგირსუს მიერ ძალამინიჭებული", ან სახელს: "ნინგირსუს მიერ სახელწოდებული".

თუ როგორ წარმოუდგებოდათ ნ-ს ხატი, ეს ჩანს ერთ ტექსტში, სადაც აღწერილია მისი გამოცხადება სიზმრად: "ძილისშორისში მეზმანა კაცი – კაცი ვინმე ცასავით ვრცელი, კაცი ვინმე ხმელეთივით ვრცელი; თავი მისი – თავი ღმერთისა (იგულისხმება რქიანი ტიარა, ღმერთების ჩვეული თავსაბურველი სახვით

ხელოვნების ძეგლებზე, – ზ. კ.), მკლავნი მისნი – მკლავნი ანზუდისა, ტერფნი მისნი – ტერფნი წარღვნისა".

აქადურენოვანი ერთი მითოსური ტექსტის მიხედვით ნ. (ვარიანტით *ნინურთა*) ამარცსებს ანზუდს, რ-მაც "ბედისწერის დაფები" მოსტაცა ენლილს, და ამ დაფების დაბრუნებით იხსნის ქვეყნიერებას წყვდიადისაგან. ამიტომაც არის ნ-ს ემბლემა ანზუდის გამოსახულება და მის ტაძარსაც ეპითეტად ამკობს: "მოკაშკაშე (?) ანზუდი". შესაძლებელი იყო მისი აღქმა თეოფანიის დროს ანზუდის სახით: "ნინგირსუ ურუქაგინას ფრთაგაშლილი გამოეცხადა".

ყურადღებას იპყრობს მისი წარმოშობის მითოლოგემა, რ-იც მითოსური გმირების წარმოშობის ანალოგიურია: "ნინგირსუ, ენლილის თესლი, რომელიც მთამ შობა, რომელიც ფურ-ირემმა მადლიანი რძით გამოკვება".

ningiSzida (შუმ. "ბატონი ჭეშმარიტი ან მადლიანი ხისა"), ნაყოფიერების ღვთაება, მისი ემბლემაა ერთმანეთს გადაკლაკნილი, ერტიკალურად აღმართული გველები, რ-ებსაც ორივე მხარეს უდგანად ხელკვერთხიანი ფრთოსანი ურჩხულები.

ადაფას მითოსში ნ. *თამუზთან* არის დაწყვილებული; ცაში, *ანუს* კარზე ასულ ადაფას ისინი იქ დახვდეიან და მეოხებას გაუწევენ ანის წინაშე. ამავე ტექსტის მიხედვით ნ. თამუზთან ერთად იკარგება ქვეყნიდან, რის გამოც ადაფა ეას რჩევით ძაძით იმოსება.

მის ხთონურ ბუნებაზე მიუთითებს გველის არსებობა მის ემბლემაში და აგრეთვე მისი გამოსახულება, როგორც წარმოდგენილია იგი ცილინდრულ საბეჭდავებზე: მისი მხრებიდან გველები ამოდის; ატარებს გრძელ წვერს და რქიან ტიარას; მას უპყრია ქ. ლაგაშის მთავრის ხელი და მიჰყავს იგი ტახტზე მჯდარი ღმერთისაკენ (ე.წ. წარდგინების სცენა).

ninTur-ი (შუმ. "ქალბატონი-ბოსელი"), შუმ. მითოლოგიის დიდი დედა, კაცობრიობის მშობელი ქალღმერთი, რ-იც გაიგივებულია "ბოსელთან" (რასაც მოწმობს მისი სახელი) და "საშოსთან" (როგორც მისი ეპითეტი "შაგთურ" გვაუწყებს). ნ. უქორწინებელ ქალღმერთთა რიცხვს ეკუთვნის, რ-თა გვერდით ვერ ვხედავთ მამრულ ღვთაებას. მხოლოდ მოგვიანო ტექსტებში, სადაც ადამიანის გაჩენის ამბავია მოთხრობილი, ამ აქტში ნ-თან ერთად მონაწილეობს *ენქიც*. ნ. არა მხოლოდ მშობელი ქალღმერთია, არამედ იგი მფარველობს საყოველთაო შობას და ღვთიური ბებიაქალის როლსაც კი ასრულებს.

ninilil-ი, *ენლილის* მეუღლე.

ninsuna (შუმ. "დედოფალი-ფური"), *ურუქის* ადგილობრივი დედრი ღვთაება, როგორც ჩანს, ქალაქის მფარველი და ქალაქის მეფეთა მითოსური დედა. *გილგამეშის* ეპოსში ნ. გამოყვანილია ხორციელ ქალად; თუმცა იგი გილგამეშის დედად არის ნაგულისხმევი, მაგრამ მისი მფარველი ქალღმერთის ნიშნებს ავლენს. ნ. განმარტავს მის სიზმრებს, გამოდის მეოხედ, შუამავლად გილგამეშსა და *შამაშს* შორის; იგი დალოცავს მას ლაშქრობის წინ. გილგამეშის შუმ. თქმულებაში ნ-ს გვერდით იხსენიება *ლუგალბანდა*, ვითარცა მისი მეუღლე.

ნ-ს მუდმივი ეპითეტებია "ფარეხის ფური" ან "ფური ნინსუნა", რაც ბუნებრივად გამომდინარეობს მისი სახელის ეტიმოლოგიიდან. თუმცა ნინსუნა, შესაძლოა, ეპითეტი იყოს მისი და არა საკუთარი სახელი.

ურის III დინასტიის ხანაში დინასტიურ მითოსში წინა პლანზე წამოიწია ნ-მ, ვითარცა ამ დინასტიის მითოსურმა დედამ; ნ. მათი დედაა, ხოლო ლუგალბანდა მათი ღვთაება, გილგამეში მათი "დიდი ძმა". ეს ტრადიცია ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ურის III დინასტიის დამაარსებელი ურნამმუ ურუქელი იყო: "დიდი გილგამეშის ძმა

ვარ მე, ნინსუნას ნაშობი შვილი ვარ მე, საზეპურო თესლი ვარ მე", დედაჩემის, ნინსუნას წიაღიდან ჩემთვის სასიკეთო ხვედრი გამოვიდა" და სხვ.

ninurTa (შუმ. "ურთას უფალი"), ომისა და ნადირობის ღმერთი, *ენლილის* წრის ღვთაება, მისი ძე და მეომარი; ასრულებს რა ძეობის პრინციპს, მოქმედებს მამის სახელით, ვითარცა მისი იარაღი, და იწოდება *ნინგირსუს* მსგავსად მამის შურისმგებლად. ცნობილია მისი კოსმოგონიური ღვაწლი: ზღვარს უდებს გველეშაპის მიერ ამონთხეულ მლაშე წყლების ნიაღვარს, რ-იც წალეკვით ემუქრება ტიგროსისა და ევფრატის მტკნარი წყლის დინებას. აშურის სახელმწიფო პანთეონში ნ. უპირატესად მეომარი ღვთაებაა, რ-იც წინ უძღვის სამეფო ლაშქარს და ამარჯვებინებს მტერზე. მისივე შემწეობით ინადირებენ ასურელი მეფეები გარეულ მხეცებს (ველურ ხარებს, სპილოებს, ლომებს...).

თუმცა ნ. ენლილის ძედ იწოდება, ზოგიერთი ტრადიციით იგი დედა ქალღმერთმა მამრის გარეშე შვა, არ გაუზრდია არც მამას და არც დედის რძე უწოვია, განსხვავებით მისი თაობისა და რანგის ღმერთებისა (ამით თითქოს ახსნილია მისი სისასტიკე, ვითარცა ომისა და განადგურების ღმერთისა). ნ. ენაცვლება ხოლმე ნინგირსუს, როცა მას მიეწერება ბედისწერის დაფათა მომტაცებლის *ანზუდის* დამარცხება.

ninqas-ი (შუმ. ქალბატონი, "პირის ამვსები" ან "ჭურჭლის ამვსები"), ლუდის დუღების ხელოვნების მფარველი ღვთაება, *ნინხურსანგასა* და *ენქის* ასული; ნ-ის მუდმივი თანამგზავრია ცეცხლის ღმერთი, როგორც ლუდის დამზადების აუცილებელი სტიქიონი. ცნობილია ნ-ის ცხრა შვილი, რომელთა სახელები ლუდის სხვადასხვა სახეობების სახელწოდებებია. ნ-ის ალაოს ქვაბი ხასხასა ლაჟვარდის ქვისაა, თასები – ხალასი ოქროსი და ვერცხლისა. "როცა იგი ლუდში "დგას", სიხალისეა; როცა იგი ლუდთან "ზის", მხიარულებაა..."

ninSubur-ი (შუმ. "ქალბატონი შუბური"), *ინანას* მაცნე მითოლოგიურ ტექსტში "ინანას ჩასვლა ქვესკნელში". ვიდრე ქვესკნელში ჩავიდოდეს, ინანა ავალებს ნ-ს, შეატყობინოს დიდ ღმერთებს ეს ამბავი, რათა ისინი შეეწიონ მას და მეოხება გაუწიონ ქვესკნელის დედოფლის წინაშე. ქალღმერთი ამგვარი სიტყვებით მიმართავს თავის მაცნეს: "ჰოი, მარად ერთგულო ჩემო, მაცნევ ჩემო სასურველ ამბავთა?.. დღეიდან ქვესკნელში ჩავდივარ. როცა მე ქვესკნელში ვიქნები, ჩემს გამო გლოვა გამართე, საკრებულო სადგომში საკრავი დამიკარი, ღმერთების საყდრები ჩემთვის მოიარე, თვალები დაითხარე, პირი-სახე დაიხოკე, უპოვარივით ერთადერთი სამოსი შეიმოსე..."

ნ. ასრულებს ინანას დავალებას და მართლაც სამი დიდი ღმერთის ტაძარს შემოივლის. მის სიტყვას მხოლოდ *ენქი* ათხოვებს ყურს და დაუდგება ქომაგად ინანას ქვესკნელის დედოფლის, *ერეშქიგალის* წინაშე.

ninxursanga (შუმ. "მთის დედოფალი"), უძველესი შუმ. ქალღმერთი, დიდი დედა, უქორწინებელი ქალღვთაება, რომლის გვერდით არ ჩანს მამრი. ნ. შუმ. მითოლოგიურ ტექსტებში გვხვდება სხვა სახელებითაც, რ-თაგან ყველაზე გავრცელებულა *ნინთური* – "შობის დედოფალი" და ნინმახი – "დიდი ქალბატონი". ერთი შუმერული მითოსის თანახმად ნ. სამოთხის, *დილმუნის* პირველი მკვიდრია. *ენქისთან* ერთად იგი აქ ქმნის, გამოიყვანს რვა მცენარეს, რ-თაც ენქის დავალებით ამოგლეჯს მისი მაცნე ისიმუნდი და მოუტანს თავის ბატონს შესაჭმელად. ენქი შეჭამს მათ სათითაოდ, რის გამოც დაიმსახურებს ნ-ს რისხვას. ნ. გაუჩინარდება დილმუნიდან, ხოლო ენქი სიკვდილის პირამდეა მისული: დილმუნიდან წასვლისას ნ-მ იგი დაწყევლა და მის რვა ორგანოს შეჰყარა სნეულება. სწუხან ღმერთები ენქის გამო, ვერაფერს ახერხებენ ისინი, თვით ენლილიც კი უძლურია. მაგრამ

რასაც ღმერთები ვერ შეძლებენ, იმის გაკეთებას იკისრებს მელა, რ-იც უკან დააბრუნებს ნ-ს. ქალღმერთი კალთაში ჩაისვამს სნეულ ღმერთს და შექმნის რვა შესაბამის მკურნალ ღვთაებას ენქის რვა სნეული ორგანოს განსაკურნავად.

ქალღმერთის სახელი დაკავშირებული უნდა იყოს პირველწარმოშობილ კოსმოგონიურ მთასთან, რომელიც ამოიზიდა პირველარსებული ოკეანიდან.

შუმერელი მეფეებისა და ქალაქთა განმგებლების საკრალურ ტიტულატურაში ნ. ფიგურირებს, როგორც მათი გამომზრდელი "თავისი მადლიანი რძით".

nisaba (შუმ. შეიძლება ნიშნავდეს "პურის მომნიჭებელს", როგორც მოწმობს მისი ვარიანტი ნიდა-ბა. ნიდა, ნინდა – "პური"), მცენარეულობის, კერძოდ, მარცვლეულის ქალღმერთი. ნ. წარმოდგენილია გრძელთმიანი დიაცის სახით (ათავთავებული ყანის განსახიერება), მრავალსაშოიანი, მრავალძუძუებიანი და მრავალყურიანი"; მისი მცენარეული ბუნების გამომხატველია ეპითეტი "ქვეყანათა სიუხვე (ან სიმწიფე)", "სიცოცხლის მომნიჭებელი".

ვითარცა ღვთაება, სული მარცვლისა, რ-იც ხნულში ითესება (იმარხება), ნ. ხთონური ბუნებისაა და ამიტომაც ზოგიერთ ტექსტში "ქვესკნელის დედოფლადაც" იწოდება.

ნ. სიბრძნის ქალღმერთიც არის, სიბრძნესთან არის წილნაყარი: "სიბრძნის ნისაბა", "სიბრძნის სახლის გამღები"; იგი დაკავშირებულია "რიცხვთა აზრთან" და ამ ასპექტით მისი ეპითეტია "ნისაბა, რომელმან რიცხვთა აზრი უწყის". ერთმანეთის პარალელურად იხმარება "ნისაბა-თვლა" და "ნისაბა-მარცვალი" (მისი ეს ბუნება უნდა აიხსნას "მარცვლისა" და "თვლის" საერთო სემანტიკით).

ლაგაშის მთავარს გუდეას ნ. ეცხადება სიზმარში ქალწულის სახით, რ-საც ხელთ უპყრია საწერი ლერწამი და "დაფა კეთილი ვარსკვლავისა". აქედან ჩანს, რომ ნ. დამწერლობის მფარველი ღვთაებაა.

nifur-ი (შუმ. ნიბრუ), *შუმერის* რელიგიური ცენტრი, *ენლილის* მთავარი საკულტო ქალაქი. ნ. დასახულია არა მხოლოდ შუმერის, არამედ ქვეყნიერების შუაგულად, სადაც გადის სამყაროს "დიდი ღერძი" (დიმ-გალი). ნ-ის ეს მითოსური ბუნება გაცხადებულია მისი მთავარი ტაძრის სახელწოდებებში: ექურ – "სახლი-მთა" (კოსმიური ღერძის ერთ-ერთი განსახება) და *დურანქი* ("ჭიპლარი ცისა და მიწისა"). ერთი შუმ. მითოლოგიური ტექსტის თანახმად ადამიანის გაჩენამდე ნ-ს პირველი მოსახლენი იყვნენ ჭაბუკი ენლილი, ქალწული ნინლილი და დედაბერი ნუნბარშეგუნუ – ნინლილის დედა, რომელიც ასწავლის თავის ქალიშვილს, როგორ მოაწონოს თავი ენლილს. მათი შეუღლების შედეგად ნ-ში იბადება მთვარის ღმერთი ნანარის სახელით.

nicir-ი (აქად. "ხსნა", "გადარჩენა"), სახელი მთისა, რ-საც მიადგა წარღვნას გადარჩენილი ხომალდი (გილგამეშის ეპოსის XI დაფა). ამ სახლის მთა ნახსენებია აშურბანიფალ II-ის (883-889) ანალებში; იგი მდებარეობდა, როგორც ჩანს, ზაგროსის მთიანეთში, მდ. ქვემო ზაბის სამხრეთით.

წარღვნის მითოსში ნ. არის ის უმაღლესი მწვერვალი, რ-იც პირველად გამოჩნდა წარღვნის მიქცევისას. აქედან გაუშვა წარღვნის გმირმა ფრინველები მიდამოს დასაზვერავად; მის წვერზე დაიდგა პირველი საკურთხეველი წარღვნის შემდეგ და შეწირული ზვარაკის სუნმა აქეთ მოიზიდა ღმერთები, რ-ბიც "ბუზებივით შემოეხვიენ მსხვერპლის შემწირველს". რაკი ეს იყო ის ადგილი ხმელეთისა, სადაც წარღვნის გმირმა დაინახა წარღვნის წყლების დაკლება და კატასტროფის დასასრული, ამ მთასაც შესაფერი სახელი ეწოდება ნიცირ – "თავშესაფარი", "ხსნა".

მითოსური ასპექტით, ნ-ს გამოჩენა წარღვნის შემდეგ იმეორებს პირველ კოსმოგონიურ აქტს, როდესაც წყლიდან ამოიზიდა პირველი ხმელეთი მთის სახით.
nudimud-ი (შუმ. "შემქმნელი") *ენქის* ერთ-ერთი სახელი.
nusqu, ცეცხლის ღმერთის ერთ-ერთი გამოვლინება (შდრ. გირუ). ნ. დაკავშირებულია *ენლილთან*, როგორც მისი ნანდაური და ეს გამოხატულია მის ეპითეტში "დურანქის ნაშიერი", საიდანაც ჩანს, რომ მის ჭეშმარიტ ადგილად, ვითარცა სამსხვერპლო ცეცხლისა, წარმოდგენილია სამყაროს შუაგული (გავრცელებული მითოლოგემა ინდოევროპული ხალხების მითოსში). ამ მითოლოგემისა და მისი ფიზიკური მოქმედების ძალით გ. მიჩნეულია ცისა და მიწის შემაკავშირებლად (ცეცხლის ალის ვერტიკალიზმი!), რისი კერძო გამოვლენაა მისი როლი შუამავლისა მსხვერპლშეწირვის დროს კაცობრივ და ღვთაებრივ სამყაროებს შორის ("ნუსქუ, რომელსაც ყოველდღიურად მიაქვს თუქულთი-ნინურთას ლოცვა აშურისა და ენლილის წინაშე..."). ნ-ს ცეცხლი შთანთქავს შეწირულ მსხვერპლს და სურნელების სახით აწვდის ღმერთებს. ცეცხლი ისევე აუცილებელია ცაში ღმერთების კრებულისთვის, როგორც მიწაზე ადამიანთათვის: "უშენოდ ნადიმად არ სხდებიან ღმერთები, უშენოდ სურნელებას ვერ იყნოსვენ დიდი ღმერთები, მამა-ანუს მსჯავრი არ გამოაქვს და ენლილი არ იძლევა გადაწყვეტილებას..." – ნათქვამია ერთ ჰიმნში.

ნ-ს ნიშანია, როგორც გამოსახულია ერთ ბარელიეფზე, შვეულად აღმართული წვერწამახული სვეტი – ცეცხლის ალი.
sargon-ი, ბერძნული წარმომავლობის ფორმაა აქადური სახელისა შარუქენუ ("მეფე კანონიერი") – ისტორიული პიროვნება, აქადის დინასტიის დამაარსებელი, რ-მაც პირველმა სცადა შუამდინარულ ქალაქ-სახელნწიფოთა გაერთიანება ერთ იმპერიად და კიდევაც შეძლო ეს. მისმა მოღვაწეობამ (იგი 50 წლის მანძილზე მართავდა აქადის იმპერიას) დიდი დაღი დააჩნია შუამდინარეთის ისტორიას – ლიტერატურას, ხელოვნებას, პოლიტიკურ აზროვნებას. დიდი ხნის მანძილზე ს. ლეგენდარულ, არაისტორიულ პიროვნებად ითვლებოდა, სანამ არ აღმოჩნდა ტექსტები, რ-თაც დაადასტურეს მისი ნამდვილობა.

ს. მონაწილეობს ჩვენამდე შემონახულ ორ თხზულებაში. ერთი ნახევრად ისტორიული ხასიათისაა და ეხება მის ურთიერთობას კაპადოკიასთან, რ-ის დასახმარებლად ს. ექსპედიციას გზავნის. ტექსტიდან თითქოს ჩანს, რომ ს. თვითონ წასულა მცირე აზიაში, სადაც იგი ხვდება სხვადასხვა უცნაურ ცხოველებსმ ფრინველებს... მის ლაშქრობას მფარველობს *შამაში* (ისევე როგორც *გილგამეშის* ლაშქრობას *ხუმბაბას* წინააღმდეგ).

მეორე ტექსტში, რ-იც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, მოთხრობილია მისი წარმოშობის ამბავი. ლეგენდის მიხედვით მისი დედა ქურუმი ქალი ყოფილა, მამა – უცნობი. ჩვილი ბავშვი გოდორში ჩაუსვამთ, გოდორი შეუფისავთ და მდინარისთვის გაუტანებიათ. გოდორი ვიღაც მებაღეს უპოვნია, ბავშვი აღუზრდია. დაჭაბუკებული ნაპოვარა *იშთარს* შეუყვარებია და მეფედ აღუზევებია. ტექსტში ლაკონურად არის ნახსენები მისი ღვაწლი, რაც ისტორიული წყაროებიდანაც არის ცნობილი ("იშთარმა მას მეუფება მისცა ქვემო ზღვიდან ზემო ზღვამდე...").

მოგვიანო ქრონიკებში იგი ნახევრად მითოსური ასპექტით არის წარმოსახული: "შარუქინი აქადის მეფე, ინანას ხელმწიფების დროს აღზევდა, ტოლი და მეტოქე არ ჰყოლია. მისი ელვარება ქვეყნებს ეფინა. მზის აღმოსავლეთში ზღვა გადალახა, მე-11 თვეს მზის დასავლეთის ქვეყანას მიუწვდინა ხელი. პირი მისი ქვეყნისა ერთი იქნა; თავისი ქანდაკი დასავლეთში დადო". ხოლო ორაკულში: "ნიშანი შარუქინისა, რომელმაც წყვდიადი გაფანტა, ნათელი იხილა".

შუამდინარეთში ს. ძლევამოსილი მეფის პროტოტიპად იქცა. მის სახელს ატარებდა აშურის მეფე VIII ს.-ში ძვ. წ.

რქა, დიდების, ბრწყინვალბის, სხოვოსნობის ნივთიერი გამოხატულებაა: ღვთაებათა და ღვთაებრივ საგანთა ნიშანი. ღმერთებს მათი ღვთაებრიობის ნიშნად თავს ადგათ მრავალრქიანი ტიარა, ტაძართა გამოსახულებებზე ვხედავთ რქებს, როგორც მ ე ლ ა მ ი ს გამომტევებელი, მითოლოგიურ ეპოსში ამგვარად არის წარმოდგენილი ტაძრის აგება: "განუნიდან ამომავალ მზესავით რქები გაუბრწყინონ!" ასევეა სამშენებლო, ნახევრად მითოლოგიურ ტექსტში: "მის გოდოლს ა ბ ზ უ ს წმიდა ბოტივით რქა გაუბრწყინა". იმავე ტაძრის გამო ნათქვამია: "ტაძარი, ვარსკვლავივით ცის წიაღში ბრწყინავს, ხარივით რ ქ ა მაღლა აღუმართავს.

გაღმერთებული მეფე ნ ა რ ა მ ს ი ნ ი ერთ ცნობილ სტელაზე რქიანი მუზარადით არის გამოსახული, რაც ადასტურებს მის ღვთაურობას და ათვალსაჩინოებს მასზე თქმულ სიტყვებს: "მეფე იგი, მწყემსი ნარამსინი, აქადის საყდრიდან მზესავით გამოვიდა".

ძველი ხალხების ცნობიერებაში რქა წარმოდგენილია როგორც შენივთებული (მატერიალიზებული) სხივი, ნათელი, რაც ასახულია კიდეც შუმერულში და სემიტურ ენებში. შუმ. **si** ნიშნნავს "რქასაც" და "სხივსაც"; ასევე აქადური **karnu** და ებრაული **keren** ორივე მნიშვნელობას შეიცავს. ამავე მითოსურ გამოცდილებას ემყარება ფონეტიკური სიახლოვე ლათინურ სიტყვათა **cornu** ("რქა") და **corona** ("გვირგვინი"), რომლის სხივოსან ბუნებას თავად მისი სახე თვალნათლივ ასაჩინოებს. [ამ მიზეზით მოხვდა ძველი აღთქმის ლათინურ თარგმანში, ვულგატაში, ფრაზა: "არ იცოდა (მოსემ), რომ რქიანი იყო სახე მისი", რაც ქართულ თარგმანში ამგვარად იკითხევბა: "არა უწყოდა მოსე, რამეთუ დიდებულ იყო ფერი პირისა მისისა" (გამოსლვ. 34, 29); აქ "დიდებულ" იგივეა, რაც "ბრწყინვალე". ამ ადგილისი ლათინური თარგმანის კვალზე მიქელანჯელომ მოსე თავზე რქადასხმულად გამოაქანდაკა].

სიტყვა (შუმ. ენემ. აქად. კიბითთუ) ან "ნათქვამი" ბუნებაში და კაცობრიობაში (კულტურაში) ღმერთის აქტივობის ძირითადი გამოხატულებაა; ღმერთის ნების აღმსრულებელი, მათი შემოქმედებითი უნდარი. ს. ღმერთის იმანენტურია, რაკი ის მისი წარმოთქმულია, მისი ბაგიდან მომდინარეობს, მაგრამ ის ხშირად მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი ძალა. ს. იარაღია კოსმოგონიური აქტების შესასრულებლად. მართალია, ძირითად კოსმოგონიურ ტექსტებში არ ჩანს, რომ დემიურგი სიტყვის მეშვეობით, მისი წარმოთქმით ქმნიდეს სამყაროს, როგორც "დაბადებაში" ვკითხულობთ, მაგრამ დემიურგულ ღვთაებებისადმი მიმართულ ჰიმნებში ს.-ს შემოქმედებითი ფუნქცია აკისრია. ს. დამუხტულია ღმერთის აზრით, ნებით, მისი სიბრძნით.

ღმერთი განუწყვეტლივ მეტყველებს, "მისი სიტყვა არასოდეს შეწყდება", მისი მარადიულობის გამოხატულებაა მარადმედინი წყალი. ღმერთის შემოქმედებითი ს. არის შეურყეველი, როგორც უცვალებელი, მართალი, მტკიცე, ისეთივე შეურყეველი, როგორც სამყაროს, "ცისა და მიწის საფუძველი". სრულიად გარკვეული აზრით, ს. არის საძირკველი (შუმ. თემენ) ცისა და მიწისა.

ცისა და მიწის ერთიანობა, კოსმიური ჰარმონია, და, ამავე დროს, მათი ერთობლივი განუწყვეტელი შემოქმედება დიალოგის, შესიტყვების, სიტყვათა გაცვლა-გამოცვლის სახით არის წარმოდგენილი. ს. ამ შემთხვევაში კოსმიური

შეუღლების აქტის გამომხატველია: "ცა მიწასთან სიტყვით თანაუბნობს; მიწა ცასთან სიტყვით თანაუბნობს".

სადაც კი რამ ხდება, სადაც კი რამ იბადება, ყველგან ვხვდებით ამ ს.-ს: "შენი სიტყვით იბადება კაცთა მოდგმა", ყოველ კერძო შემთხვევაში კი საცნაურია მისი უშუალო მოქმედება, რომელსაც გრძნობს მოწიფული ქალ-ვაჟი: "შენს სიტყვას ჭაბუკი თავის ძალასავით შიგანში ჩაიდგამს, – ძალამოცემულ კუროსავით ეზოში იკუნტრუშებს; შენს სიტყვას ქალწული სიმწიფის ჯიღად თავზე დაიდგამს".

ს. არის ის ძალა, რომლითაც ცა მიწაზე აწვიმებს, მიწიდან ბალახი ამოჰყავს, მოსავალი მოჰყავს: "სიტყვა ჩემი ცას მისწვდება და სიუხვის წვიმა იწვიმებს ციდან; მიწას მისწვდება და მცენარეულობა გაჩნდება მიწად; ამწვანებულ ყანას მისწვდება და ჩემი სიტყვით მოსავალი უხვად დახვავდება". ან: შენი სიტყვა - მცენარეულობა; შენი სიტყვა - ხორბალი; შენი სიტყვა - წყლის ნიაღვარი, სიცოცხლე მთელი ქვეყნისა".

ღმერთის ს. ჭეშმარიტია თავისი ბუნებით, ამიტომაც იგი არის ჭეშმარიტების პირველსახე, "დედანი", ყოველი კერძო სიმართლისა, რომელიც კი კაცთა მოდგმაში იპოვება. "სიტყვა შენი ჭეშმარიტებას და სიმართლეს ბადებს, ხალხს სისწორეს ალაპარაკებს". ბუნებრივია, რომ ამ ასპექტით ს. ნათელთან არის გაიგივებული: "სიტყვა შენი სხივია".

ღვთაებრივი ს., როგორც შემოქმედებითი, ყოვლისშემძლე ძალა, საიდუმლოებრივია; ის ადამიანთათვის მიუწვდომელია, ადამიანი მხოლოდ მისი მოქმედების კვალს ხედავს დედამიწაზე. შენი სიტყვა ცაშია გაშორიელებული, მიწაშია ჩასული - ვერავინ მიაგნებს".

sibiTi (აქად. "შვიდნი", "შვიდეული"), დაბალი რანგის ღვთაებანი ანუ დემონები, რ-ბიც ერთდროულად არიან ნაშობნი და ერთად მოქმედებენ. გავრცელებული ტრადიციის თანახმად ისინი ცის ღმერთის, *ანუსა* და მიწის ნაშიერნი არიან (მსგავსად ელინური მითოლოგიის ტიტანებისა და გიგანტებისა, რ-ბიც აგრეთვე ცისა – ურანოსის და დედამიწის – გეას შვილები არიან). მათი შობა ამგვარად არის გადმოცემული ტექსტში: "ანუ, ღმერთების მეფე, დედამიწას შეეუღლა; დედამიწამ შვიდი ღმერთი დაუბადა და შვიდეული დაარქვა სახელად". მიუხედავად იმისა, რომ ს. განუცალკევებელი ერთიანობაა, მათმა მშობელმა თითოეულს განსაკუთრებული უნარი და ფუნქცია მიანიჭა. ერთს ცეცხლის ძალა აქვს, მეორე ზარის დამცემია, მესამეს ლომის მძვინვარება აქვს, მეოთხე მთების დამამხობელია, მეხუთე ქარის, მეექვსეს ასპარეზი შეუზღუდავია, მეშვიდე გველეშაპის შხამით არის დატენილი. ანუმ ს. განსაზღვრული მიზნით შექმნა: ს. უნდა დაეხმროს *ერას* ხალხის განადგურებაში, თუ მათმა ხმაურმა შეაწუხა იგი. ს. უნდა წააქეზოს ერა და აღძრას იგი სამოქმედოდ, გაუღვიძოს ბრძოლის წყურვილი. ამგვარი სიტყვებით მიმართავენ ისინი ერას, რ-იც "საპყარივით დამჯდარა ქალაქში, ომში წაუსვლელივით დიაცთა საჭმელს ჭამს და ომის უმეცარივით ძრწის და კანკალებს!..." ამრიგად, ს-ში განხორციელებულია ბრძოლის საწყისი (ჟინი), რაც უპირისპირდება ქალაქში დავანებულ მშვიდობას.

აქად. დემონოლოგიაში ცნობილია სხვა შვიდეული, აგრეთვე ს-ის სახელწოდებით, ავსულნი, რ-ბიც ადამიანებზე არიან გაბოროტებულნი (წვიმასავით ღვრიან მათ სისხლს, უგლეჯენ ხორცს და ძარღვებიდან სისხლს უწოვენ).

ს. ის დემონებია, რ-თაც შთანთქმული ჰყავთ მთვარე გარკვეული პერიოდის მანძილზე.

sidur-ი, ქალღმერთი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ *გილგამეშის* ეპოსში გვხვდება. წარმოშობით ეს სახელი არც შუმერულია და არც აქადური; შესაძლოა ხურიტულ სამყაროს უკავშირდებოდეს (ერთ ბუნდოვან კონტექსტში შიდური თითქოს "ქალწულს" უნდა ნიშნავდეს). იგი სრულიად განმარტოებით ცხოვრობს მზის დასავლეთით, ქვეყნის მიღმა, ზღვის შუაგულში მდებარე კუნძულზე. მისი ეპითეტია "მევაჟინე", რაც თითქოს უნდა მიუთითებდეს ამ ქალღმერთის ფუნქციაზე, რ-იც მას ჩვენამდე მოიღწეველ მითოსში უნდა ჰქონოდა (გილგ. ეპოსში გაკვრით არის ნათქვამი, რომ მას "ჭურჭელს უმზადებენ" ღმერთები). თუმცა ეს ეპითეტი სავსებით შეესაბამება მის სულისკვეთებას, როცა მოუწოდებს გილგამეშს უზრუნველი და მხიარული ცხოვრებისაკენ. ამ მხრივ, იგი ენათესავება კირკესა და ნიმფა კალიფსოს; განსაკუთრებით ამ უკანასკნელთან მას აახლოებს მისი დახასიათება: "საბურველით იბურება" (შდრ. "ვფარავ"). ჰომეროსის "ოდისეას" მიხედვით კალიფსოც კაცთა საცხოვრისიდან შორს დასავლეთით ბინადრობს კუნძულ ოლიგიაზე. სიდურის მსგავსადვე მისი კუნძულიც ოკეანეს "ჭიპთან" მდებარეობს. ერთ საცნობარო ლურსმულ ტექსტში ს. გაიგივებულია "სიბრძნის იშთართან", თუმცა სხვაგან არსად არ არის დადასტურებული მისი ამგვარი ბუნება. გილგამეშის ეპოსში მისი ბაგეებით ღაღადებს ყოველდღიური, ყოფითი სიბრძნე, – ეს ის სიტყვებია, რ-თაც მას სურს დააბრკოლოს სიცოცხლის აზრის საძიებლად დაძრული გმირი:

აწ სავსე გქონდეს სტომაქი, გილგამეშ,
დღითა და ღამით განუწყვეტლივ ილხენდე,
დღენიადაგ მართავდე ნადიმს,
დღითა და ღამით როკვიდე, მღერდე,
სპეტაკი სამოსელი გემოსოს,
თავს განიბანდე, ტანს განიბანდე,
ზრუნავდე ჩვილზე, ხელთ რომ გეჭირება,
შენს მკერდზე ხარობდეს მეუღლე შენი,
რამეთუ ესაა ხვედრი კაცისა.

sin-ი, მთვარის ღმერთის გავრცელებული სახელი, სემიტური წარმოშობისა, რ-ის კვალი შეიძლება შემორჩენილი იყოს სინაის მთისა და სინის უდაბნოს სახელწოდებებში. მთვარის შუმ. სახელწოდებაა "ნანნა" ან "ნანნარ", რომელიც გააზრებულია აქად. ენობრივ სინამდვილეში "ნათლად", "შუქად". შუამდინარულ მოგვიანო პანთეონში ს. მეორე ტრიადის პირველი წევრია (ს., *შამაშ, ადად*); სხვადასხვა ტრადიციით მიჩნეულა *ანუს* ან *ენლილის* პირმშოდ (*დურანქიში* შობილად); თუმცა ზოგიერთ თეოლოგიურ ტექსტში გამოცხადებულია (როგორც ჩანს, მთვარის ფაზების რიტმიდან ამოსვლით) "ნაყოფად, რომელიც თავისთავად იბადება". ს., როდესაც მისი მნათობური გამოხატულება სავსე მთვარეამ იწოდება "ოცდამეათე დღის ღმერთად", თვის ბატონად", "შარავანდის ბატონად" და, ბუნებრივია, რომ ამ დროს მისი საკრალური რიცხვია 30 (ამ ნიშნითვე იწერება ზოგჯერ მისი სახელი). როდესაც ს. ახალი მთვარეა, მისი სიმბოლოებია ნავი, რქადასხმული ხარი და ნამგალი; აქედან მოდის მისი ეპითეტები: "ცის დიდი ნავი", "ბრწყინვალე ნამგალი", "დიდი ცის ნამგალი", "რქამაღალი" და სხვ.

ს., როგორც ღამის მნათობის სახით გამოვლენილი ღვთაება, მომთაბარე მესაქონლეთა მფარველია, ამიტომაც მისი ეპითეტები, მეტაფორული სახელები და მითოლოგემები შინაურ ცხოველთა სამყაროდან მოდის. იგი წარმოდგენილია ხან ხბოდ ("მნათობი – ბრწყინველე ხბო", "ენლილის ჩვილი ხბო"), ხან ხარად, რომელსაც მიწიერ სადგომში ჰყავს ფური ("ნანნარის ფური, თავის ბოსელში რომ ბრწყინავს"). ს-ის სადგომ ბოსლები მიმოფანტულია მთელს შუმერში ("რა უამრავი

ცხვარია, რა უამრავი ძროხაა! სინის სადგომებში რა უამრავია! შავმატყლიანები ლაჟარდით ბრწყინავენ, თეთრი ფურები ამომავალ მთვარესავით არიან!").

ს. თავისი სიტყვით, რ-იც სხვა არაფერია, თუ არა მისივე ნათელი, მოქმედებს წყლის სტიქიაზე. მისი სიტყვა იწვევს წყლის მიქცევა-მოქცევას: "ოდეს შენს სიტყვას ზღვაზე გადააფენ, – ღელავს ზღვა; ოდეს შენს სიტყვას ჭაობზე გადააფენ, – კვნესის ჭაობი; ოდეს ტიგროსს და ევფრატს გადააფენ, – დინება მშვიდდება დღითა და ღამით". ან: "წმინდა ევფრატი წყლით ივსება – ნანარისგან არის! მდინარეები და არხები წყლით ივსება – ნანარისგან არის! დიდი და მცირე ჭაობები წყლით ივსება – ნანარისგან არის!"

ს-ის ანუსა და ენლილისგან *ურის* მეფობა აქვს ჩაბარებული. ამიტომაც ური, "მისი საყვარელი ქალაქია", სადაც დავანებულია იგი თავის ღვთაებრივ დედრულ ცალთან, *ნინგალთან* ერთად; აქ არის მისი მთავარი საკულტო ადგილი (ექიშნუნგალის ტაძარი). ს. არის "ურის გვირგვინი", რ-იც ზემოდან აფრქვევს მასზე სხივებს. ს., როგორც ურის მფარველი ღვთაება, ზრუნავს ქალაქზე: იგი მიემგზავრება *ნიფურს*, თავის სამშობლო ქალაქში, რომ თავის მშობელს, ენლილს გამოსთხოვოს კურთხევა ურისთვის ("მომეცი წილი შენი სიუხვიდან ურში წასაღებად") – როგორც მატერიალური დოვლათის სახით (მდინარეში თევზები, ყანებში ხორბალი, ბაღ-ვენახებში ხეხილი, თაფლი და ღვინო, ტყეში გარეული ცხვრები და თხები), ისე სასიცოცხლო ძალის სახით ("დღეგრძელობა სასახლეში"). **sifar**-ი, მზის მთავარი საკულტო ქალაქი ჩრდილო შუმერში. შუმ. "მეფეთა სიის" თანახმად, ს. არის რიგით მეოთხე ქალაქი, სადაც დამკვიდრდა მეფობა, რ-საც 28000 წლის მანძილზე ასრულებდა ვინმე ენმედურანა; აქედან მეფობა გადასულა წარღვნამდლი ცივილიზაციის უკანასკნელ ქალაქში, *შურუფაქში*. სხვა, ალბათ ადგილობრივი, ტრადიციით, ს-ს – "მარადიულ (ან დასაბამიერ) ქალაქს" *ენლილის* განგებით არ შეხებია წარღვნის გამანადგურებელი ნიაღვარი. ს-ის გამორჩეულობას ადასტურებს წარღვნის ბაბილონური მითოსის ბერძნულ ენაზე შემორჩენილი ვერსია, რ-ის მიხედვითაც წარღვნის წინ აქ იქნა ჩამარხული ბაბილონეთის მთელი ისტორიის ("უწინარესი, შუა და უკანასკნელი ამბების") შემცველი თიხის ფირფიტები, რათა წარღვნის შემდეგ ამოეთხარათ და მათ საფუძველზე აღედგინათ დაღუპული ცივილიზაცია.

sumukan-ი, ცხოველთა მეუფე ან ნადირთ ბატონი; მწყემსავს და იფარავს გარეულ მხეცებს და თავადაც ცხოველური ნიშნებით არის წარმოდგენილი როგორც მითოსში, ისე სახვით ხელოვნებაში (ფაჩვნიერი პირველკაცი ენქიდუ "ატარებს სუმუკანის სამოსელს"). მასზეა დამოკიდებული ყოველგვარი სახის გარეული პირუტყვის გამრავლება; ჯოგის განაყოფიერება ს-ის ძალით ხდება, რაკი იგი ატარებს ყოველი სულგდმულის თესლს: "მოგიყვან ბატკანს, რომელსაც ნერბი ჯერ არ შეხტომია, რომლის საშოში არ შესულა სუმუკანის თესლი"; "...ს. ამაკებს თავის ჯოგს, როგორც სათესი მანქანა ანაყოფიერებს დედამიწას და დედამიწა იღებს მის თესლს". როგორც ნაყოფიერების ღვთაება, იგი ხთონური ბუნებისაა და მას ვხვდებით ქვესკნელის ბინადართა შორის (იხ. გილგამეშის ეპოსში ენქიდუს სიზმარი, VII დაფა, სვ. IV, 49). ერთ სამედიცინო რიტუალურ ტექსტში ისმის ეხო ს-ის, როგორც მოკვდავი და აღმდგარი ღვთაების, მითოსისა. თითქოს იგი *იშთარს* უნდა ამოჰყავდეს ქვესკნელიდან. სნეული, რიტუალური აზრით მკვდარი, გაიგივებულია ქვესკნელში მყოფ ს-თან და ამ უკანასკნელის "გაცოცხლება" სნეულის განკურნების საწინდრად არის მიჩნეული. როგორც ქართული მითოლოგიის ოჩოპინტრე, იგიც იწოდება "ნადირთ მწყემსად" ამავე დროს იგი არის "მთიანეთის მეფე" და მთებში მღერის *ალალას* სიმღერას.

ubura-TuTu, იხ. ზიუსუდრა.

uTanafiSTi (აქად. "სიცოცხლის მპოვნელი"), გილგამეშიც ეპოსის პერსონაჟი, წარღვნის გმირი, რ-ის თავგადასავალი მოთხრობილის ეპოსის XI დაფაში. უ. თავად მოუთხრობს *გილგამეშს* თავის ამბავს: როგორ ცხოვრობდა იგი ევფრატის ნაპირას გაშენებულ ძველ ქალაქ *შურუფაქში*, სადაც ღმერთებიც სახლობდნენ, როგორ განიზრახა ღმერთთა კრებულმა წარღვნის მოხდენა, როგორ გაუმჟღავნა ეს საიდუმლო *ენქიმ* და ააშენებინა ხომალდი წარღვნისაგან თავის დასაცავად. უ. ტვირთავს ხომალდს ყოველი დოვლათით, რაც კი საჭირო იქნებოდა კაცობრიული ცხოვრების აღსადგენად წარღვნის დასრულების შემდეგ. წარღვნას გადაურჩა მხოლოდ უ. მისი ოჯახითურთ, თუმცა მისი ოჯახის წევრებზე (მეუღლის გარდა) არაფერია ნათქვამი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორეთ მათ, მისმა შვილებმა, აღადგინეს კაცობრიობის თესლი. ხოლო უ. და მისი მეუღლე *ენლილმა* და სხვა ღმერთებმა გააუკვდავეს და დაასახლეს "შორეთში, მდინარეთა დასაბათან"; ამის გამო ეწოდება მას "შორეული უთანაფიშთი", რ-თანაც მიდის გილგამეში სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების შესაცნობად.

uTu, შუმ. მზის ღმერთი; მისი არქაული იდეოგრამა გამოხატავს ამომავალ მნათობს. უ. ითვლება *სინის* ძედ, და ამრიგად, დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს კულტში.. იგი იმავე რანგის ღვთაებაა, როგორისაც ინანა, მისი და; უ. ზრუნავს თავის ქალწულ დაზე, მონაწილეობას იღებს მისი ბედის გადაწყვეტაში – ურჩევს საქმაროდ მწყემსს *დუმუზის*, რ-იც შუმ. ტექსტებში თავის თავს უთუს სიძედ იხსენიებს. უ-ც მფარველობას და შემწეობას უწეს თავის სიძეს – ყურადიღებს მის მუდარას გასაჭირში, როცა ქვესკნელის მავნენი ედევნებიან დუმუზის.

ღამეს უ. თავისი დედის სახლში ათევს, საიდანაც კვლავ ამოდის დილით. ამიტომაც *მზის ჩასვლას* შუმერულ ენაზე გამოხატავდნენ ფიგურალურად: "უთუ დედის სახლისაკენ დაბრუნებული"; უთუ ამ დროს ისვენებს, იგი გათავისუფლებულია დღიური ტვირთისაგან (აღსანიშნავია, რომ "დედასთან დაბრუნება" – ამა-არ-გი – შუმერულად "გათავისუფლებას" ნიშნავს).

უ. ითვლება *ურუქის* ლეგენდარული მეფეების, *ენმერქარის* და მისი მამის, მესქიაგაშერის, მამად: შუმერის მეფეთა სიაში ისინი იწოდებიან "უთუს ძედ" ისევე, როგორც მითოლოგიურ თქმულებებში ("ენმერქარი, ძე უთუსი"). *გილგამეშის* შუმერულ სიმღერაში უ-ს შთაგონებით ილაშქრებს ურუქელი გმირი ხუმბაბასკენ, რათა დაამყაროს იქ უ-ს სახელი.

ur-ი, *შუმერის* უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქი მთელი მისი ისტორიის მანძილზე; მთვარის ღმერთის, *სინის* მთავარი საკულტო ცენტრი, რ-ს დაარსება კოსმოგონიურ ხანაშია წარმოდგენილი: "ქალაქი, რომელიც ზღვასავით თავისთავად დაფუძნდა". უ. და მისი ტაძარი ("ექიშნუნგალი") მითოსურად გაიგივებულია ბოსელ-ფარეხთან და იწოდება "ფურმრავალ, ფართო ბოსლად", რ-ის მწყემსია თავად მთვარის ღმერთი. ერთი შუმ. ჰიმნი ამგვარად აქებს უ-ს: "საუკეთესო ხვედრის ქალაქი, მეუფების დიდი საყდარი; ტაძარი-ური, შუმერის სამეთაუროდ აგებული. ქალაქი დიდკედლებიანი, აბზუდან ამოზრდილი; ქალაქი ცასავით გამშვენებული, სიუხვით დატვირთული და ფერადფერადად შემკობილი..."

uruq-ი (შუმ. უნუგ "სადგომი", "ბინა"), უძველესი შუმ. ქალაქი, ასპარეზი ეპიური და მითოლოგიური თქმულებებისა. უ-ის მკვიდრნი იყვენენ *ენმერქარი*, *ლუგალბანდა* და *გილგამეში*; იქვე ჩაისახა ლეგენდები მათ შესახებ. შუმ. ეპოსის თანახმად ურუქის მეფემ გამოიგონა ლურსმული დამწერლობა. უ. იყო ინანას საკულტო ქალაქი, სადაც იდგა მისი მთავარი ტაძარი ეანა. აქ დაკანონებული იყო საღვთო (საწესო) ქორწინების ჩვეულება, რ-ის კვალი ჩანს გილგამეშის ეპოსში. უ. ცივილიზებული,

მაღალი კულტურის, გაფუფუნებული ქალაქია, რ-იც უპირისპირდება მისი გალავნის გარეთ მოქცეულ უდაბნოს, როგორც დასახლებული მხარე – უკაცრიელს. კულტურის მატარებელი უ. ცდილობს გაავრცელოს თავის გავლენა გალავანს გარეთ, მოიზიდოს ველური *ენქიდუ* და მასთან ერთად "ველიც" ველური ცხოვრებითურთ. უ. უპირისპირდება აგრეთვე *ხუმბაბას* სამყოფელს, რ-საც *შამაშის* სახელით იპყრობს იგი. უ-ის განუშორებელი ეპითეტებია "გალავნიანი", "მოედნიანი" ან "ურუქ-ფარეხი". იგი გააზრებულია ფარეხად, სადაც ინანას წმინდა ფარა იკრიბება. ტრადიციით უ-ის გალავანს ისტორიამდელმა შვიდმა ბრძენკაცმა ჩაუყარა საფუძველი. უ-ის ქებით იწყება გილგამეშის ეპოსი.

ur-Sanabi, გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი, წარღვნის გმირის, უთანაფიშთის მენავე, რ-მაც იგი ნეტართა მხარეში გადაიყვანა. მასვე მიჰყავს თავისი ხომალდით *გილგამეში* წარღვნის გმირის სამყოფელში, "მდინარეთა დასაბამთან" და აბრუნებს უკანვე *ურუქისაკენ*. თუმცა ეპოსში ნათქვამია, რომ *შამაშის* მეტს არავის ძალუძს "სიკვდილის წყლების" გადალახვა, უ-საც შესწევს ამის უნარი.

მისი სახელი ნიშნავს: "მოყმე შანაბისა" (შანაბი – ორი მესამედი, იგულისხმება სრული რიცხვის, სამოცის ორი მესამედი, *ენქის* საკრალური რიცხვი).

qingu, აქად. კოსმოგინიური ეპოსის პერსონაჟი, ღვთაებრივი არსება, ქაოსის ძალების წინამძღოლი, რ-საც უნდა შეეცვალა დათრგუნული და დატყვევებული *აბზუ*. *თიამათმა* ქ. აბზუს ნაცვლად თავის მეუღლედ აირჩია და თავის ლაშქრის წინამძღოლად დანიშნა. *მარდუქი* ამარცხებს ქ-ს, მას კლავენ და მისი სისხლისაგან ადამიანს შექმნიან ("შებორკეს ქ., ეას მიუყვანეს, დამნაშავედ გამოაცხადეს, სისხლი ამოართვეს, მისი სისხლისაგან კაცთა მოდგმა შექმნეს...").

quTu, ქალაქი ბაბილონში. ქვესკნელისა და მკვდართა სამეფოს ღმერთის, ნერგალის მთავარი საკულტო ცენტრი. ამიტომაც ქვესკნელს ეწოდება აგრეთვე "ქუთუ".

SamaS-ი (აქად. "მზე"), მზის ღმერთი აქად. რელიგიასა და მითოლოგიაში. შუმ. წარმოშობის მისი იდეოგრამა გამოახტავს ამომავალ მზეს, რასაც ცხადად გვიჩვენებს მისი არქაული გამოსახულება. იგივე ნიშანი აღნიშნავს "დღეს", "დღის ნათელს".

შ-ს მეორე ადგილი უჭირავს შუამდ. პანთეონის მეორე ტრიადაში: *სინი*-შამაში-*ადადი*. იგი თვლება სინის ძედ და იშთარის დად. მისი ღვთაებრივი ცალია *აია*, რ-იც მუდამ იხსენიება მის სძლად.

როგორც შ-დმი მიძღვნილი ჰიმნებიდან და მითოლოგიური პასაჟებიდან ჩანს, იგი წარმოდგენილი ჰყავდათ ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილ ღვთაებად, რ-შიც ისინი ხედავენ სამართლიანობასა და სიკეთის განსახიერებას. გილგამეშის ეპოსში იგი არის მთავარი გმირის მფარველი, მისი გამჩენიც კი (როგორც *გილგამეშის* დედა *ნინსუნა* ეუბნება მას: "შვილად მომეცი გილგამეში..."), რომელიც მოუწოდებს მას ზნეობრივი აქტისაკენ: მისი შთაგონებით გაემგზავრება გილგამეში კედარის ტყეში, სადაც ჯერ კიდევ არ დამყარებულა შ-ის კულტი (ფიზიკური აზრით: კედარის უღრანში არ შეღწეულა მზის სხივი). ამრიგად, მზის სხივი, შ-ის სხივი, რისგანაც მოქსოვილია ბადე – შამაშის ერთ-ერთი ატრიბუტი – ფიზიკური თვისებების გარდა შეიცავს ზნეობრივ თვისებებსაც; მას მიაქვს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ გონებრივი სინათლე და სამართლიანობა.

შ-ის ყოველდღიური ამოსვლა ცარგვალზე სიმბოლურად წარმოსახავს ქაოსის ძალების განადგურებას. წყვდიადის დასამარცხებლად მას იარაღად აქვს დაკბილული სატევარი, ხერხისმაგვარი ხმალი, რ-იც უპყრია ხელში ქვეყნად ამოსვლისას.

ცარგვალზე თავისი ხილული მოძრაობის დასრულების შემდეგ, შ. ჩადის ქვესკნელში და იქ ანათებს. ქვესკნელში იგი ზის გარკვეულ ჟამს *ანუნაქებთან* ერთად და გაიკითხავს მზეგადასულთა სამართალს. მაშინ მისი მეორე სახელი, ვითარცა მკვდართა ღმერთისა და მსაჯულისა, არის *ნერგალი*, რ-იც მისი ღამეული ორეულია. მაგრამ იგი სჯის არა მხოლოდ ქვესკნელში, არამედ სამზეოშიც. აქად. პანთეონში მას მიეკუთვნება უპირატესად სამართლიანობის ღმერთის სახელი.

ხამურაბის კანონთა პროლოგში შ-ია ის ღმერთი, ვისგანაც იღებს მეფე კანონებს და ვისი სახელითაც უნდა შესრულდეს კანონი. ისევე, როგორც შამაში ფანტავს ფიზიკურ წყვდიადს და ამკვიდრებს ფიზ. ნათელს, ასევე იგი აუქმებს უკანონობას, უსამართლობას და ამკვიდრებს კანონიერებას, სამართალს. შ. არის აგრეთვე ფიცის ბატონი, რ-ის სახელით იდება ორ ადამიანს თუ არსებას შორის, ფიცის გატეხისთვის მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი (იხ. *ეტანას* მითოსი). ფიცის გამტეხთათვის და მოღალატეთათვის შ-ს აქვს ბადე, უზარმაზარი სათხეველი, რ-საც ვერავინ დააღწევს თავს.

შ-ის კულტის მთავარი ქალაქები იყო ლარსა და *სიფარი*; მისი ემბლემა: მირგვალაში ჩახატული მზის სხივები და წყლის ჭავლები ერთმანეთის მონაცვლეობით.

საკრალური რიცხვი – 20 (60-ის ანუ სრული რიცხვის ერთი მესამედი).

გამოსახულება: მთებს შორის ამომავალი, რქიანი ტიარით თავზე; მხრებიდან ამოსული სხივებით; ხელში დაკბილული, მორკალული მახვილით.

SamxaT-ი (აქად. "სიხარული"), გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი ურუქელი ქალი, *იშთარის* ტაძრის მსახური, საკულტო როსკიპობის აღმსრულებელი. შ-ს ევალება მოათვინიეროს, ადამიანად აქციოს ველური *ენქიდუ* და მოიყვანოს იგი *ურუქში*. ამ მისიას შ. ასრულებს "დიაცური ხელოვნების" საშუალებით. იგი ველზე, უდაბნოშივე, მიიზიდავს ენქიდუს და აზიარებს სქესის საიდუმლოებას და მერე თანდათან მოჰყავს ურუქისკენ; რამდენიმე ხანს მწყემსებთან ცხოვრობენ, ბოლოს კი შემოიყვანს ურუქში და შეახვედრებს გილგამეშს. ამის შემდეგ შ. ჩანს ეპოსის ტექსტში. ოღონდ იგი ნახსენებია სნეული ენქიდუს წყევლაში (იგი წყევლის შამხათს, რ-მაც მშობლიური ველებიდან შემოიტყუა ურუქში და უკურნებელი სენი შეჰყარა).

Saqan-ი, ნადირთ პატრონის, *სუმუკანის* სხვა სახელი (გვხვდება შუმერულ ტექსტებში).

Sumer-ი (შუმ. ქენგი, "შუმერ" აქადური სახელწოდებაა, შუმ. ენის ერთ-ერთი დიალექტიდან მომდინარე), შუმ. მითოლოგიურ ტექსტებში შ. წარმოდგენილია სამყაროს შუაგულად, კაცობრიობის ტექსტებში საცხოვრებელ ადგილად, რ-საც განაგებს მისი მეფე, "დიდი მთა" *ენლილი*. შ. არის იმ კონცენტრულ წრეთა დასაბამი, რომელთაგან თითოეული შუაგულის ნიშნით არის აღბეჭდილი: სამყაროს ცენტრში – შ., შ-ის ცენტრში – *ნიფური*, ნიფურში – ტაძარი ექური, ექურში – *ღურანქი*, ტაძრის შუაგული, სადაც გადის მსოფლიო ღერძი, ერთ ჰიმნში ამგვარად არის შექებული შ-ის ქვეყანა: "ო, შუმერო, დიდო მთავ, ცისა და მიწის. (ე. ი. კოსმიურო) ქვეყანავ! მადლიანი შუქით შემოსილო! მზის აღმოსავლეთიდან მზის დასავლამდე რჯულს აძლევ ხალხებს. შენი რჯული უზენაესი რჯულია, შენი "წიაღი" ("გული") ღრმა და მიუწვდომელია..."

Surufaq-ი, "წარღვნამდელი" შუმერის უკანასკნელი ქალაქი, სადაც მორიგეობის წესით (ოთხი სხვა ქალაქის – *ერიდუს, ბადთიბირას*, ლარაქის, *სიფარის* გავლით) დამკვიდრდა შუმერის მეფობა, ე. ი. იგი გახდა შუმ. ცივილიზაციის ცენტრი. წარღვნის მითოსის თანახმად, იგი მდებარეობდა ევფრატის ნაპირას; მის ახლოს

იყვნენ დასადგურებული ღმერთები და აქაური იყო წარღვნას გადარჩენილი ერთადერთი კაცი *უთანაფიშთი*.

SuqaleTuda, მებაღე, რ-მაც ერთი შუმერული ტექსტის მიხედვით შეისწავლა ციური ნიშნები, შეიცნო ღვთაებრივი სიბრძნე და გააშენა ბაღი, რ-საც უდაბნოს ქარებისა და მწველი მზისაგან იცავადა მის შუაგულში დარგული ხე – *ცარბათუ*, ბაღს უხვი და მრავალნაირი მოსავალი მოჰქონდა. ერთხელ, ამ ქვეყნად ხეტიალისგან დაღლილ-დაქანცულ ინანას ჩაეძინა ამ ბაღის მახლობლად. შ-მ შეამჩნია იგი, მიეპარა მძინარეს და სიქალწულე წაართვა. გამოღვიძებული ქალღმერთი ხვდება თავის სირცხვილს და დაუწყებს ძებნას შურის საძიებლად შ-ს. მაგრამ მოძალადე მოკვდავი მუდამ უსხლტება ხელიდან. ჩვენთვის უცნობია, რითი მთავრდება ამბავი, რადგან ტექსტის ბოლო ნაწილი შენახული არ არის.

carbaTu (აქად. "ტირიფი" ან "ალვისხე"), ამ სახელწოდების ხე მონაწილეობს მითოსურ კონტექსტში, როგორც კოსმიური ხე, *დურანქის* ერთ-ერთი კერძო გამოვლენა. *ეტანას* თქმულებაში ჩართული უძველესი არაკის მიხედვით, ც-ს შეკედლებია დაძმობილებული გველი და არწივი – ორი სხვადასხვა, ერთმანეთს დაპირისპირებული სკნელის არსება – და თავიანთი ბუნების შესატყვისად აქვთ ამორჩეული ადგილსამყოფელი ხის ვერტიკალზე: გველი, როგორც ხთონური არსება, იკალათებს ც-ს ფესვებში, ხოლო არწივი, ცის ბინადარი, – მის კენწეროზე იკეთებს ბუდეს. ც. მსჭვალავს სამყაროს სკნელებს და უნდა ვიფიქროთ, რომ დგას მის შუაგულში, განასახიერებს რა სამყაროს მოდელს. მისი შუმ. შესატყვისია *ხალუბი* (იხ. აგრ. *მესი*).

carfaniTu, მარდუქის მეუღლე.

xalub-ი (შუმ. "ტირიფი"), მითოსური ხე, რ-იც *ინანამ* გადარგო ურუქში, თავის წმინდა ბაღში, რათა შემდეგ მისგან ტახტი და საწოლი გაეკეთებინა. ხ-ს სამი სკნელის არსებანი დაეუფლნენ, რის შედეგადაც იგი სამყაროს მოდელის განსახება შეიქნა; მის ფესვებში გველმა დაიბუდა, ზროში ადამიანურმა არსებამ დაიდო ბინა, კენწეროში *ანზუდმა* გაიკეთა ბუდე (შდრ. *ცარბათუ*).

xubur-ი, ქვესკნელის მდინარე, რ-იც უნდა გადალახოს გარდაცვლილის სულმა მკვდართა სამეფოში შესასვლელად. ერთ ბაბ. ტექსტში ნათქვამია: "ჩვენი მამები წავიდნენ სიკვდილის გზით, ხუბურის მდინარე გადალახეს, როგორც ამბობენ". ხ-ს გაღმა სულები გადაჰყავს *ანზუდის* სახიან, ოთხფეხა და ოთხხელა არსებას, რ-ის სახელია ხუმუტბალ ("სწრაფად გაიარე!"). აქად. კოსმოგონიურ ეპოსში ხ. *თიამათის* ეპითეტია ("დედახუბური"), ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ხ. ხშირად ქვესკნელის სინონიმად გვხვდება.

xumbaba, ურჩხული, გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი, რ-იც კედარის ტყის ყარაულად დააყენა *ენლილმა* და თავზარდამცემი *მელამით* შემოსა. ხ. ატარებს შვიდ პერანგს, "ხმა მისი – წარღვნა, პირი მისი – ცეცხლი, სუნთქვა მისი – სიკვდილი". ხ. ამავე დროს, როგორც ჩანს, განასახიერებს კედარის ხის, ან, საერთოდ, მთელი ტევრის სულს, რ-ის განადგურების შემდეგ შესაძლებელი ხდება ტყის დაპატრონება. *გილგამეშმა* და *ენქიდუმ* სძლიეს ხ-ს, თავი მოჭრეს მას, რის შემდეგ მისი შვიდი მელამი სხვადასხვა არსებებს და ბუნების მოვლენებს დაუნაწილა ენლილმა.

ხ-ს სამფლობელოს – ველურ და აუთვისებელ ბუნებას *ურუქის* სახით უპირისპირდება ადამიანის მიერ შექმნილი კულტურა, ეპოსის მიზანია დაიპყროს და აითვისოს კაცობრიობისადმი მტრული ტევრი და იქ *შამაშის* სხივი შეიტანოს, "მოსპოს ბოროტება, რაიც სძულს შამაშს".

ხ-ს სამყოფელი ეპოსის აქადური ვერსიის თანახმად იგულვება ლიბანის მთებში, რ-ბიც უძველეს ხანაში კედარის ტყით იყო მთლიანად დაფარული.